ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 15 მაისი 1999 №89 (862) | ფასი 1 ლარი


# დინამო: 10

ალბათ დღესვე საქართველოს ახალი ვიცე-ჩემპიონი და ბრინჯაოსანი ეყოლება. ჩემპიონი კი მეათედაც ცხრაგზის ნაცადი „დინამო“ გახდება

1990 4 ტურით ადრე უშუალო კონკურენტ „გურიასთან“ სტუმრად 1:0 მოგებით გაინაღდა პირველი ჩემპიონობა.

1991 ბოლო ტურში სტუმრად ფრედ 3:3 ითამაშა ჯგუფის დებიუტანტ „მარგვეთთან“ და ზედიზედ მეორედ იპირველა.

91-92 ფინიშამდე სამი ტურით ადრე „დინამო“ ჩემპიონი გახდა და ნამდვილი ზეიმიც მოიწყო გასავარდნად განწირულ ვანის „სულორს“ შინ 10:1 რომ მოუგო.

92-93 უახლოესი მდევარი „შევარდენი“ საბოლოოდ 5 ტურით ადრე ჩამოიტოვა, როცა აუტსაიდერ, აფხაზეთიდან დევნილ „ცხუმს“ ნეიტრალურ მოედანზე, მცხეთაში 4:2 მოუგო და „შევარდენთან“ 16-ქულიანი სხვაობა შეინარჩუნა.

93-94 ფოთის „კოლხეთი“ კარგა ხანს ეჭიდავა, მაგრამ ზღვისპირელებმა 3 ტურით ადრე ქუთაისში „ტორპედოსთან“ 0:0 რომ ითამაშეს, „დინამომ“ შინ 2:0 „დილას“ მოუგო და მდევარს ჯობნის იმედი გადაუწურა.

94-95 ხუთწლიანი უპირობო ლიდერობის მერე პირველად დაემუქრა ჩემპიონობის დაკარგვის ყველაზე რეალური საფრთხე. საწადელი ბოლოსწინა ტურში აისრულა, როცა თავად წყალტუბოში „სამგურალი“ 7:0 გაანადგურა, კონკურენტმა „სამტრედიამ“ კი ორი ქულა რუსთავში დაკარგა.

95-96 ჩემპიონი 3 ტურით ადრე ხაშურის „ივერიასთან“ გადადებულ საშინაო მატჩში 5:0 მოგებით გახდა.

96-97 ამჯერადაც 3 ტურით ადრე ეროვნულ სტადიონზე გაჩემპიონდა თსუ-სთან 3:1 გამარჯვების მერე.

97-98 2 ტურით ადრე სწორედ დღევანდელი მეტოქე „გურია“ დაამარცხა 6:0, რითაც ევროპის რეკორდსმენებს გაუტოლდა: ზედიზედ მეცხრედ გაიმარჯვა.

98-99 ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე, თუნდაც ერთი ქულის მოპოვებით „დინამო“ ზედიზედ მეათედ იჩემპიონებს, რითაც ევროპულ რეკორდს დაამყარებს, ზედიზედ ამდენჯერ პირველი არავინ ყოფილა.

## ერთი მედალი ნაღდია

სოფიაში, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე 63 კგ წონაში მოასპარეზე აკაკი ჩაჩუა ფინალში გავიდა, ტარიელ მელელაშვილი კი ბრინჯაოსთვის იჭიდავებს. ასე რომ, ჩვენი ნაკრები ბულგარეთიდან უმედლოდ არ დაბრუნდება — სხვა თუ არაფერი, ჩაჩუას ხომ ვერცხლი განაღდებული აქვს. მედლისთვის ბრძოლას აგრძელებენ კობა გულიაშვილი (58), გიორგი ჯინჭველაშვილი (69) და თამაზ გოგელია (მძიმე). მათ გუშინ თითო შეხვედრა მოიგეს.

# საქართველოს მთამსვლელები „დედამიწის სახურავზე“ ავიდნენ


აფი გიგანი


ბიძინა გუჯაბიძე


ლევონ სარქისოვი


ბენო ქაშაკაშვილი

## XX საუკუნის საიდუმლოს ფარდა ეხდება?

გუშინ საღამოს, დაახლოებით 18 საათზე დედამიწის უმაღლესი მწვერვალის სამხრეთით მდებარე საბაზო ბანაკიდან დაგვიკავშირდნენ ჩვენი მთამსვლელები, რომლებმაც გვაცნობეს, რომ 12 მაისს დილით, 10 საათსა და 30 წუთზე ჯომოლუნგმაზე (ევერესტი 8848 მ) ავედით და ეს ესაა დავბრუნდითო.

საუბარია ექსპედიცია „კავკასია 99“-ზე, რომელიც მოაწყო რუსთავის მთამსვლურმა კლუბმა „ალპინდუსტრიამ“.

ამ ექსპედიციის ხუთიდან ოთხმა წევრმა მიაღწია მიზანს. ესენი არიან რუსთაველი ბენო (ბენედიქტ) ქაშაკაშვილი (ექსპედიციის მეთაური), თბილისელები ბიძინა გუჯაბიძე, ლევონ სარქისოვი და აფი გიგანი. მათთან ერთად მწვერვალზე ავიდა ექსპედიციის წევრი ორი შერპი მთამსვლელი ჯობი და ბენეგასი.

სამწუხაროდ, მიზანს ვერ მიაღწია ამ ექსპედიციის ერთმა წევრმა, ბაქოელმა სარიდან მურსაკალოვმა, რომელიც მცირედ დაშავებულა. გუჯაბიძეს კი თოვლის სიბრმავე დამართვნია, მაგრამ ახლა ისიც თავს კარგად გრძნობს.

თავის დროზე ვიუწყებოდით, რომ ამ ექსპედიციას თავის შერპ ალპინისტებთან ერთად აედევნა იაპონელი მთამსვლელი კენ ნოგეჩი და მექსიკელი ქალი ელზა კარსოლიო. მაშინ ვივარაუდეთ, რომ ისინი, მართალია, „კავკასია 99“ წევრებად კი ჩაითვლებოდნენ, მაგრამ ყველანი მაინც დამოუკიდებლად ეცდებოდნენ მწვერვალზე ასვლას. ასეც მოხდა, მექსიკელი ჯომოლუნგმაზე ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ ასულა „თავის“ შერპებთან (მათი ვინაობა, სამწუხაროდ, არ ვიცით) ერთად, იაპონელს კი მიზნისთვის მიუღწევია ასევე ჩვენი მთამსვლელების ასვლის დღეს, 12 მაისს შერპებთან კრიშნა ბაჰადურთან, ნომა ვენგჩესთან, ნავანგ ვანჩესთან და დავა ჩირისთან ერთად.

ასე რომ, შეიძლება ითქვას, ამ ექსპედიციამ ლამის 100-პროცენტიანი შემადგენლობით მიაღწია მიზანს, რაც ევერესტის ისტორიაში იშვიათი რამაა. ამასთან, ლევონ სარქისოვი ესპანელ რამონ ბლანკოსთან ერთად გახდა უხუცესი ალპინისტი, ვინც 60 წლისა ავიდა „დედამიწის სახურავზე“.

ახლა ჩვენი სამხრეთელი მთამსვლელები ქვედა ბანაკებს აყრიან, სამიოდე დღით საბაზოში დაისვენებენ და შინისკენ გამოემგზავრებიან.

შეგახსენებთ, რომ დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ქართველთაგან აქამდე მხოლოდ თბილისელი რომა გიუტაშვილი ასულა.


ჯომოლუნგმა და ჯორჯ მელორი

რაც შეეხება ჩრდილოეთიდან ამსვლელ ქართველთა ექსპედიციას, რომელსაც გია თორთლაძე მეთაურობს, ახლა, წესით და რიგით, სადღაც ერთ-ერთ ზედა ბანაკში უნდა იყოს. როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, იქნებ მისი წევრები მწვერვალზეც დგანან.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, ქართველი მკითხველისთვისაა საინტერესო, მაგრამ ჯომოლუნგმას ჩრდილოეთის ფერდობიდან საერთაშორისო რეზონანსის გამომწვევი, შეიძლება ითქვას, სენსაციური ინფორმაცია მივიღეთ.

როგორც ცნობილია, ჯომოლუნგმა პირველად ინგლისელთა ექსპედიციის წევრებმა, ახალზელანდიელმა ედმუნდ ჰილარმა და თენსინგ ნორგეიმ დალაშქრეს. მაგრამ ბევრს შესაძლებლად მიაჩნდა ეს მომხდარიყო 1924 წელს. მაშინ ინგლისელთა ექსპედიციის ორი წევრი, მელორი და ირვინი თანაგუნდელებმა ჭოგრიტით უკანასკნელად დაახლოებით 8600 მეტრ სიმაღლეზე დაინახეს, მერე კი ისინი უგზოუკვლოდ დაიკარგნენ. მათ გვამებს აქამდე არავინ გადაყრია. არავინ იცის, მიაღწიეს თუ არა ინგლისელებმა მიზანს. ეს ამბავი „XX საუკუნის უდიდეს საიდუმლოდ“ მონათლეს.

და აი, ამ საიდუმლოს ამოსახსნელად საგანგებო ექსპედიცია ასულა ევერესტზე და მელორის ცხედარი უპოვია. გვამი კარგად შენახული აღმოჩნდა. მას ეცვა იმ დროისთვის უმაღლესი სტანდარტების სამოსი, მკერდთან კი ტვიდის ქურთუკზე ჰქონდა წარწერა „მელორ“.

ამ ტრაგედიის თაობაზე „სარბიელის“ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.

ავთანდილ გურასაშვილი

# სამარანჩი პრეზიდენტებს დაგვიჯილდოებს


ხუან ანტონიო სამარანჩი

ხვალ თბილისში ფრიად სასიამოვნო მისიით გვეწვევა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი. მან ამ ორგანიზაციის უმაღლესი ჯილდო, ოქროს ოლიმპიური ორდენები უნდა გადასცეს ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჯანსუღ ბაგრატიონს.

მსოფლიოს ოლიმპიური მოძრაობის მეთაურის 22-საათიანი ვიზიტი, ისე როგორც მისი პირველი ჩამობრძანება 1994 წელს, ძალზე გადატვირთულია. ორდენების გადაცემის ცერემონიალის გარდა, სამარანჩი ესაუბრება ედუარდ შევარდნაძეს, ეწვევა ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტს, იქვე დაათვალიერებს ოლიმპიურ მუზეუმს, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში შეხვდება საქართველოს ოლიმპიელებს, საერთოდ სპორტულ საზოგადოებრიობას; ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეაში სამარანჩი დაათვალიერებს ნორჩთა შემოქმედების ნიმუშებს „ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ“; სტუმარი დაესწრება ბავშვთა კონცერტს.

ცხადია, მოეწყობა პრეს-კონფერენცია, რაც „შერატონ მეტეხი-პალასში“ გაიმართება და, რაღა თქმა უნდა, სტუმრისა და მის თანმხლებ პირთა საპატივცემულოდ იქნება ვახშამი ჯერ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, მერე ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის სახელით.

სამარანჩის თანმხლებ პირთა შორის იქნებიან: სოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, უნგრეთის ელჩი ავსტრიაში, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი პალ შმიტი, სოკ-ის ეოკ-ებთან ურთიერთობის ხელმძღვანელი, ოლიმპიური სოლიდარობის დირექტორი პერე მირო, სოკ-ის სამდივნოს წარმომადგენელი, სოკ-ის სპეციალურ პუბლიკაციათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 1924 წელს ჩვენი ქვეყნიდან საფრანგეთში გადახვეწილი ქართველი ემიგრანტის შვილი მარი ჰელენ რუხაძე, სოკ-ის პრეზიდენტის მდივანი ანი ინჩაუსპე და ესპანეთის სპორტული სააგენტოს დირექტორი ხოსე ანხელ კასტრო.


მარი ჰელენ რუხაძე

ვიმედოვნებთ, რომ სოკ-ის პრეზიდენტის ეს სტუმრობა, ისე როგორც მისი პირველი ვიზიტი საქართველოში, ჩვენი ქვეყნის ეოკ-ს დიდად წაადგება ოლიმპიზმის განვითარების საქმეში.

ავთანდილ ჭყვიშელი

ავტორის ფოტოები

# ნაკრებს შესაძლოა კობიაშვილი დააკლდეს

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებს ბოლო დროს ტრავმები ტანჯავენ. ორიოდე დღის წინ მიხეილ ყაველაშვილისა და გიორგი ნემსაძის ტრავმებზე გამცნეთ, მანამდე, მოგეხსენებათ, შოთა არველაძე იყო დაშავებული, რის გამოც სლოვენიასთან და ნორვეგიასთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები გამოტოვა, ახლა კი მათ გერმანული „ფრაიბურგის" ქართველი ლეგიონერი ლევან კობიაშვილიც შეემატათ.



[illegible] ფოტო

ლევან კობიაშვილი (№6) ალბანელებთან მატჩისას

კობიაშვილმა ერთ-ერთ ვარჯიშზე ფეხი დაიშავა, პატარა ჭრილობას, ეტყობა, ყურადღება არ მიაქცია და ახლა ამის გამო დროებით დასვენება მოუწევს. როგორც შევიტყვეთ, ლევანს ინფექცია შეჭრია, სისხლი მოწამლულია და ოთხშაბათს მაღალი სიცხით საავადმყოფოში წაუყვანიათ. რამდენ ხანს მოუწევს კობიაშვილს მკურნალობა, ექიმთა თქმით, გაურკვეველია, თუმცა ბუნდესლიგის ჩემპიონატში „შტუტგარტი" — „ფრაიბურგის" მატჩს რომ გამოტოვებს, ნაღდია.

ასე რომ, დღეს „შტუტგარტს" ერთი ქართველი, ლევან ცქიტიშვილი დაუპირისპირდება. რაზაც „ფრაიბურგი" ვახსენეთ, აქვე გეტყვით, რომ ამავე მიზეზით ფოლკერ ფინკეს გუნდს მაიკ რიტპიჩი, ალი ბენ სლიმანი და ალი გიუნეში არ ეყოლება.

ვანო ოქროპირიძე

# ...ყველაფერი გადაწყვეტილია — ბათუმს იტალიელი გაწვრთნის

## რა კაცია ახალი თავკაცი?..

— ბევრი არაფერი ვიცი. არც მარჩელო მანჩინის შესახებ მსმენია რამე. მხოლოდ ერთს გეტყვით, ამ საქმეში ჩემი ხელი არ ურევია, „ბათუმის" ვიცე-პრეზიდენტ მარკო კალისტრალეს იტალიურ საფეხბურთო წრეებში საკმაოდ ჰყავს მეგობრები. მგონი, სწორედ მათი დახმარებით დაუკავშირდა მანჩინის და როგორც ორიოდ დღის წინ გავიგე, „ბათუმს" მასთან კონტრაქტიც გაუფორმებია — გვითხრა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კონსულტანტყოფილმა რობერტო ლანდიმ, რომელსაც გუშინ იტალიაში დავურეკეთ.

— დიახ, ყველაფერი გადაწყვეტილია. „ბათუმს" იტალიელი გაწვრთნის. მაპატიეთ, ტელეფონით სხვას ვერაფერს გეტყვით, ისე კი შევხვდეთ და დეტალებზეც ვილაპარაკოთ — ეს „ბათუმის" ვიცე-პრეზიდენტ მარკო კალისტრალეს ნათქვამია.

ერთი სიტყვით, ჯერჯერობით ამას დავჯაბულდეთ. ვინ არის, როგორი მწვრთნელია, აქამდე სად უმუშავია, რა კაცია ბათუმელთა ახალი თავკაცი, ამის შესახებ მომავალი კვირის ერთ-ერთ „სარბიელში" შეიტყობთ.

კობა ინასარიძე

# მოლდოვური ამბები

მოლდოვის ჩემპიონატი 13 ივნისს გასრულდება, თუმც, როგორც ახლახანს ვიუწყებოდით, ვადამდე ადრე პირველობა „ზიმბრუმ" დაიბევა და დარჩენილ ტურებში სადავოდ მხოლოდ მეორე-მესამე ადგილის ბედი დატოვა. პრიზიორობისთვის კი გააფთრებით იბრძვის ოთხი გუნდი (მეორე-მესამე ადგილებზე გასულთ უეფას თასზე და ინტერტოტოს გათამაშებაში მონაწილეობის საშუალება მიეცემათ) — „კონსტრუქტორული", „ტილიგული", „ოლიმპია" და „შერიფი". ამათგან ყველაზე საინტერესო ჩვენთვის ეს უკანასკნელია, რადგან მასში სამი ქართველი ფეხბურთელი (თამაზ პერტაია, ვაჟა თარხნიშვილი და დიმიტრი არსოშვილი) თამაშობს. „შერიფის" შესახებ ადრეც ვიუწყებოდით. მაშინ ამ კლუბმა ქვეყნის თასის გათამაშების მეოთხედფინალში შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა — ორივე შეხვედრა მოუგო ჩემპიონ „ზიმბრუს" (1:0, 2:0) და ნახევარფინალში გავიდა.

თასის გათამაშებაში წარმატებული სვლა (სათასო მატჩებში „შერიფმა" ყველა შეხვედრა მოიგო) ქართველთა კლუბს არც ნახევარფინალში შეუწყვეტია და „მოლდოვა გაზის" ორჯერ დამარცხებით ფინალში გავიდა. იქ კი 26 მაისს „კონსტრუქტორულს" დაუპირისპირდება.

რაც შეეხებათ ქართველ ფეხბურთელებს, რამდენიმე დღის წინ თარხნიშვილის მსგავსად კლუბთან კონტრაქტი თამაზ პერტიასაც გაუხანგრძლივებია. დიმიტრი არსოშვილის კონტრაქტს კი ივნისის ბოლოს გასდის ვადა, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობა მზად ყოფილა, მასთან მუშაობა გააგრძელოს.

უეფას თასის გათამაშებაში მოსახვედრად „შერიფს" მოლდოვის თასის აღება ესაჭიროება, რადგან საეჭვოა, მეოთხე ადგილზე მყოფმა კლუბმა მეორეადგილოსან „კონსტრუქტორულს" 7-ქულიანი სხვაობა გაუქვითოს. ერთიცაა, თუკი თასს „კონსტრუქტორული" მოიპოვებს და ამავ დროს მეორე ადგილზეც გავა, მაშინ უეფას თასის საგზურს ავტომატურად მესამეადგილოსანი გუნდი მოიპოვებს. ასეთი კი ჯერჯერობით „ტილიგულია". სწორედ „შერიფი" და „ტილიგული" შეხვდნენ ერთმანეთს ბოლო ტურში (9 მაისს). მატჩი ფრედ (1:1) დასრულდა და „ტილიგულმაც" ორქულიანი სხვაობა შეინარჩუნა.

ბაატა ძვანტალიანი

# ტურნირი ტურნირამდე...

## საქართველოში უკრაინელები, ჩეხები და გერმანელები მოდიან

ოქტომბერში, ევროპის 16-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ჩატარება უეფამ თბილისში რომ გადაწყვიტა, ალბათ, გეცოდინებათ.

ეს კი, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, სულ ახალთახალი ინფორმაციაა და იმავე 16-წლამდელებს ეხებათ. სავარაუდოდ, ჩვენი მოზარდები ზემოთქმული ტურნირისთვის ისევ საქართველოში მოემზადებიან და მომავალ კვირაში თუ ყველაფერი კარგად გადაწყდა, კიდევ ერთი, ოღონდ არაოფიციალური ტურნირის მასპინძლები ვიქნებით. ივნისის ბოლოს და ივლისის დამდეგს თბილისში სტუმრობაზე წინასწარი დასტური უკრაინის, ჩეხეთისა და გერმანიის ზაარის მხარის 16-წლამდელთა ნაკრებებს უკვე მოუწერიათ ფეხბურთის ფედერაციის ბავშვთა ფეხბურთის კომიტეტისთვის. ვნახოთ, მოსაგვარებელი მხოლოდ ორგანიზაციული საკითხებიღაა... დანარჩენი იქითა კვირას იყოს, საბოლოო პასუხი მოსალოდნელმა სტუმრებმა სწორედ მაშინ უნდა გამოგზავნონ.

კობა ინასარიძე

# კოვერჩანოს ათეული, გაიპრანჭე!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ამასწინდელი აღმასკომის სხდომის დასრულებისას ჟურნალისტებს განგვიცხადა — მიმდინარეობს მოლაპარკება იტალიელებთან, გვსურს, ჩვენი მწვრთნელები კოვერჩანოს საწვრთნელ ბაზაზე გავაგზავნოთ, კურსებზე, პასუხი უახლოეს ხანში გვეცოდინებაო.

კოვერჩანოს საწვრთნელი ბაზა ფლორენციის მახლობლად მდებარეობს. იქ თვით იტალიის ეროვნული ნაკრები ემზადება.

...ასე რომ გადაწყდა, კოვერჩანოს საწვრთნელ ბაზაზე, ერთკვირიან კურსებზე, მაისში ათი ქართველი სპეციალისტი გაემგზავრება თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის გასაღრმავებლად და გამოცდილების მისაღებად. ვინ მოხვდება ამ ათეულში, ჯერჯერობით უცნობია (იხილეთ „სარბიელი", № 25, 13 თებერვალი, 1999).

ამის მერე კარგა გვარიანი დროც გავიდა. იმსჯელეს, ისაუბრეს, ითათბირეს და...

გადაწყდა, 17 მაისს აპენინურ გზას ის ათი კაცი დაადგება, ვისზედაც ფეხბურთის ფედერაციამ ამჯერად ყურადღება შეაჩერა. შერჩევის პრინციპი კი მარტივად განვსაზღვრეთო, გვითხრეს.

— ამ ათეულში ის მწვრთნელები შევიდნენ, ვისაც უმაღლესი ჯგუფის გუნდებში უმუშავია, თან ბავშვთა ფეხბურთში მოღვაწე სპეციალისტებიც გაემგზავრებიან.

გუშინ კი ფეხბურთის ფედერაციაში დილის ათის ნახევარზე ათეული უნდა გამოცხადებულიყო. ლამაზად ჩაიცვით, იტალიის საკონსულოში მოგიწევთ წასვლა, რათა ვიზები უპრობლემოდ აიღოთო — ასე გააფრთხილეს ყველა.

იტალიურ კოვერჩანოში გაემგზავრებიან:

ოთარ კორღალიძე, გია გეგუჩაძე, სოსო ფრუიძე, სოსო ჭედია, ასლან ბალაძე, დავით ჩახავა, ჯონი ჯანელიძე, გოჩა ავსაჯანიშვილი, გია ლეჟავა და კობა ჟორჟიკაშვილი. ნახსენები ათეულიდან შვიდი წარდგენას ალბათ არ საჭიროებს, მწვრთნელები ასე თუ ისე მეტ-ნაკლებად ცნობილნი არიან. უმრავლესობა უმაღლესი ჯგუფის გუნდებს ახლაც წვრთნის. აი, ავსაჯანიშვილი, ლეჟავა და ჟორჟიკაშვილი უფრო ბავშვთა გუნდებთან მუშაობენ. პირველი ორი 35-ე საფეხბურთო სკოლაში უზიარებს ბავშვებს თავიანთ ცოდნას, ყოფილი მრეტი და ლოკომოტიველი კობა ჟორჟიკაშვილი კი საფეხბურთო სკოლა „ირაოს" ბავშვებს წვრთნის.

ქართველები კოვერჩანოს საწვრთნელ ბაზაზე შვიდ დღეს დაჰყოფენ. დაესწრებიან ცნობილი იტალიელი თუ უცხოელი სპეციალისტების სემინარებს.

გიორგი ვაშაკიძე

# კაპანაძეები უკრაინის 100 საუკეთესოში მოხვდნენ

უკრაინაში გამოქვეყნებულ 100 საუკეთესო ბომბარდირს შორის ქართველი ტყუპი ძმები კაპანაძეებიც მოხვდნენ, რომლებიც ტერნოპოლის „ნივას" ღირსებას იცავენ. ავთანდილს 34 გოლი აქვს გატანილი, ტარიელს — 8 ბურთით ნაკლები. სიას სიმფეროპოლის ტავრიელი ჰუსეინოვი და დინამოელი რებროვი ლიდერობენ 84-84 გოლით. „აღმოსავლეთ ევროპის რონალდო" ანდრეი შევჩენკო კი 52 ბურთით მე-7 პოზიციაზე იმყოფება. წლევანდელ პირველობაზე ავთანდილ კაპანაძე 7 გოლს ითვლის.

სიმონ მენაბდე

Ayety TV

მრავალარხიანი საკაბელო ტელევიზია

„აიეტი TV"-ის საკონტაქტო ნომრებია

910 ან 910 111

თუ ადრე გიჭირდათ აიეტთან დაკავშირება, ახლა ეს პრობლემა მოგვარებულია აკრიფეთ 910 ან 910 111 დღე-ღამის ნებისმიერ დროს და მოგემსახურებით

# გვიანიძემ შახტიორს გამარჯვება გამოსტაცა

უკრაინის ჩემპიონატის 24-ე ტურში სენსაცია მოახდინა „ქართველების თავშესაფარმა" ტერნოპოლის „ნივამ", რომელიც დონეცკში გათამაშების ერთ-ერთ ლიდერ „შახტიორს" სტუმრობდა. დონეცკელებმა თითქოს მოახერხეს თამაშში გარდატეხის შეტანა და გოლიც გაიტანეს (69-ე წუთზე სელეზნიოვმა შეაგდო), მაგრამ სამი ქულის მოპოვება მაინც ვერ შეძლეს. „შახტიორს" იმედი „ტერნოპოლელმა" ქართველმა ავთანდილ გვიანიძემ გადაუწურა, რომელმაც 90-ე წუთზე შორიდან უძლიერესი დარტყმით დალაშქრა მასპინძელთა კარი. საბოლოოდ ფრე — 1:1.

ამ მატჩში „ნივას" შემადგენლობაში გვიანიძის გარდა კიდევ ოთხმა ქართველმა ითამაშა: ალექსანდრე კაიდარაშვილმა, გიორგი დავითნიძემ და ძმებმა ტარიელ და ავთანდილ კაპანაძეებმა, რომლებმაც გვიანიძის მსგავსად 90 წუთი დაჰყვეს მინდორზე.

იმავე ტურში კახი კალაძის „დინამომ" სტუმრად ორი უპასუხო გოლი გაუტანა „ვორსკლას" და ლიდერობა განიმტკიცა. ორივე გოლი შევჩენკოს ანგარიშზეა.

ახლა კიევის „დინამოს" 55 ქულა აქვს, 2 ქულით უსწრებს „შახტიორს" და თან ორი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. ტერნოპოლის „ნივა" მე-11 ადგილზეა, ვიტალი დარასელიას „ცსკა" კი მე-6-ზე. დღეს 25-ე ტური გაიმართება. „ნივა" — „ცსკას" უმასპინძლებს, „დინამო" — „ზირკას".

სიმონ მენაბდე

# 22 მაისს მაჩაიძე ისევ იკაპიტნებს

— რაოდენ ბედნიერი ხართ ქართველები, რომ გყავთ ისეთი უნივერსალური და უნიკალური ნახევარმცველი, საერთაშორისო კლასის ბრწყინვალე დიდოსტატი, როგორიც „დინამოს" კაპიტანი მანუჩარ მაჩაიძეა. ჩვენი ხანგრძლივი საფეხბურთო პრაქტიკის მანძილზე იშვიათად შეგვხვედრია ესოდენ ფართო დიაპაზონის ფეხბურთელი — მხოლოდ ამ სიტყვების თქმა მოახერხეს იტალიური „ნაპოლის" მწვრთნელებმა, როდესაც 1978 წელს უეფას თასზე თბილისის „დინამომ" „ნაპოლის" თავბედი აწყევლინა.

იმავე წელს მანუჩარ მაჩაიძე „დინამოსთან" ერთად საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. ორჯერ კი საბჭოთა კავშირის თასის მფლობელობა მოასწრო. ტიტულები არც მანამდე დაჰკლებია კაპიტანს და არც შემდეგ. ამიტომაც იყო, მანუჩარ მაჩაიძეს „დიდი მანუჩარი" რომ უწოდეს.

ქართული ფეხბურთის ქომაგს, ახლაც ახსოვთ კაპიტანი. მაჩაიძის თამაში სიამოვნებას მხოლოდ ქართველებს როდი ანიჭებდა. მახსოვს, ერთ-ერთ წიგნში ამოვიკითხე:

„დინამო" მოსკოვში თამაშობდა, თანაკლუბელებს ეპაექრებოდა. ის შეხვედრა თბილისელებმა 1:2 დათმეს, მაგრამ მოსკოვურ პუბლიკას თბილისელთა მეშვიდე ნომრის თამაში გამოცანად დარჩა. „დერჟიტე სემიორკუ" — გუგუნებდა ტრიბუნები.

— რაც აქტიურ ფეხბურთს შევეშვი, მას შემდეგ უკვე 17 წელია, მაგრამ ბურთს ვერ შეველიე და აგერ, ვეტერანთა გუნდში ვთამაშობ. თუ არ ვცდები, ამ ხნის მანძილზე დაახლოებით ორასამდე მატჩი ექნება ნაკრებს ჩატარებული — გვეუბნება კაპიტანი.

დღეს კი მანუჩარ მაჩაიძე საქართველოს პარლამენტის წევრია. საკანონმდებლო ხელისუფლებაში სპორტის ქვეკომიტეტს თავმჯდომარეობს.

ამ ცოტა ხნის წინ, 25 მარტს, „დიდი მანუჩარი" 50 წლისა შესრულდა. ნახევარსაუკუნოვანი იუბილე კაპიტანს ვინ აღარ მიულოცა, ახლობელ-მეგობრებიდან დაწყებული, ქომაგით დასრულებული.

22 მაისს კი ქართველ გულშემატკივრებს კვლავ ექნებათ მანუჩარ მაჩაიძის დიდოსტატური თამაშის ხილვის საშუალება. ამ დღეს ეროვნულ სტადიონზე მოსულნი წარსულის ტკბილ მოგონებებში ჩაიძირებიან.

...მაჩაიძე მოედნის კიდესთან შეჩერდებოდა, შეჯგუფდებოდნენ ჩვენებიც. კაპიტანმა თავისებურად იცოდა ფეხების გავარჯიშება. ჯერ ერთს გაიქნევდა, მერე მეორეს. ამასობაში მოწინააღმდეგეც გამოვიდოდა და იწყებოდა სვლა მოედნის ცენტრისკენ.

22-შიც უეჭველად ასე იქნება. ამ დღეს კაპიტნის სამკლაურსაც იგი მოირგებს.

— ეს თამაში მარტო ჩემს იუბილეს არ ეძღვნება. დარწმუნებული ვარ, სტადიონზე მოსულ გულშემატკივარს ნოსტალგია შეიპყრობს, ძველი თაობა წარსულის დიდების „დინამოს" გაიხსენებს და არამარტო მათ. მგონი, ურიგო თამაში არ იქნება. შევეცდებით ქომაგთ სიამოვნება განვაცდევინოთ — გვითხრა მანუჩარ მაჩაიძემ.

ხომ გაგიგიათ, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. ჰოდა, ამ საქმეში მანუჩარ მაჩაიძეს გვერდში სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისის მუნიციპალიტეტი, განათლების სამინისტრო, საქართველოს სოციალური დაცვის ფონდი და თავად ფეხბურთის ფედერაცია რომ არ ამოდგომოდნენ, იქნებ ეს შეხვედრა საერთოდ არ გამართულიყო. ორგანიზატორობა სწორედ მათ ითავეს.

ბატონმა მანუჩარმა ესეც გვითხრა, გვსურდა ამ თამაშზე ბილეთებს სიმბოლური ფასი ჰქონოდა, 1 ლარი, მაგრამ შემდეგ დავფიქრდით, გავითვალისწინეთ ხალხის დღევანდელი ყოფა და იმ დასკვნამდე მივედით, რომ სტადიონზე შესვლა უფასოდ მოხდეს. ალბათ, ასეც იქნება.

ერთი სიტყვით, ასეა. 22 მაისს, ეროვნულ სტადიონზე, 18 საათზე, საქართველოსა და ყოფილი საბჭოეთის ვეტერანები მანუჩარ მაჩაიძეს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს მიულოცავენ. იუბილარის მიმლოცველნი კი ქართველებიდან — დავით გოგია, ოთარ გაბელია, გელა კეტაშვილი, ილია რუხაძე, ნოდარ ხიზანიშვილი, დავით მუჯირი (უფროსი), თამაზ კოსტავა, გოჩა მაჩაიძე, ვახტანგ კოპალეიშვილი, ვახტანგ ქორიძე, თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია, ლევან ნოდია, გოჩა ჩიქოვანი, მალხაზ არზიანი, გრიგოლ ცაავა, თემურ ებანოიძე იქნებიან. გარკვეული მიზეზების გამო იუბილე-შოუში ვერ მიიღებენ მონაწილეობას ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, შოთა ხინჩაგაშვილი, რამაზ ურუშაძე, გიორგი სიჭინავა და სხვები.

თამაშის დღეს ჩამოვლენ: რინატ დასაევი, ვლადიმირ პილგუი, ვაგიზ ხიდიატულინი, ფიოდორ ჩერენკოვი, იური გავრილოვი, ვლადიმირ სუჩილინი, ვადიმ ნიკონოვი, ვალერი გაზაევი, ალექსეი ესკოვი, ვიქტორ ტროშკინი, სტეფან რეშკო, ვიქტორ მატვიენკო, ვლადიმირ მუნტიანი, ვიქტორ კოლოტოვი, ვიტალი ხმელნიცკი, ოლეგ კუზნეცოვი, არკადი ანდრეასიანი, ოჰანეს ზანაზანიანი, ნორიკ მესროპიანი, ნაზარ პეტროსიანი, მირჯალოლ ჯავადოვი და მაშალა ახმედოვი.

...ძველმა თაობამ ზეპირად იცის, დასახელებულთაგან ვინ რისი მაქნისი იყო მაშინ მწვანე მინდორზე.

ასე რომ, კარგ ფეხბურთს დანატრებულო ქომაგნო, ნუ დაიზარებთ და შეიარე ეროვნულ სტადიონზე. იქ დიდებული სანახაობა გელით.

**გიორგი ვაშაკიძე**

# საითაც გავიძეცი...

შარშანდელი სეზონი უიღბლო გამოდგა რუსული ნიჟნეკამსკის „ნეფტეხიმიკისთვის". იგი პირველი ლიგიდან მეორეში ჩამოქვეითდა. ამას ის მოჰყვა, რომ გუნდის რამდენიმე გამორჩეულმა მოთამაშემ „დაბლა" თამაში ითაკილა. „ნეფტეხიმიკის" ამბებით სულაც არ დავინტერესდებოდით, რომ არა ერთი გარემოება. როგორც იცით, ამ გუნდში ბოლოხანს ქართველი ფეხბურთელი თამაზ კიკლიაშვილიც ირჯებოდა და ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედაც ითვლებოდა. ზოგიერთების არ იყოს, არც ჩვენებურმა ისურვა „ნეფტეხიმიკში" კარიერის გაგრძელება, მაგრამ სურვილი ერთია და... კიკლიაშვილს რუსულ კლუბთან ჯერაც გაუსრულებელი კონტრაქტი აკავშირებს, იგი ჯერაც „ნეფტეხიმიკის" საკუთრებად რჩება და თუ მისგან თავის დაღწევა პრობლემად იქცა, სულაც არ არის გასაკვირი.

ალბათ გახსოვთ, სამეორეწრეო სამზადისისას ქუთაისის „ტორპედო" საიმედო და გამოცდილ გამთამაშებელს ეძებდა. ამ პერიოდში კიკლიაშვილი ქუთაისში ხელოვნურსაფარიან მოედანზე სავარჯიშოდ დადიოდა და „ტორპედოს" მწვრთნელთა ყურადღებაც მიიპყრო. 34 წლის ნახევარმცველს ადრეც ეთამაშა ქუთაისურ კლუბში და ხელახლა გატორპედოელებაზე სიამოვნებით დათანხმდა. ოღონდ აქ მარტო მისი ნება საკმარისი არ იყო. „ნეფტოხიმიკმა" მის საბოლოო გათავისუფლებაში სოლიდური თანხა მოითხოვა. ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, მაგრამ თავად ფეხბურთელმა იმდენი იძალა, სამი თვით „განათხოვრებაზე" დაიყაბულა რუსები. რად გინდა? ეს საქმეც ჩაიშალა, „ტორპედომ" მოკლევადიან ტრანსფერზე თავი შეიკავა.

კიკლიაშვილი „ტორპედოში" ვერ მოხვდა, თუმც ახალი კლუბის ძებნა არ შეუწყვეტია. როგორც შევიტყვეთ, თამაზ კიკლიაშვილი ამას წინათ პოლონეთის უმაღლესლიგელ „ამიცაში" ყოფილა გასასინჯად და იქაურებზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია. „ამიცას" მესვეურთ მისი გუნდში დატოვებაც გადაუწყვეტიათ, ფეხბურთელს ხელსაყრელი პირობებიც შესთავაზეს, მაგრამ რა? „ნეფტოხიმიკმა" კიკლიაშვილის სანაცვლოდ იმხელა თანხა დაასახელა, პოლონელებს ქართველზე უმალ უარი ათქმევინა.

**იუზა ქაციტაძე ქუთაისიდან**

# დემეტრაძე პირველია



გიორგი დემეტრაძე (№10) აპრილის საუკეთესო ალანიელია

*საქართველოს ნაკრებისა და ვლადიკავკაზის „ალანიას" ქართველი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე აპრილის თვის გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. გამოკითხვა ჩაატარა ვლადიკავკაზში გამომავალმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა — „ფუტბოლნიე სტრასტი". მასში ძირითადად „ალანიას" ერთგული გულშემატკივრები მონაწილეობდნენ. გამოკითხვის შედეგად გიორგი დემეტრაძემ 283 ხმა მოაგროვა. მას დიდი სხვაობით ჩამორჩა მეორე ადგილზე გასული ბრაზილიელი ფეხბურთელი ჯეფერსონი, რომელმაც 140 ხმა მოიპოვა, ხოლო მესამე ადგილი გუნდის მეკარე ზაურ ხაპოვმა დაიკავა. ერთ დროს თბილისის „დინამოს" კარის დარაჯი 94-მა ქომაგმა დაასახელა საუკეთესოდ. აღსანიშნავია, რომ ჯეფერსონი ამპლუით თავდამსხმელია და მთავარი მწვრთნელი ვალერი გაზაევი დემეტრაძის გვერდით ათამაშებს.*

*ჟურნალის მესვეურების ცნობით, დემეტრაძეს პირველობაში სავარაუდოდ ვერც მაისში შეეცილებიან, რადგან გიორგი ამ თვეში ბევრად უკეთ ათამაშდა.*

**ვანო ოქროპირიძე**

# მცხეთას მცხეთა ეყოლება

მომავალი სეზონიდან საქართველოს ჩემპიონატს ახალი საფეხბურთო კლუბი შეემატება. „მცხეთა" — ასე ერქმევა გუნდს, რომელიც ცხადია, ქალაქ მცხეთისა იქნება და მეთერთმეტე ჩემპიონატს მეორე ჯგუფში შეხვდება. იგი ამავე დროს თბილისის „ვიტ ჯორჯიას" საბაზო გუნდიც იქნება. საბაზო გუნდი ბევრს შესაძლოა ფარმ-კლუბში ერიოს, ამიტომ აქვე ვიტყვით, რა განსხვავებაა მათ შორის — ძირითადი გუნდი ჩემპიონატის რომელიმე ტურის მატჩზე საბაზო გუნდიდან ერთ ფეხბურთელსაც ვერ დაიმატებს, მაშინ, როდესაც ფარმ-კლუბიდან ერთბაშად ხუთი მოთამაშის გადმოყვანა და თამაშია შესაძლებელი. ვიტელთა ხელმძღვანელობას თავიდან ფარმ-კლუბ „ვიტ ჯორჯია 2"-ის შექმნა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ჩანაფიქრზე ხელი ფედერაციის ერთმა გადაწყვეტილებამ აალებინა. ამ გადაწყვეტილების თანახმად, მომავალ სეზონში ფარმ-კლუბში თამაში მხოლოდ 1979 და მომდევნო წლებში დაბადებულ ფეხბურთელებს შეეძლებათ, საბაზო გუნდში კი ამ მხრივ შეზღუდვა არ არის.

ასე რომ, გაისიდან მცხეთელებს საკუთარი საქომაგო კლუბი კვლავ ეყოლებათ. შეგახსენებთ, რომ ადრე საქართველოს ჩემპიონატის მეორე ჯგუფში ასპარეზობდა „არმაზი", რომელიც 1997 წელს ფინანსური პრობლემების გამო დაიშალა, თუმცა ქვეყნის ძველი დედაქალაქი უფეხბურთოდ არც მაშინ დარჩენილა. მოგეხსენებათ, „არმაზის" სტადიონზე ერთი ხანობა სამი თბილისური კლუბი — თსუ, „ლოკომოტივი" და „ვიტ ჯორჯია" ატარებდა საშინაო მატჩებს. ვიტელები კი ახლაც ამ სარბიელის ბინადარნი არიან.

„მცხეთის" მთავარ მწვრთნელად კი, სავარაუდოდ, ამჟამად „ვიტ ჯორჯიაში" სერგო კოტრიკაძის დამხმარე კოტე დოლიძე დაინიშნება.

**ვანო ოქროპირიძე**

გიო ახვლედიანის სვეტი

## იმის მსგავსი

დახუჭავ თვალებს და იქა ხარ, გაახელ და აქ.

პირდაპირ იფიქრებ, ნეტავ ის გადმომატანინა აქაო. აი, რომ დახუჭო თვალი ისევ და რომ გაახილო, ის ყველაფერი აქ დაგხვდეს. იფ, რა იქნება?

ადვილი გასაგებია, რასაც ვგულისხმობ.

კარგია ფეხბურთი ტელევიზორში, მაგრამ მაინც ტელევიზორშია. გრემლე სოს უთქვამს ერთხელ (ჩემის რწმენით, კაი და ნაღდ ვაჟკაცს, რობი ფაულერს რა ვუთხარი) მოშკალით და ტელევიზორში ფეხბურთს ვერ ვუყურებო.

ჩვენი მდგომარეობა სხვა არის — ტელევიზორში რომ ვერ ვუყუროთ, საერთოდ ვერ გვიყურებია და ეგ არის.

და იცით რა მინდა? „ელანდ როუდის" ტერასები მინდა აქ, თავისი ატირებული და გახარებული ხალხით.

ანუ, დახუჭავ თვალებს და რომ გაახელ, „ლიდსი" — „არსენალი" იყოს აქა. „ლიდსი" იყოს „ტორპედო" და „არსენალი", „დინამო". თქვენი არ ვიცი და მე ეგ თამაში ბარე ერთი თვე მეყოფა და საწყენად ნუ მიიღებთ და უეფას თასის ფინალს გულსგარეთ ვუყურე, იმიტომ, რომ... თუმცა, მიზეზთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

რა გასაკვირია, რომ სტადიონის ფეხბურთი მონატრებოდა კაცს?

გოგრა ვერ გახდება შირაზის შუშაო, უთქვამს აშუღ საათნავას ორასზე მეტი წლის წინათ. მაგრამ, რა ვუყოთ? მივუჯდეთ ტელევიზორს და აღარ ვიფიქროთ მინდვრის სილამაზესა და ჯადოსნურ სანახაობაზე?

გვპირდებიან იქნებაო, გვეღირსებაო, ღმერთმა ქნას. დაწყებულია საქმე. და ეს ტელევიზორი რომ არ გვქონდეს, რა იქნებოდა? ერთ დროს, როცა ტელევიზორში ფეხბურთს გადმოსცემდნენ, ჩვენთან ჩამოსულა ერთი იმ დროსაც ცნობილი გუნდი და გვარიანადაც დაუჭედია იმ დროს კრიზისული „დინამო". თამაშის შემდეგ სტუმართა მწვრთნელისთვის უკითხავთ, ჯიგარო, აგვიხსენ ერთი, რა დონეზეა ჩვენი ფეხბურთიო. თქვენი მწვრთნელის დონეზეო, უხუმრია იმ კაცს (ჩვენი მწვრთნელი ტანმორჩილი კაცი ყოფილა). ეს ანეკდოტია, მაგრამ გულსა სწვავს თავისი სინაღდით.

ტელევიზორმა დიდი სამსახური გაუწია ქართველ ფეხბურთის მოყვარულებს. განსაკუთრებით, ახალ დროში. მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ჩვენს ფეხბურთელთა სრულ უმრავლესობას ლე სოს სინდრომი შეყარა, ანუ ფეხბურთს ტელევიზორში ვერ უყურებს. ან თუ უყურებს, არ უნდა დაინახოს, იქ რა ხდება.

მაგალითი ერთგვარად გადამდებია. თუმცა, რაღა ფეხბურთელებს მივადექი? განა ბევრი მწვრთნელია ისეთი, მსოფლიო ფეხბურთის განვითარებას რომ ბლოკნოტით და ვიდეოკასეტებით დასდევდეს? ერთიორი, ერთი-ორია ასეთი.

ერთ ქართველ ფეხბურთელს დავეკითხე, ბექჰემი როგორ მოგწონსმეთქი და იმგვარი მედიდურობით მომიგო, „იგროკია, რა"-ო, რომ ვიფიქრე, გროში გადმომიგდო-მეთქი. გეგონებოდათ, თვითონ იყო ბექჰემი.

როცა ინფორმაცია არა გვაქვს, ყოველთვის გეშინია, ყოველთვის ფრთხილობ, ყოველთვის შიშობ.

ამ შემთხვევაში ყველაზე იოლი ინფორმაცია — ტელევიზორია. შრომაც კი არ უნდა, თავისით მოდის.

იმას კი არ ვითხოვ, რომ ბუტრაგენიოსივით სოკრატესა (სოკრატესზეს შეეძლო ლაპარაკი!) და არისტოტელზე ილაპარაკეთ და კრუიფივით შვიდ ენას დაეუფლეთ-მეთქი.

რო, ზნაჩით ვიცოდეთ, რა ხდება.

მეღრ ეგებ ბევრი ოფლი დავღვაროთ და როგორმე „ლიდს" — „არსენალის" მსგავსი რამ გავახერხოთ. მხოლოდ მსგავსი.

საქართველოს ჩემპიონატი — 28 ტური

# პელეს რჩევა

— ძლივს არ გნახე...
— საიდან გაიგე ჩემი მისამართი?
— ტოტალიზატორში მითხრა ერთმა. თანაც...
— რაო?
— უეფას თასის ფინალი გამოგიცნია. უმრავლესობა შენს ქებაში იყო.
— ეს ხომ ისედაც ნათლად ჩანდა.
— როგორც „გივი კილაძის“ დანგრევა?
— რა გინდა, ხომ მიაწყდა ზღვა ხალხი ქუთაისის სტადიონს.
— ნაღდად არ მეგონა. ის კი არა, უეფას ბოსნიელი წარმომადგენელი მეჰმედ სპახოც გადარეულა, „გივი გილაძე“ რომ დაუთვალიერებია — მაინც რა თამაში იყო ასეთი 9 მაისს, სტადიონი ნაომარ ადგილს რომ ჰგავსო.
— მართლა?
— გაფიცებ ყველაფერს, მითხარი, როგორ ახერხებ მომავლის ასე ზუსტად განჭვრეტას?
— ფეხბურთის შედეგის გამოცნობაზე ადვილი რაა.
— მაინც?
— „პელე“ გაგიგია?
— შენ რა, დამცინი?
— ფეხბურთელი კი არა, ყავა „პელე“ თუ იცი?
— მერე?
— მერე. ჩავუთქვამ ხოლმე რომელიმე თამაშზე, დავლევ ერთ ფინჯან „პელეს“ და ვიხედები ჭიქაში.
— და ყველაფერი ჩანს?
— მაშ...
— ახლაც ასე უნდა მოიქცე.
— რატომ?
— შაბათს 28-ე ტურის შეხვედრებია.
— შენ გინდა, ეროვნული ჩემპიონატის გამო თვალები ავიტკივო?
— თუ ძმა ხარ, უარი არ მითხრა. ხალხი გველოდება.
— ეჰ, ჯანდაბას შენი თავი. მათხოვე კალენდარი.
— აბა, კარგად მოურიე მაგ ჭიქას, რამე იალიში არ მოგვივიდეს.
— ჩუმად! იჯექი და ყურადღებით მომისმინე...

### ყურადღება ფოთისკენ

— ჰო, ჰო, რა ხალხმრავლობაა „ფაზისზე“. თითქოს ფეხბურთი ერთი თვეა, არ უნახავთო, ისეთი სახეები აქვთ გულშემატკივრებს.
— მართალი ხარ. ფოთის სტადიონს დისკვალიფიკაცია ჰქონდა, 2 თამაშით...
— ერთი ეს მითხარი, ამ შეხვედრის მსაჯად ვინ არის დანიშნული?
— თუ მაგარი ხარ, თვითონ გამოიცანი.
— როგორ გამოვიცნო, ფეხბურთელებს ჰყავთ ალყაში მოქცეული.
— აუჰ, კიდევ სკანდალი?
— არა მგონია. უფრო კამათს ჰგავს.
— მატჩზე რას იტყვი?
— რომ გითხრა, მაგარი ბრძოლაა-მეთქი, ტყუილი იქნება. რაღაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, მეოთხე ადგილი მაინც და მაინც გულზე არ ეხატებათ და...
— კიდევ რა?
— კიდევ რაღაც უცნაურ სურათს ვხედავ.
— როგორს?
— „კოლხეთი“ და „ბათუმი“ რაკეტას შესციცინებენ.
— ეგ რაკეტა კი არა, წყალქვეშა ჭურვია — „ტორპედო“. ქუთაისელების თასის ფინალში გამარჯვებაზე რომ ლოცულობენ ზღვისპირელები, არ გაგიგია?
— „ტორპედო“ კი არა, ისა. რაკეტას ლათინურად N აწერია.
— აა, ესე იგი, NATO. ყველაფერი გასაგებია.
— რა არის გასაგები.
— მაგათ ორთავეს იუგოსლავიის დაბომბვის გაგრძელება აძლევთ ხელს და ინტერტოტოზე იმ ქვეყნის გუნდს ასცდებიან.
— ეგ მე არ ვიცი. რასაც ვხედავ, იმას ვლაპარაკობ.
— გააგრძელებ?
— ამ თამაშს სხვა ინტრიგა აქვს.
— რა?
— ვებერთელა შავი კატაა აგერ გაწოლილი „კოლხეთსა“ და „ბათუმს“ შორის. ეს კი პირად მტრობას ნიშნავს. მასპინძლები კბილებს ილესენ.
— ნაღდად მასეა. პირველ წრეში ბათუმელებმა 2:1 მოუგეს კოლხებს. ფოთელებმა ერთი ამბავი ატეხეს, მსაჯმა დაგვწვაო.
— ჰოდა, სასწორიც მათ მხარეს იწევა. მოვლენების განვითარება რევანშს გვიქადის.

### ათი ვარსკვლავი

— დანარჩენ შეხვედრებზე რას იტყვი?
— ერთი აგერ ნათელში დგას და უზარმაზარი ჯვარი აქვს უკან. ეს კარგი ნიშანი არაა...
— ეჰ, ეგ ცხონებული „გურია“ იქნება — აწ მეორეჯგუფელი.
— ვისაც ეთამაშება, იმათ სამხრეები არტყიათ ბეჭებზე, მაგრამ...
— რა, მაგრამ?
— კაცო, სამი ვარსკვლავი გამიგია, ოთხი ვარსკვლავიც გამიგია და ეს ათი რა ამბავია. ეტყობა, ახალი წოდებაა რაღაც.
— მაგ წოდებას მარადმწვანე ჩემპიონობა ჰვია. ამ ტურში „დინამო“ მეათედ ხდება ჩემპიონი. რამ დაგაბნია?
— „ერგეაშვას“ მღერის კაც ზვამბაია. „ერგეაშვა“ მიქელგაბრიელის სიმღერაა...
— „მთავრის მოტაცება“ რა შუაშია?
— წასულია „ოდიშის“ საქმე.
— ვითომ?
— ცხენებით ლამობენ ოდიშარები მტკვარზე გასვლას, მაგრამ ამაოდ. ამალამ ქაჯიც ვერ გავა მტკვარზე. თანაც თოფიანი „სტრაჟნიკები“ უშლიან ხელს.
— ესე იგი, „არსენალი“ საბოლოოდ ჩაძირავს „ოდიშს“.
— კი, მასეა სწორედ.
— „სამგურალი“ — „დილას“ წყვილზე რას ხედავ?
— გორელებს თაგვი ამოუვიდა.
— ეს რას ნიშნავს.
— თაგვი ზარალის მაუწყებელია. რაღაცას დაკარგავს „დილა“.
— რაღაცას კი არა, სამ ქულას დატოვებს წყალტუბოში.
— თსუ — „ვიტ ჯორჯია“?
— წყვილი ხომ არ გეშლება?
— არა, რას ამბობ.
— რავიცი, აბა. ორთავე გუნდის ფეხბურთელები ხელხელჩაკიდებულნი დგანან მოედანზე. საოცრად კეთილგანწყობილნი არიან ერთურთის მიმართ. მეტს ვერაფერს გეტყვი.
— ბოლნისში რას უნდა ველოდოთ?
— ამ „სიონის“ გამკვირვებია. თითქოსურიგო ბიჭები არ ჰყავს და რატომაა მეთოთხმეტე ადგილზე?
— ჯერ ერთი, ორი მწვრთნელი გამოიცვალა, მეორე კიდევ, ფარა არ აქვს, ფარა.
— სამაგიეროდ, ის მთავარი შერჩენიათ.
— რა მთავარი?
— გუნდისადმი ერთგულება.
— მაგაში მართალი ხარ. რომ დაინახეს, გაუჭირდაო შალვა ისიანმა და ბუბა ტყავაძემ კვლავ მოირგეს „სიონის“ მაისური.
— ჰოდა, ესენი გადაწყვეტენ კიდეც „იბერიასთან“ შეხვედრის ბედს.
— გიგიაძეები?
— ნუ მეკამათები. „სიონს“ უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს.
— ავჭალაში რა ხდება?
— ქუთაისელი „პიკასოს ბიჭები“ „მერანის“ გახედნას ლამობენ, მაგრამ...
— რა?
— ძველებისგან გამიგია, თუ თვალი ეცა ბედაურს, ძნელია მისი დამორჩილებაო.
— რის თვალი?
— ამ შეხვედრის შედეგს ერთი დაინტერესებული პირი ელოდება და მასპინძლებს გულშემატკივრობს.



დღეს, „დინამო“, ალბათ, მეათედ იჩემპიონებს

— გასაგებია...
— რა არის გასაგები?
— „ლოკომოტივია“ ის დაინტერესებული.
— ვინც არის. ვერცხლის სუნი ასდის ამ საქმეს. ვერცხლის სიყვარულმა კი ღალატი იცის.
— რის ღალატი?
— კანონებს არღვევს, მათ შორის სპორტულსაც.
—პროგნოზი?
— ნამეტანი სინათლეში თამაშობენ გუნდები და მიჭირს გარჩევა.
— „გორდა“ — ლოკომოტივი“?
— რკინიგზელები არ წააგებენ.
— რატომ?
— ჯერ ერთი, რუსთაველებზე აშკარად ძლიერები არიან, მეორეც — „გორდამ“ წინა ტურში სამტრედიაში, რკინიგზის ცენტრში, იმარჯვა.
— ეგ რა შუაშია?
— ზედიზედ ორი ასეთი შეხვედრის მოგება მხოლოდ „ბარსელონას“ ძალუძს.
— სულ ეს იყო?
— კიდევ არის დამალული რაღაცეები.
— მაინც?
— ეგ რომ დავინახო, ჭიქაში გული უნდა გამიხსნა.
— რის გული გაგიხსნა, რომელი ფედერაციის ჩინოვნიკი მნახე?!
— კიდე აქეთ ბრაზობ?
— შენ რას გერჩი. მადლობის მეტი რა მეთქმის.
— აუ, ეს რა ქენი?
— რა მოხდა ასეთი?
— სულ ჩაყარე ყველაფერი წყალში.
— რატომ?
— მკითხავს არასოდეს უთხრა მადლობა, არ შეიძლება.
— მართლა?
— ახლა რაც გითხარი, შეიძლება ყველაფერი უკუღმა ახდეს.
— რა ჩემი ბრალია. ბურთი ხომ მრგვალია და იმას დაბრალდება.
— ისე, სიმართლე გითხრა, ფეხბურთელი პელე არ უქნია გამჩენს პროგნოზებში და ყავისას ვინ დაიჯერებს...

**ხვიჩა სანიკიძე**

ფოთი. „ფაზისი“. 15 მაისი. 18 საათი.

## კოლხეთი — ბათუმი

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ი. შენგელია (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. მიმინოშვილი

თბილისი. „ეროვნული“. 15 მაისი. 18 საათი

## დინამო — გურია

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ზ. დოლიძე , მ. ელიკაშვილი; ლ. სილაგავა (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

თბილისი. „შევარდენი“. 15 მაისი. 18 საათი

## თსუ — ვიტ ჯორჯია

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

ბოლნისი. „თემურ სტეფანია“. 15 მაისი. 18 საათი

## სიონი — იბერია

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი), ა. ქარქაშაძე; ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

თბილისი. „ისანი“. 15 მაისი. 18 საათი.

## არსენალი — ოდიში

**მსაჯები:** ს. კახიანი (თბილისი); ჯ. ბუიშვილი, ბ. ბრეგვაძე (ორივე ჭიათურა); მ. მაისურაძე (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

რუსთავი. „ფოლადი“. 15 მაისი. 18 საათი

## გორდა — ლოკომოტივი

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ასკაროღლი (ქარელი), ვ. ელოევი (ცხინვალი); ო. მოლოდინაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

წყალტუბო. „26 მაისი“. 15 მაისი. 18 საათი

## სამგურალი — დილა

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); დ. სანაია, ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი); ო. ხეცაძე (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

თბილისი. „სინათლე“. 15 მაისი. 18 საათი

## მერანი — ტორპედო

**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. მეშკოვი, ზ. ჯვარიძე; ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

### XXIX ტური

19 მაისი

დილა— დინამო (0:4)

ბათუმი — ოდიში (1:2)

ტორპედო — გორდა (7:1)

ლოკომოტივი — სიონი (0:0)

იბერია — თსუ (1:1)

ვიტ ჯორჯია — კოლხეთი (1:2)

გურია — მერანი (0:3)

სამგურალი — არსენალი (1:1)

ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | # | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დინამო (1) | 1 | 27 | 21 | 5 | 1 | 76:15 | +61 | 68 | 13 | 11 | 2 | 0 | 48:9 | +39 | 35 | 14 | 10 | 3 | 1 | 28:6 | +22 | 33 |
| 2 ტორპედო (4) | 2 | 27 | 19 | 4 | 4 | 66:24 | +42 | 61 | 14 | 11 | 2 | 1 | 37:9 | +28 | 35 | 13 | 8 | 2 | 3 | 29:15 | +14 | 26 |
| 3 ლოკომოტივი (6) | 3 | 27 | 15 | 10 | 2 | 34:13 | +21 | 55 | 14 | 9 | 5 | 0 | 18:4 | +14 | 32 | 13 | 6 | 5 | 2 | 16:9 | +7 | 23 |
| 4 კოლხეთი (3) | 4 | 27 | 13 | 6 | 8 | 53:35 | +18 | 45 | 13 | 9 | 1 | 3 | 34:12 | +22 | 28 | 14 | 4 | 5 | 5 | 19:23 | -4 | 17 |
| 5 ბათუმი (2) | 5 | 26 | 10 | 11 | 5 | 35:19 | +16 | 41 | 13 | 7 | 5 | 1 | 25:7 | +18 | 26 | 13 | 3 | 6 | 4 | 10:12 | -2 | 15 |
| 6 ვიტ ჯორჯია (10) | 9 | 27 | 12 | 4 | 11 | 34:26 | +8 | 37 | 14 | 7 | 2 | 5 | 19:11 | +8 | 23 | 13 | 5 | 2 | 6 | 15:15 | 0 | 17 |
| 7 მერანი (7) | 6 | 27 | 9 | 9 | 9 | 24:25 | -1 | 36 | 13 | 5 | 5 | 3 | 9:6 | +3 | 20 | 14 | 4 | 4 | 6 | 15:19 | -4 | 16 |
| 8 იბერია (დ) | 7 | 27 | 10 | 5 | 12 | 40:42 | -2 | 35 | 14 | 5 | 4 | 5 | 21:15 | +6 | 19 | 13 | 5 | 1 | 7 | 19:27 | -8 | 16 |
| 9 დილა (9) | 8 | 27 | 10 | 5 | 12 | 35:45 | -10 | 35 | 14 | 7 | 2 | 5 | 23:17 | +6 | 23 | 13 | 3 | 3 | 7 | 12:28 | -16 | 12 |
| 10 არსენალი (დ) | 10 | 27 | 8 | 11 | 8 | 31:41 | -10 | 35 | 13 | 3 | 7 | 3 | 15:20 | -5 | 16 | 14 | 5 | 4 | 5 | 16:21 | -5 | 19 |
| 11 გორდა (11) | 11 | 27 | 7 | 10 | 10 | 26:38 | -12 | 31 | 13 | 5 | 5 | 3 | 17:17 | 0 | 20 | 14 | 2 | 5 | 7 | 9:21 | -12 | 11 |
| 12 სამგურალი (12) | 14 | 27 | 8 | 3 | 16 | 27:50 | -23 | 27 | 13 | 4 | 1 | 8 | 12:19 | -7 | 13 | 14 | 4 | 2 | 8 | 15:31 | -16 | 14 |
| 13 თსუ (8) | 12 | 26 | 6 | 9 | 11 | 21:29 | -8 | 27 | 13 | 4 | 3 | 6 | 16:18 | -2 | 15 | 13 | 2 | 6 | 5 | 5:11 | -6 | 12 |
| 14 სიონი (13) | 13 | 27 | 6 | 7 | 14 | 25:47 | -22 | 25 | 13 | 4 | 6 | 3 | 15:14 | +1 | 18 | 14 | 2 | 1 | 11 | 10:33 | -23 | 7 |
| 15 ოდიში (5) | 15 | 27 | 6 | 2 | 19 | 20:55 | -35 | 20 | 14 | 4 | 1 | 9 | 13:25 | -12 | 13 | 13 | 2 | 1 | 10 | 7:30 | -23 | 7 |
| 16 გურია (14) | 16 | 27 | 3 | 3 | 21 | 28:71 | -43 | 12 | 14 | 3 | 1 | 10 | 18:33 | -15 | 10 | 13 | 0 | 2 | 11 | 10:39 | -29 | 2 |

(?) - ადგილი წინა ჩემპიონატში. # - ადგილი წინა ტურში. ! - ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამი საათის სავალზე

## მძაფრი სიუჟეტების მოყვარულთათვის



რაიან გიგზი, დევიდ ბექემი და ტედი შერინგემი — მანჩესტერს სჯერა მათი

კვირას ალექს ფერგიუსონი ყველაზე ნერვიულად დალეჭავს თავის საყვარელ სალეჭ რეზინს. თუ ამ დღეს მისმა „მანჩესტერმა", რომელსაც აგერ უკვე 30 მატჩია, წაგება არ უნახავს, მშობლიურ „ოლდ ტრეფორდზე" „ტოტენჰემს" ვერ მოუგო, მაშინ... თუმცა მანჩესტერში ამაზე ფიქრიც კი ზარავთ. მანჩესტერში კი ზარავთ, მაგრამ აბა ერთი, ლონდონელ მცველ სოლ კემპბელს მოუსმინეთ:

— ხალხმა რაც უნდა, ის ილაპარაკოს, ჩვენ კი კვირას „იუნაიტედის" დასამარცხებლად ბოლო წამამდე ვიბრძოლებთ. ეს სეზონის ბოლო შეხვედრაა და გვსურს, იგი უმაღლეს დონეზე ჩავატაროთ. საერთოდ არ გვაინტერესებს, რა მოჰყვება „მანჩესტერის" მარცხს, პროფესიონალები ვართ და როცა მოედანზე ვიმყოფებით, მხოლოდ ერთზე — მეტოქის ძლევაზე ვფიქრობთ.

აქ ერთ მეტად საყურადღებო ფაქტს ვაწყდებით — თუ 16 მაისს „ტოტენჰემმა" გაიმარჯვა ან ფრეს მაინც მიაღწია, მაშინ ეს მესამე შემთხვევა იქნება, როცა „ჰოთსფურის" ამჟამინდელი თავკაცი ჯორჯ გრემი „მანჩესტერს" ტიტულს აართმევს და „არსენალის" წისქვილზე დაასხამს წყალს. წინა ორ შემთხვევაში გრემმა სწორედ „მეთოფეთა" მწვრთნელის რანგში აჯობა „იუნაიტედს" და ახლაც ძალუძს ამის გაკეთება. ოღონდ თავის მხრივ „არსენალმა" შინ, „ჰაიბერიზე" აუცილებლად უნდა სძლიოს ბირმინგემის „ასტონ ვილას."

სოლ კემპბელს ამის ღრმად სჯერა:

— ჯორჯ გრემს გამარჯვებულის ფსიქოლოგია და იმის დიდი უნარი აქვს, ეს რწმენა თავის ფეხბურთელებს შთაუნერგოს. „ბლექბერთან" 0:0 ნათამაშები მატჩის შემდეგ ყველას ჰგონია, რომ ჩემპიონი „მანჩესტერია", თუმცა მათ დიდი სიურპრიზი ელით. ეს არის ფეხბურთის მომხიბვლელობა.

სიურპრიზი რომ ფეხბურთს ხიბლს მატებს, ეს ალექს ფერგიუსონმაც კარგად იცის და თავის მხრივ ისიც მზად არის ამისთვის. სხვათა შორის, თუ მისმა გუნდმა მოახერხა პრემიერლიგური ჯილდოს მოპოვება, ამ ტიტულს სხვანაირი გემოც ექნება. საქმე ის არის, რომ ბოლო 7 სეზონში „მანჩესტერი" 4-ჯერ იყო ჩემპიონი და ოთხივე შემთხვევაში ჩემპიონობა მეტოქის მოედანზე მოიპოვა, ახლა კი „იუნაიტედს" შინ, „ოლდ ტრეფორდზე" გახარების საშუალება ეძლევა და ძნელი წარმოსადგენია, ეს შანსი ხელიდან გაუშვას.

ამას ფერგიუსონის სიტყვებიც მოწმობს:

— სრულიად მანჩესტერი ემზადება ზეიმისთვის და ჩვენ უფლება არ გვაქვს, მას ეს განწყობა ჩავუშხამოთ. მატჩამდე არავითარ გასაკუთრებულ შეკრებას არ ჩავატარებ, ეს ბიჭებს დაძაბავს. ჩვენ ჩვეულებრივად გავალთ მინდორზე და ყველაფერს ვილონებთ, რათა 1999 წლის 16 მაისი მანჩესტერელებს არასდროს დაავიწყდეთ.



ხვალ ნვანკვო კანუმ და კომპანიამ აუცილებლად უნდა მოიგონ

კვირის თამაშში საეჭვოა ორი მანჩესტერელი ფეხბურთელის — როი კინის და ჰოლანდიელი იაპ სტამის მონაწილეობა, მან „ბლექბერნთან" აქილევსის მყესი დაიზიანა. დანარჩენები ჯანზე არიან.

„ტოტენჰემი" „ოლდ ტრეფორდზე" უძლიერესი შემადგენლობით ჩავა. ლონდონელ ქომაგებს (როგორც „ჰოთსფურის", ასევე „არსენალის") ყველაზე მეტად ალბათ, მაინც მიმდინარე სეზონის საუკეთესო პრემიერლიგელის, ფრანგი დავიდ ჟინოლას იმედი აქვთ, რომელიც დღეისთვის მართლაც იდეალურ ფორმაშია.

ასევე ორი თავსატეხი აქვს „არსენალს". ერთი, თითქმის გადაუჭრელი — წინა ტურში „ლიდსთან" შეხვედრისას ალფ ინგე ჰაალანდმა ლონდონელთა გამოცდილ მცველ ნაიჯელ ვინტერბერნს ცხვირი გაუტეხა და საეჭვოა, მან ბირმინგემელ ფორვარდთაგან დევიდ სიმენის კარი დაიცვას. მეორე მცველ მარტინ კიოუნსაც მცირე ტრავმა აწუხებს. მიუხედავად ამისა, „არსენალი", რომელსაც „ჰაიბერიზე" ზედიზედ 28 მატჩია, არ წაუგია, ალბათ, „ასტონ ვილას" მოუგებს.

არსებობს დედაქალაქელთა გაჩემპიონების კიდევ ერთი შანსი — „მანჩესტერმა" წააგოს და „არსენალმა" თუნდაც ფრეს მიაღწიოს. ამ შემთხვევაში ყველაფერს ბურთების შეფარდება გადაწყვეტს.

ასე რომ, ყველაფერი მაინც ლონდონიდან სამი საათის სავალზე (მანქანით), ქალაქ მანჩესტერში გადაწყდება. მძაფრსიუჟეტიანი ფეხბურთის მოყვარულებს ვაცნობებთ, რომ პრემიერლიგის ბოლო, 38-ე ტურის მატჩები კვირას ერთდროულად დაიწყება თბილისის დროით 20 საათზე.

**ნოდარ ძასრაძე**

# მოკრძალებული და ბედნიერი იმედი

„მანჩესტერ იუნაიტედი" მსოფლიოს უმდიდრესი გუნდია. უმდიდრესი იმიტომ არის, რომ ულამაზეს ფეხბურთს თამაშობს, ძლიერია და ტიტულებიც თავზე საყრელად აქვს. ბევრი ტიტულები იმიტომ აქვს, რომ იქ მოთამაშე ფეხბურთელი მხოლოდ უმაღლესი კლასის უნდა იყოს, იქ მომუშავე მწვრთნელისთვის ფეხბურთში საიდუმლო არ უნდა არსებობდეს, „მანჩესტერის" ბაზის დარაჯს ღამეს არ უნდა ჩაეძინოს და ასე შემდეგ.

და კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ „იუნაიტედი" ძალიან დიდი კლუბია — 16 მაისს, კვირას, ალექს ფერგიუსონის შესანიშნავი ბიჭები შინ, „ოლდ ტრეფორდზე" ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსფურს" ხვდებიან და გამარჯვების შემთხვევაში ინგლისის ჩემპიონობას მოიპოვებენ; 22 მაისს, შაბათს, საფეხბურთო მექაზე, „უემბლიზე" „ნიუკასლ იუნაიტედს" უნდა შეებრძოლონ — მოიგებენ და ინგლისის ასოციაციის თასიც მათი იქნება; 26 მაისს, ოთხშაბათს, ბარსელონის ბრწყინვალე „კამპ ნოუზე" ისინი გერმანიის ჩემპიონს მიუნხენის „ბაიერნს" ჩემპიონთა თასის ფინალში გაეჯიბრებიან და თუ იქაც ივაჟკაცეს, მაშინ საკლუბო ფეხბურთის უძვირფასესი ჯილდოც მათ დარჩებათ.

უკან გრძელი, დამღლელი სეზონია, წინ კი 10 კიდევ უფრო გრძელი და მომქანცველი დღე. მომავალი კვირიდან „მანჩესტერს" სამი არნახულად მძიმე მატჩი ელის. მანჩესტერი ერთბაშად რამდენიმე დღესასწაულისთვის ემზადება, ამ ინგლისურ ქალაქში სჯერათ, რომ, როგორც იქნა მათი დროც დადგა. „იუნაიტედი"! ეს არის მანჩესტერელ ქომაგთა მუდმივი საზრუნავი და საფიქრალი, იმედი, რომელიც უნდა გამართლდეს...

შარშან აგვისტოში „მანჩესტერ იუნაიტედმა" ბირმინგემის „ასტონ ვილას" ძალიან ბევრი ფული, მთელი 19 მილიონი დოლარი გადაუხადა, სანაცვლოდ კი ტრინიდადელი გოლეადორი დუაიტ იორკი მიიღო. ეს არ იყო „მარიაჟული" გარიგება, საკუთარი სიმდიდრის დემონსტრირებისთვის გაკეთებული. აი, ისეთი, სევილიურმა „ბეტისმა" უდავოდ ნიჭიერ ბრაზილიელ გარემარბ დენილსონში რომ 35 მილიონი მიათხლიშა და ახლა თავში ხელებს ირტყამს. არა, „მანჩესტერი" ტყუილად ერთი პენის გადამხდელიც არ არის (ამიტომაა უმდირესი).

**ექვსი ამბავი დუაიტ იორკზე**




დღეს ის 19 მილიონი, იორკში გადახდილი თანხა, გამზადებულია რათა 190 მილიონად და დიდებად იქცეს. არნახულ დიდებად. მთელ მანჩესტერს სჯერა, რომ ერთ სეზონში მისთვის უპირველეს კერპად ქცეული, 29 გოლის გამტანი ბიჭი შეძლებს ამას.

ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბრისას იორკმა თავიდან თანაგუნდელ დევიდ ბექემზე ილაპარაკა, რომელთანაც, თურმე, განსაკუთრებით მეგობრობს. ისინი მოედანზეც და მის გარეთაც მშვენივრად უგებენ ერთმანეთს. „მანჩესტერის" საუკეთესო მეგოლე ფიქრობს: რომ არა ბექემის ცნობილი პასები, იგი ერთი ჩვეულებრივი თავდამსხმელი იქნებოდა, ხოლო ბექემის აზრით, სწორედ იორკის უზადო საგოლე ალღოს დამსახურებაა, რომ მისი გადაცემები დანიშნულებისამებრ გამოიყენება და ეს ძალიან დაეხმარა საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინელებთან მატჩში მიღებული წითელი ბარათით გამოწვეული დეპრესიის დაძლევაში.

დუაიტ იორკი ამბობს: „დევიდი ჩინებული ფეხბურთელია, დღესდღეობით, ალბათ, უძლიერესიც კი. ამასთან შესანიშნავი პიროვნება გახლავთ — როდესაც „მანჩესტერში" გადმოვედი, ჩემი მორიდებულობის გამო თანაგუნდელებთან ურთიერთობა მიჭირდა, თავს უცხოდ ვგრძნობდი და ცოტა გამიჭირდა. ბექემმა იგრძნო ეს და ჩემი „იუნაიტედში" ყოფნის პირველ დღეებში სულ ჩემთან ერთად იყო, მესაუბრებოდა, თავისთან მპატიჟებდა, ვსეირნობდით. ერთი სიტყვით ძალიან დამეხმარა. ალბათ ამიტომაც არის დღეს რომ ძმაკაცები ვართ და მოედანზე უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს."

იორკი დარწმუნებულია, რომ კლუბის გარშემო არსებულ დაძაბულობას, გადამეტებულ ყურადღებას, გადატვირთულ დღის რეჟიმს და საერთოდ, მძიმე კალენდარს, იგი თავისი წყნარი ხასიათის დახმარებით უძლებს.

— მე კარგად ვიცი რა შემიძლია და რა — არა. „მანჩესტერში", ამ მართლაც დიდ გუნდში მხოლოდ იმიტომ გადმოვედი, რომ ჩემი თავის იმედი მქონდა, მჯეროდა, თანაგუნდელების და ფანების იმედებს გავამართლებდი. ფსიქოლოგიურად როგორ ვუძლებ ამდენ ემოციებს? იცით რა, ფეხუბრთმა ჩემზე არ შეიძლება ზეწოლა მოახდინოს. ჩემი გაგებით ზეწოლა კოსოვოში მიმდინარე ამბებია, სადაც ბომბების გრუხუნი ისმის და ხალხი იღუპება. ფეხბურთი კი დუაიტ იორკისთვის ყოველთვის სიამოვნების წყარო გახლდათ და მომავალშიც ასე იქნება. მე თავადაც ვერთობი თამაშით და ხალხსაც ვახარებ, თანაც ამაში ფულს მიხდიან, ანუ მაქვს საშუალება ვაკეთო ის, რაც მომესურვება, დავეხმარო ახლობლებს და უბრალოდ — გაჭირვებულ ხალხს.

და იორკმა წარსული გაიხსენა:

— ხალხი ამბობს, რომ მე მოკრძალებული, მშვიდი ადამიანი ვარ. დიახ, ეს ასეა: კარიბეთში დავიბადე და გავიზარდე, საოცრად ლამაზ, ჰარმონიულ ატმოსფეროში. კარიბის კუნძულებზე ყველა ასე ცხოვრობს. თუმცა მერე და მერე მივხვდი — რაღაცის შექმნის წყურვილი მკლავდა, იქ ველარ გავძლებდი და შრომა დავიწყე. დავიწყე ნულიდან და თითო ნაბიჯის წინ გადასადგმელად ძალების 110 პროცენტით დახარჯვა მიწევდა. საბოლოოდ ჩემსას მაინც მივაღწიე და ისეთი ბედნიერი ვარ, ხანდახან თავი სიზმარში მგონია.

შემდეგ კი მომავალზეც თქვა ორიოდ სიტყვა:

— ჩვენ ვიცით, რომ სამი მძიმე შეხვედრა დაგვრჩა. თითოეულში გამარჯვება ჩვენთვის ტიტულის მოპოვებაა. რა უნდა ვთქვა, ეს ხომ უბრალოდ დიდებულია. ყოველი ფეხბურთელის ნატვრაა ოდესმე ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდეს და მიხარია, რომ ჩემი ეს ოცნება ასრულდა. მაგრამ... მაგრამ მეორე მხარეც არსებობს, ვაითუ...

იორკს აღარ დაუმთავრებია, ისედაც ნათელია რა უნდა ეთქვა.

ისე მართლაც, ვაითუ...

**დავით კოვზირიძე**

## ჰოლანდია

### თასის ფინალი
### აიაქსი 2:0 სიტარდი

1:0, 2:0 გრონკიაერი (11, 15)
აიაქსი: ვან დერ სარი, მელხიოტი, ოლისე, ვიჩხე, ლიტმანენი, რუდი, დე კლერი, ვამბერტო (მაკართი 25), პუქსტრა, გრონკიაერი, არველაძე
სიტარდი: ვან დერ ზვარი, პერანსი, რუსტი, ჰოფლანდი, ლი, კოოლი, ნაცორეკი, გესტპუიზენი (ჰამინგი 63), ჟეფრეი, ბუმაი (პერინგი 72), სიმონსი

ოთხშაბათს, ჩვენთვის ტკბილად მოსაგონარ 13 მაისს, ქართველმა ფეხბურთელმა კვლავ ალმართა თასი, მაგრამ არა თასების თასი, არამედ ჰოლანდიისა. თქმა არ უნდა იმას, რომ ამსტერდამის „აიაქსის" და შესაბამისად მისი ქართველი თავდამსხმელის შოთა არველაძის სათასო გამარჯვება შორს დგას თბილისის „დინამოს" მიერ დიუსელდორფის „რაინშტადიონზე" 18 წლის წინანდელი ტრიუმფიდან, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, სასიხარულოა. გასახარია, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ჩვენი ფეხბურთისთვის ამ რთულ პერიოდში ქართველმა მოთამაშემ ევროპული ქვეყნის თასი მოიგო.

შოთა არველაძისთვის ჰოლანდიის თასის ფინალში თამაში უცხო არ იყო — გახსოვთ, ალბათ, გასულ სეზონში იგი უკვე დაეუფლა ჰოლანდიის თასს. წლეულს შარშანდელ გამარჯვებას ერთიც მიუმატა. მართალია, ამსტერდამელთა 24-ე ნომერმა ამჯერად ფინალში გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ ცდა არ დააკლო, ბოლომდე იბრძოლა.

როტერდამის „ფეიენოორდის" სტადიონ „დე კუიპის" ტრიბუნები თითქოს გაავსეს „აიაქსის" და „სიტარდის" ქომაგებმა. იცოცხლეთ, გაიხარეს ამსტერდამელთა გულშემატკივრებმა, „სიტარდის" მხარდამჭერები კი, როგორც მოსალოდნელი იყო, დამწუხრდნენ.

„აიაქსი" რომ ფინალს მოიგებდა, თითქმის ყველამ უწყოდა, მაგრამ სიტარდელებს გამარჯვების იმედი მაინც ჰქონდათ. თამაშის დაწყებიდან სულ 25 წუთში გახდა ნათელი, რომ „სიტარდის" იმედს განხორციელება არ ეწერა — იესპერ გრონკიაერმა ამ დროში ორი, ერთმანეთის მსგავსი გოლი შეაგდო.

„აიაქსმა", რომლისთვისაც მიმდინარე სეზონი ცუდად წარიმართა, უეფას თასის საგზური მოიპოვა — გუნდი ერთწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა იმ ევროთასს, რომელსაც ერთადერთხელ, 1992 წელს ფლობდა.

**ირაკლი ილაშვილი**



ორი გოლის გამტანი იესპერ გრონკიაერი

### ჰოლანდიის თასის გათამაშების ფინალები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1899 | RAP (ამსტერდამი) — HVV (ჰააგა) | 1:0 | 1959 | ვენლო — ADO (ჰააგა) | 4:1 |
| 1900 | ველოსიტასი (ბრედა) — აიაქსი (ამსტერდამი) | 3:1 | 1961 | აიაქსი (ამსტერდამი) — ბრედა | 3:0 |
| 190' | HBS (ჰააგა) — RAP (ამსტერდამი) | 4:3 | 1962 | სპარტა (როტერდამი) — DHC | 1:0 |
| 1902 | ჰაარლემი — HBS (ჰააგა) | 2:1 | 1963 | ტილბურგი — ADO (ჰააგა) | 3:0 |
| 1903 | HVV (ჰააგა) — HBS (ჰააგა) | 6:1 | 1964 | ფორტუნა 54 (გელეენი) — ADO (ჰააგა) | 0:0* |
| 1904 | HFC (ჰაარლემი) — HVV (ჰააგა) | 3:1 | 1965 | ფეიენოორდი — გოუ ეჰეიდი (დევენტერი) | 1:0 |
| 1905 | VOC (როტერდამი) — HBS (ჰააგა) | 3:0 | 1966 | სპარტა (როტერდამი) — ADO (ჰააგა) | 1:0 |
| 1906 | კონკორდია — ვოლჰარდინგი | 3:2 | 1967 | აიაქსი (ამსტერდამი) — ბრედა | 2:1 |
| 1907 | VOC (როტერდამი) — ვორფაარტსი | 4:3 | 1968 | ADO (ჰააგა) — აიაქსი (ამსტერდამი) | 2:1 |
| 1908 | HBS (ჰააგა) — VOC (როტერდამი) | 3:1 | 1969 | ფეიენოორდი — პსვ (ეინდჰოვენი) | 1:1, 2:0 |
| 1909 | ქუიკი (ჰააგა) — VOC (როტერდამი) | 2:0 | 1970 | აიაქსი (ამსტერდამი) — პსვ (ეინდჰოვენი) | 2:0 |
| 1910 | ქუიკი (ჰააგა) — HVV (ჰააგა) | 2:0 | 1971 | აიაქსი (ამსტერდამი) — სპარტა (როტერდამი) | 2:2, 2:1 |
| 1911 | ქუიკი (ჰააგა) — ჰაარლემი | 1:0 | 1972 | აიაქსი (ამსტერდამი) — ჰააგა | 3:2 |
| 1912 | ჰაარლემი — ვიტესი (არნემი) | 2:0 | 1973 | ბრედა — ნაიმეგენი | 2:0 |
| 1913 | HFC (ჰაარლემი) — DFC (დორდრეხტი) | 4:1 | 1974 | პსვ (ეინდჰოვენი) — ბრედა | 6:0 |
| 1914 | DFC (დორდრეხტი) — ჰაარლემი | 3:2 | 1975 | ჰააგა — ტვენტე (ენსხედე) | 1:0 |
| 1915 | HFC (ჰაარლემი) — HBC (ჰააგა) | 1:0 | 1976 | პსვ (ეინდჰოვენი) — როდა (კერკრადე) | 1:0 |
| 1916 | ქუიკი (ჰააგა) — HBC (ჰააგა) | 2:1 | 1977 | ტვენტე (ენსხედე) — ცვოლე | 3:0 |
| 1917 | აიაქსი (ამსტერდამი) — ველსენი | 5:0 | 1978 | აზ 67 (ალკმაარი) — აიაქსი (ამსტერდამი) | 1:0 |
| 1918 | RCH (ჰაარლემი) — VVA | 2:1 | 1979 | აიაქსი (ამსტერდამი) — ტვენტე (ენსხედე) | 1:1, 3:0 |
| 1920 | CVV — VUC (ჰააგა) | 2:1 | 1980 | ფეიენოორდი — აიაქსი (ამსტერდამი) | 3:1 |
| 1921 | სხოტენი — RFC | 2:1 | 1981 | აზ 67 (ალკმაარი) — აიაქსი (ამსტერდამი) | 3:1 |
| 1925 | ZFC — ქსერქსესი | 5:1 | 1982 | აზ 67 (ალკმაარი) — უტრეხტი | 5:1, 0:1 |
| 1926 | ლონგა (ლიხტენვოორდი) — დე სპარტანი | 5:2 | 1983 | აიაქსი (ამსტერდამი) — ნაიმეგენი | 3:1, 3:1 |
| 1927 | VUC (ჰააგა) — ვიტესი (არნემი) | 3:1 | 1984 | ფეიენოორდი (როტერდამი) — სიტარდი | 1:0 |
| 1928 | RCH (ჰაარლემი) — ცვოლე | 2:0 | 1985 | უტრეხტი — ელმონდ სპორტი | 1:0 |
| 1930 | ფეიენოორდი (როტერდამი) — ექსელსიორი | 1:0 | 1986 | აიაქსი (ამსტერდამი) — როზენდაალი | 3:0 |
| 1932 | DFC (დორდრეხტი) — პსვ (ეინდჰოვენი) | 5:4 | 1987 | აიაქსი (ამსტერდამი) — ჰააგა | 4:2 |
| 1934 | ველოსიტასი (გრონინგენი) — ფეიენოორდი | 3:2 | 1988 | პსვ (ეინდჰოვენი) — როდა (კერკრადე) | 3:2 |
| 1935 | ფეიენოორდი (როტერდამი) — ელმონდია | 5:2 | 1989 | პსვ (ეინდჰოვენი) — გრონინგენი | 4:1 |
| 1935 | როერმონდი — KFC (ალკმაარი) | 4:2 | 1990 | პსვ (ეინდჰოვენი) — ვიტესი (არმენი) | 1:0 |
| 1937 | ეინდჰოვენი — დე სპარტანი | 1:0 | 1991 | ფეიენოორდი (როტერდამი) — დენ ბოში | 1:0 |
| 1938 | ველსენი — AGOVV | 4:1 | 1992 | ფეიენოორდი — როდა (კერკრადე) | 3:0 |
| 1939 | ვაგენინგენი — პსვ (ეინდჰოვენი) | 2:1 | 1993 | აიაქსი (ამსტერდამი) — ჰერენვენი | 6:0 |
| 1943 | აიაქსი (ამსტერდამი) — DFC (დორდრეხტი) | 3:2 | 1994 | ფეიენოორდი (როტერდამი) — ნაიმეგენი | 2:1 |
| 1944 | ტილბურგი — გროენ სტერი | 9:2 | 1995 | ფეიენოორდი (როტერდამი) — ვოლენდამი | 2:1 |
| 1948 | ვაგენინგენი — DWV | 0:0* | 1996 | პსვ (ეინდჰოვენი) — სპარტა (როტერდამი) | 5:2 |
| 1949 | ქუიკი (ნაიმეგენი) — ელმონდია | 1:1* | 1997 | როდა (კერკრადე) — ჰერენვენი | 4:2 |
| 1950 | პსვ (ეინდჰოვენი) — ჰაარლემი | 4:3 | 1998 | აიაქსი (ამსტერდამი) — პსვ (ეინდჰოვენი) | 5:0 |
| 1957 | ფორტუნა 55 (გელეენი) — ფეიენოორდი | 4:2 | 1999 | აიაქსი (ამსტერდამი) — სიტარდი | 2:0 |
| 1958 | სპარტა (როტერდამი) — ვოლენდამი | 4:3 | | | |

** გამარჯვებული პენალტების სერიით გამოვლინდა*

### ამხანაგური მატჩი
19 მაისი. რუსეთი — ბელარუსი

ბელარუსის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — გენადი ტუმილოვიჩი (ჟემჩუჟინა, რუსეთი), ანდრეი საცუნკევიჩი (მინსკის დინამო); მცველები — ანდრეი ოსტროვსკი, ერიკ იახიმოვიჩი (მოსკოვის დინამო, რუსეთი), ანდრეი ლავრიკი, სერგეი გურენკო (მოსკოვის ლოკომოტივი, რუსეთი), ალექსანდრ ლუკვიჩი, რადისლავ ორლოვსკი (მოსკოვის ტორპედო, რუსეთი), იგორ ტარლოვსკი (ალანია, რუსეთი), სერგეი იასკოვიჩი (ანჟი, რუსეთი), სერგეი კოვალჩუკი (მინსკის დინამო), ვლადიმირ შუმეიკო (დნეპრ-ტრანსმაში); ნახევარმცველები — ალექსანდრ კულჩიი (მოსკოვის დინამო, რუსეთი), ვასილი ბარანოვი (სპარტაკი, რუსეთი), ალექსანდრ ჩაიკა (ალანია, რუსეთი), ვიაჩესლავ გერაშჩენკო (ჩერნომორეცი, რუსეთი), ვლადიმირ ჟურაველი (ჟემჩუჟინა, რუსეთი), დმიტრი ბალაშოვი (არსენალი, რუსეთი), იგორ ჩუმაჩენკო (დნეპრ-ტრანსმაში), ვადიმ სკრიპჩენკო (ბორისოვი); თავდამსხმელები — მაქსიმ რომაშჩენკო (მოსკოვის დინამო, რუსეთი), ვლადიმირ მაკოვსკი (კიევის დინამო, უკრაინა)



**გერმანელი** მცველი რენე შნაიდერი ზაფხულში კლუბს გამოიცვლის — დორტმუნდის „ბორუსიას" ფეხბურთელი როსტოკის „ჰანზაში" გადავა. თავის დროზე შნაიდერი დორტმუნდულ კლუბში სწორედ „ჰანზადან" გადავიდა. ეს 1996 წელს მოხდა. როსტოკის კლუბის წარმომადგენლის განცხადებით, ფეხბურთელი მათთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს, ხოლო რამდენი იქნება მისი ჯამაგირი, ჯერჯერობით უცნობია. რენე შნაიდერს გერმანიის ნაკრებში ერთადერთხელ უთამაშია. შეგახსენებთ, რომ 1996 წელს, როცა ბუნდესნაკრებმა ინგლისში კონტინენტის ჩემპიონის ტიტული მესამედ მოიპოვა, შნაიდერი ნაკრების მაშინდელი მწვრთნელის, ბერტი ფოგტსის რჩეულ ფეხბურთელთა შორის გახლდათ.

**იტალიური** „რომას" პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ თქვა, რომ იგი გუნდის მწვრთნელ ზდენეკ ზემანს მხარს უჭერს დოპინგების საწინააღმდეგო პროპაგანდაში. შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც ჩეხმა ზდენეკ ზემანმა ოფიციალურად განაცხადა, იტალიის ჩემპიონატში სტიმულატორების გამოყენება ჩვეულებრივი ამბავიაო, მას დიდი პრობლემები შეექმნა. სენსი მთლიანად მიემხრო ზემანს, ისიც დასძინა, მას გვერდში დავუდგები, საქმემ ძალიან სერიოზული სახე რომ მიიღოსო. „რომას" პრეზიდენტს არც ის დაუმალავს, რომ მისი კლუბი გაისად გაცილებით მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს, ვიდრე წლეულს. პრეზიდენტმა „რომას" მომავალი სატრანსფერო ცვლილებებიც გაამხილა — „რომა" ზაფხულში გენუის „სამპდორიას" თავდამსხმელ ვინჩენცო მონტელათი გაძლიერდება. დედაქალაქის კლუბის ხელმძღვანელობა მონტელას სანაცვლოდ 13 მილიონი გირვანქის გაღებას აპირებს. მონტელას გარდა „რომა" ამსტერდამის „აიაქსის" მცველ სანდი ოლისეთი დაინტერესებულა. არაა გამორიცხული, ნიგერიელთან კონტრაქტიც გაფორმდეს.

**ესპანეთის** „მალიორკას" თავდამსხმელ დანისთვის ლა კორუნიას „დეპორტივოს" დაუდგამს თვალი. ამ გუნდის მესვეურთა განცხადებით, ისინი მზად ყოფილან, „მალიორკას" ქონებას 7 მილიონი გირვანქა შემატონ, სანაცვლოდ კი დანი მიიღონ. ფორვარდი წლევანდელ სეზონში მართლაც შესანიშნავად თამაშობს და „დეპორტივოს" გარდა რამდენიმე უცხოური კლუბის ყურადღე-ბაც მიიპყრო. 25 წლის ფეხბურთელთან მოლაპარაკების დაწყებას აპირებს „ნიუკასლ იუნაიტედი". „შეფილდ უენსდეის" და „არსენალს" დანის შეძენა უკვე საბოლოოდ გადაუწყვეტიათ და შესაფერის მომენტს ელიან. დანით ლონდონის „ჩელსიცაა" დაინტერესებული. 19 მაისს, ბირმინგემში, თასების მფლობელთა თასის უკანასკნელი გათამაშების ფინალში „მალიორკა" „ლაციოს" ხვდება. გადავა თუ არა დანი ინგლისურ კლუბში, სწორედ ინგლისში ჩასვლისას გაირკვევა.

**ინგლისის** „ლივერპული" 3 მილიონ გირვანქას სთავაზობს გენუის „სამპდორიას" მცველის, პიერ ლეილის სანაცვლოდ. იტალიის ჩემპიონატის აუტსაიდერი „სამპდორია", სერია A-ში დარჩენისთვის რომ იბრძვის, ახალი სეზონისთვის გუნდის გადახალისებას აპირებს და საამისოდ ისეთ ფეხბურთელებს უშვებს, რომლებმაც თავი მაინცდამაინც ვერ გამოიჩინეს. „ლივერპულის" ფრანგი მწვრთნელის, ჟერარ ულიეს თქმით, ექსლანსელი ლეილი მის გუნდს საგრძნობლად გააძლიერებს.

**რუსეთის** ჩემპიონ მოსკოვის „სპარტაკს" დაახლოებით სამი კვირით ძირითადი მეკარე ალექსანდრ ფილიმონოვი გამოაკლდა. ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონი გუნდის ექიმთა განცხადებით, ფილიმონოვის მტკივანი მუხლი მეკარეს საშუალებას არ მისცემს დღეს, ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ ტურში ვოლგოგრადის „როტორთან" ითამაშოს. ფილიმონოვი, რომელიც ასევე რუსეთის ნაკრების მეკარეცაა, კვირას ცსკა-სთან მოგებულ მატჩში დაშავდა. „ფილიმონოვმა უნდა დაისვენოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა ტრავმა გართულდეს და მეკარისთვის სავალალო შედეგები გამოიღოს" — განაცხადა მოსკოვის „სპარტაკის" ექიმმა იური ვასილკოვმა. ფილიმონოვის ნაცვლად ვოლგოგრადელებთან მატჩში დედაქალაქელთა კარს მოსკოვის „დინამოს" ყოფილი მეკარე ანდრეი სმეტანინი დაიცავს.

**შოტლანდიელი** მცველი რიჩარდ გაფი არა და არ აპირებს კარიერის დასრულებას — 38 წლის ფეხბურთელი გაისად „ნოტინგემ ფორესტიდან" ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედში" გადავა. „ჩაქუჩები" (ლონდონელთა მეტსახელია) გაფთან მოლაპარაკებას უახლოეს მომავალში დაიწყებენ და მოთამაშეს, ალბათ, დაიყოლიებენ კიდეც. შეგახსენებთ, რომ ვეტერანი ფეხბურთელი თითქმის ერთი წლის წინ ამერიკის მეიჯორ სოკერ ლიგაში თამაშობდა. ცნობისთვის: რიჩარდ გაფი თავის დროზე „გლაზგო რეინჯერსის" ლიდერი გახლდათ და ამ კლუბთან ერთად ზედიზედ ცხრაჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი.

**პერუში** ორიოდ კვირის წინ სერია A-ს კლუბ „უდინეზეს" წარმომადგენლები იმყოფებოდნენ და იქიდან დაბრუნებულებმა განაცხადეს, რომ მათ „კრისტალიმას" ახალგაზრდა მცველის, ალვარადოს გადაბირება სურთ. „უდინეზეს" წარმომადგენლების თქმით, ისინი კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდნენ და 19 წლის ალვარადოს თაობაზე შეთანხმებას მიაღწიეს. ზაფხულში, ახალი სეზონის დაწყებამდე პერუელი მცველი უდინეში ჩავა და კლუბთან ერთად შეკრებას გაივლის. თუ „უდინეზეს" მწვრთნელმა საჭიროდ ჩათვალა, ალვარადო იტალიაში დარჩება, თუ არა და ტრანსფერი ერთი წლით გადაიდება.

**საფრანგეთის** ერთ-ერთი ტიტულიანი კლუბი „მონაკო" იტალიელი მწვრთნელის ნევიო სკალას მიწვევას აპირებს. „მონაკოს" ხელმძღვანელობა „პარმას" ყოფილ მწვრთნელთან უახლოეს დღეებში გამართავს მოლაპარაკებას. შეგახსენებთ, რომ ნევიო სკალას, რაც დორტმუნდის „ბორუსიადან" წავიდა, არსად უმუშავია. იტალიელმა „პარმაში" მუშაობისას გაითქვა სახელი — მისი ხელმძღვანელობით კლუბმა იტალიის თასი, იტალიის სუპერთასი, თასების მფლობელთა თასი, ევროპის სუპერთასი და უეფას თასი მოიგო.

**იტალიის** 1998 წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარებული ჯიჯი სიმონი ახალი სეზონიდან შესაძლოა სევილიის „ბეტისს" ჩაუდგეს სათავეში. ესპანური კლუბის ხელმძღვანელობა „ბეტისის" თავკაცის, ხავიერ კლემენტეს მოღვაწეობით უკმაყოფილო ყოფილა. სევილიური კლუბის პრეზიდენტი მანუელ ლუის დე ლოპერა სიმონის უახლოეს დღეებში შეხვდება და მათთან გადასვლაზე დაელაპარაკება. ჯიჯი სიმონიმდე „ბეტისს" კიდევ ერთი იტალიელი მწვრთნელის, ნევიო სკალას გადაბირება ეწადა, მაგრამ მიზანი ვერ აისრულა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# ცხოვრების დაბომბილი ნაწილი

ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ერთგული გულშემატკივრები გულდაცრუებულნი გახლავან. დიდი დეპრესია მათი ოდესღაც სანაქებო გუნდის ცხრილში მესამე პოზიციამ გამოიწვია.

დაგვეთანხმებით, მწვრთნელთა უმეტესობამ თავისი გუნდი მესამე ადგილზე რომ იხილოს უბედნიერესი იქნება, მაგრამ ამაყი „ცრვენა ზვეზდასთვის", რომელიც შარშანდლამდე 54 წლიან ისტორიაში მეორე ადგილს ქვემოთ არ დაცემულა მესამე ადგილზე დაშვება იგივეა, რაც სხვებისთვის ლიგიდან გავარდნა.

რა ხდება? 1991 წელს იუგოსლავია დაიშალა, უფრო სწორად მას ხორვატია, ბოსნია და მაკედონია გამოეყო. ქვეყანაში მხოლოდ სერბია და ჩერნოგორია დარჩნენ, რამაც ის მოიტანა, რომ „ცრვენა ზვეზდას" დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გასული რესპუბლიკებიდან ნიჭიერ მოთამაშეთა ნაკადი მოაკლდა.

ერთი წლის შემდეგ გაეროს სანქციებმა იუგოსლავიის კლუბები საერთაშორისო სარბიელს ჩამოაშორა, რამაც მოთამაშეთა საზღვარგარეთ გამალებული გაყიდვა გამოიწვია. „ცრვენა ზვეზდამ" რვა წლის განმავლობაში ასამდე ფეხბურთელი გაასხვისა. ბელგრადული პრესის მიხედვით: „ეს მოთამაშეები კარგი ოსტატები და ევროპული ბაზრისთვის ერთობ იაფნი იყვნენ".

და დღეს, როდესაც იუგოსლავიის ცა ნატოს ყუმბარმშენებითაა დაფარული, ხოლო საწვრთნელი და სათამაშო განრიგი ჩაშლილია, უკაპიკოდ დარჩენილი „ცრვენა ზვეზდა" საშუალოდ 21 წლის, გამოუცდელი მოთამაშეების ამარადაა დარჩენილი.

ბელგადის ცენტრში კლუბს ლამაზი სტადიონი აქვს, რომელიც, იყო დრო, ყოველ თამაშზე 50 ათას მაყურებლებს კრებდა, დღეს კი, ათასი კაცი თუ მიდის, დიდი საქმეა.

დაჩეჩჩილ გუნდს თითქოს ყველაფერი ეს არ ეყოფოდაო, დირექტორატის იმ წევრებმა სლობოდან მილოშევიჩის სოციალისტურ პარტიასთან რომ იყვნენ დაკავშირებული, პოპულისტური, მაგრამ გუნდის მშენებლობის თვალსაზრისით მცდარი ნაბიჯების გადადგმა დაიწყეს.

„ასე ცხოვრება ძალიან ძნელია. თითქოს, ახალი, ძლიერი გუნდის აგება გვსურს და თანაც, ორი კაპიკის საშოვნელად საუკეთესო ფეხბურთელებს ვყიდით" — ამბობს „ცრვენა ზვეზდას" მწვრთნელი ვოიმ ლაზარევიჩი.

მაგალითად, 18 წლის დეიან სტანკოვიჩი ავიღოთ. ის 16 წლისა აიყვანეს „ცრვენა ზვეზდაში", 17-ისა უკვე გუნდის კაპიტანი გახლდათ, ხოლო ახლა, 17 მილიონ დოლარად, რომის „ლაციოშია" გაყიდული.

„მაგრამ, ჩვენ, ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი საფეხბურთო ქვეყანა ვართ. უცხოურ კლუბებში ნებისმიერ სხვა სახელმწიფოზე მეტი მოთამაშე გვყავს გაშვებული და ამიტომ მწამს, რომ რამდენიმე წელიწადში ისევ ავაგებთ ძალიან ძლიერ გუნდს" — იმედიანადაა მწვრთნელი.

კაპიტანი გორან ბუნიევჩევიჩი, რომელიც ერთიხანობა ხორვატიის უძლიერეს კლუბში, სპლიტის „ჰაიდუკში" გამოდიოდა, ამბობს:

„ბოლო ნორმალური თამაში ოქტომბერში გვქონდა, უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში, ფრანგულ „ლიონთან". არადა, ბელგრადში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და მიხარია, რომ კონტრაქტის თანახმად კიდევ ორი წლის განმავლობაში უნდა დავრჩე".

ამბობენ ბუნიევჩევიჩს იტალიის და ესპანეთის კლუბები ეპატიჟებიანო.

„ცრვენა ზვეზდას" გულშემატკივრები ყველაზე მეტად ეროვნულ პირველობაზე პოზიციის დაკარგვას განიცდიან. მათი გუნდი დღეს განა მარტო „პარტიზანს" ჩამორჩება, არამედ ოდესღაც სუსტ „ობილიჩსაც". აღსანიშნავია, რომ „პარტიზანი" ადრე იუგოსლავიის თავდაცვის სამინისტროს კლუბი იყო, ახლა კი მთავრობასთან „ცრვენა ზვეზდაზე" უკეთესი კავშირი აქვს.

„ცრვენა ზვეზდას" დღეს პარლამენტის ლიდერი არკანი ხელმძღვანელობს, რომელიც ბოსნიის დროინდელი ეთნიკური წმენდის გამო სამხედრო დამნაშავედაა მიჩნეული. საქმეს ისიც ამძიმებს, რომ არკანის ვილა სტადიონის მეზობლადაა და ნატოს დასაბომბ ობიექტთა სიაში შედის.

მოკლედ, ზევიდან ბომბები ცვივა, ცხრილში კი „ცრვენა ზვეზდა" „პარტიზანს" 12 ქულით ჩამორჩება, ხოლო „ობილიჩს" ათით. ამ აურზაურში ლაზარევიჩმა გამოსავალზე დაიწყო ფიქრი. მან იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციას თხოვნით მიმართა, ჩემპიონატი გავაუქმოთო.

დღევანდელ მდგომარეობას ყველაზე მეტად, მაინც, „ცრვენა ზვეზდას" მუზეუმის კურატორი, ქალბატონი მილენა პავლოვიჩი განიცდის, თუმცა, როდესაც სტადიონის ტერიტორიაზე არსებულ ამ გალერეაში სტუმრები შედიან, იგი სიამაყის გრძნობით ათვალიერებენ იმ 660 ჯილდოს, რომელიც კლუბს არსებობის მანძილზე მოუხვეჭია.

„ბევრი რამ ყუთებში შევინახე, რათა ნატოს ბომბებისგან ვიხსნა" — ამბობს ის და შიშით გაჰყურებს ევროპის ჩემპიონთა და საკონტინენტთაშორისო თასებს, რომელთა უკან მათი მომპოვებელი გუნდის უზარმაზარი ფოტოა გამოკრული.

„ეს ფეხბურთელები ერთ წელიწადში გაყიდეს საზღვარგარეთ" — ამბობს ქალბატონი პავლოვიჩი.

მუზეუმში საგანგებო ადგილი 1958 წელს უკავია. სწორედ იმ თამაშს, რომლის შემდეგაც ბელგრადიდან შინ მიმავალი მატ ბასბისეული „მანჩესტერ იუნაიტედი" ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

„ცრვენა ზვეზდა" ჩვენთვის მხოლოდ კლუბი არ არის, ეს ეროვნული ღირსებაა, ჩვენი ცხოვრების ნაწილია, მაგრამ თუ მოეშვა, თუ გატყდა, დანარჩენ ევროპას ტოლს ველარ დაუდებს" — თქვა ერთმა ადგილობრივმა ჟურნალისტმა, ბელგრადული კლუბის ოდინდელმა ქომაგმა.

**კოლინ მაკინტაირი, როიტერი**

# უჩემპიონო ჩემპიონატი

იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ ქვეყნის მიმდინარე საფეხბურთო ჩემპიონატი გამარჯვებულის დაუსახელებლად შეწყვიტა.

ფედერაციის ხელმძღვანელთა განცხადებით, ნატოს აგრესიის პირობებში ფეხბურთის თამაში შეუძლებელია.

იუგოსლავიის პირველი დივიზიონის გუნდებმა 24 მარტის მერე რამდენიმე საქველმოქმედო ამხანაგური თამაში ჩაატარეს.

ჩემპიონატის შეწყვეტის მომენტში ნათამაშევი იყო 24 ტური, დარჩენილი გახლდათ 10. ცხრილის სათავეში იყო ბელგრადის „პარტიზანი", მეორეზე ბელგრადისავე „ობილიჩი" — 64, მესამეზე კი კვლავ და კვლავ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა" — 54.

„დავიცდით მაისის ბოლომდე, როდესაც უეფას აღმასკომის სხდომა უნდა გაიმართოს და შევიტყობთ დართავენ თუ არა ჩვენს კლუბებს ევროთასებზე გამოსვლის ნებას. ჩემპიონის დასახელებას კი არ ვჩქარობთ, რადგან ჩვენთვის უეფას გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანესია" — განაცხადა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბრანკო ბულატოვიჩმა, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ქვეყნის თასის ნახევარფინალურ ეტაპამდე მისულ გათამაშებას მაინც დაასრულებდნენ. ნახევარფინალში „პარტიზანს" „ობილიჩთან" უნდა ეთამაშა, ხოლო „ცრვენა ზვეზდას" ვოევოდინას „ნოვი სადთან".

„ყველა სხვა კლუბს შეუძლია ადრეულ არდადეგებზე წავიდეს, ამ ოთხეულს კი იქნებ მაინც მოუწიოს ნახევარფინალის თამაში" — ბრძანა გენერალურმა მდივანმა.



არგენტინელი გენიოსი, დიეგო მარადონა ფოლკლენდის კუნძულებზე ვიზიტადაა მიწვეული. იცით, რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ბრიტანეთსა და არგენტინას შორის დავისა და 80-იანი წლების ომის საბაბად ქცეული ტერიტორია უნდა მოინახულოს კაცმა, რომელსაც არგენტინული პასპორტი აქვს. არადა, ფოლკლენდური კანონების თანახმად, არგენტინის მოქალაქეს იქ ფეხის შედგმის უფლება არ აქვს.

# დიეგო, ომი და მშვიდობა

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ეროვნებით არგენტინელი და პასპორტით სხვა, ვინმე ესტებან ჩიკელო ამასწინათ ფოლკლენდებზე გახლდათ და იქაური ფეხბურთის ფედერაციისგან მარადონასთვის მიწვევა მიიღო. მიწვევა ფეხბურთის სუპერვარსკვლავის გარდა, მისი ოჯახის წევრებმაც მიიღეს.

„ჩემს გასაოცრად, დიეგოსა და მისი ოჯახის კუნძულებზე დაპატიჟება დამევალა" — განაცხადა ჩიკელომ, რომელიც მარადონების ოჯახისთვის უცხო არაა. სწორედ მან მოაწყო დიეგოს ვიზიტი ბრიტანეთში, ოქსფორდის უნივერსიტეტში, 1995 წელს.

ზემოთ ომი ვახსენეთ: ბრიტანეთსა და არგენტინას შორის სამხედრო დაპირისპირება 1982 წელს დაიწყო და ათასამდე ჯარისკაცის სიკვდილი მოიტანა. ომში გამარჯვებულმა ბრიტანეთმა უარი განაცხადა კუნძულებისთვის სუვერენიტეტის რაიმე ფორმით მინიჭებაზე. მეტიც, გაერთიანებული სამეფო ამ თემას განხილვის ღირსადაც არ თვლიდა და ყურს არ უგდებდა არგენტინელთა დაუსრულებელ პრეტენზიას.

მაგრამ, ქვეყნებს შორის ურთიერთობა ნელ-ნელა მაინც გაუმჯობესდა და მაისის ბოლოსთვის სამთავრობო დონეზე შეხვედრაც კი დაინიშნა. ამ შეხვედრაზე სწორედ ფოლკლენდის (არგენტინულად მალვინის) კუნძულების ბედზე იქნება საუბარი.

ჩიკელოს ზუსტად არაფერი უთქვამს, როგორ უნდა ჩავიდეს მარადონა იქ სადაც, როგორც არგენტინელს, ჩასვლა ეკრძალება. მან, როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ ის განაცხადა, ფოლკლენდის ფეხბურთის ფედერაციას მიპატიჟებული ჰყავსო.

„ვესაუბრე ხუთ ფოლკლენდელ ჩინოვნიკს, რომელთაგან ორმა დიდი ენთუზიაზმი გამოხატა, ერთი სასტიკი წინააღმდეგი წავიდა, ხოლო დარჩენილმა ორმა თავი შეიკავა. ახლა კიდევ სამთან მომიწევს გასაუბრება, მაგრამ ყველაფერზე მთავარი ის არის, რომ კუნძულებზე არსებობს სპორტსმენთა 60-კაციანი ჯგუფი, რომელიც მარადონას ვიზიტის იდეით აღფრთოვანებულია" — თქვა ჩიკელომ.

# ლაციოს დიდი კვირა

ხშირად გაიგონებთ, რომ ბოლო წლებში, იტალიის სერია A-ს ასეთი დაძაბული და საინტერესო მაისი არ ჰქონია. ვინ ვის? „ლაციო" თუ „მილანი"? რომაელები ცხრილის სათავეში გახლავან. ისინი მილანელებს ერთი ქულით უსწრებენ, მაგრამ ბევრი ფიქრობს, რომ სკუდეტო ბოლოს მაინც „მილანისა" იქნება.

არა, ცხადია „ლაციო" განწირული არ გახლავთ. შვედ მწვრთნელს, სვენ გორან ერიკსონს იმდენად ძლიერი გუნდი ჰყავს, რომ ჩემპიონატის დარჩენილი ორივე თამაში რომ მოიგოს, გასაკვირი ერთი წუთითაც არ იქნება. უბრალოდ, რომაელებს მილანელებზე ძნელი შეხვედრები ელით და ამიტომაც ალბათობა იმისა, რომ ქულას დაკარგავენ მეტია.

დღეს საღამოს „ლაციო" ფლორენციაში „ფიორენტინას" უნდა შეხვდეს. ორივეს გამარჯვება სჭირდება, „ლაციოს" სკუდეტოს მოსაგებად, ხოლო „ფიორენტინას" ოთხეულში ანუ მომავალ ჩემპიონთა ლიგაში ადგილის დასაბევებლად. ფლორენციული შეხვედრის შემდეგ ერიკსონის ბიჭებს ბირმინგემში თასების თასის ფინალი აქვთ სათამაშო. აქ მათი მოწინააღმდეგე ესპანური „მალიორკაა", ხოლო სეზონს დედაქალაქელები შინ, სერია A-ს მიმდინარე პირველობის უკანასკნელი მატჩით, უეფას თასის ახალ მფლობელთან, „პარმასთან" თამაშით დაასრულებენ.

„ჩვენი ბედი ერთ კვირაში გადაწყდება. წინ სამი თამაშია, „ფიორენტინასთან", „მალიორკასა" და „პარმასთან", რომელიც მთელი წლის ნაჯაფარს გასცემს პასუხს" — ამბობს „ლაციოს" მწვრთნელი — „ამ მატჩებიდან თითოეულს ფინალის მნიშვნელობა აქვს და თუ ვიმარჯვებთ, ისტორიაში ზღაპრულ სეზონს ჩავიწერთ".

„მილანს", რომელსაც ეს სეზონი ორწლიანი ხელმოცარვის შემდეგ, როგორც ეტყობა, მაინც, საეტაპო აქვს, კალენდარმა გაცილებით სუსტი მოწინააღმდეგეები შემოუტოვა. დღეს „შავ-წითლები" კარგა ხნის გავარდნილ აუტსაიდერს, „ემპოლის" მასპინძლობენ, ბოლოს კი, 23 მაისს, პერუჯას ეწვევიან.

კალენდრის განსხვავებამ „მილანის" დირექტორს, ადრიანო გალიანის ერთი კვირის წინ ათქმევინა, თუ „იუვენტუსის" დამარცხებას შევძლებთ, მწამს, სკუდეტოსაც მოვიპოვებთო. გალიანის „თუ" ახდა, „მილანმა" ჟორჟ ვეას ორი გოლით სძლია ტურინის გუნდს, ასე, რომ ახლა გამოჩნდება მართალი იყო თუ არა რწმენაში დირექტორი.

„ყველა გავაკვირვეთ. ვინ იფიქრებდა ორიოდ თვის წინ, რომ ჩვენ ჩემპიონის ტიტულისთვის ვიბრძოლებდით"? — იკითხა ვეამ და დასძინა — „მერწმუნეთ, „მილანს" ყველაფრის მოგება ხელეწიფება. დღესვე რომ გვათამაშოთ მთელს დანარჩენ მსოფლიოსთან, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება".

„მილანის" უპირატესობა გამოცდილებაცაა. დღეს, „შავ-წითელი" მაისურები კიდევ აცვიათ მოთამაშეებს, რომელთაც 1988-1996 წლების დიდი გუნდის დიდ წარმატებათა მიღწევაში დიდი როლი აქვთ ნათამაშევი. გავიხსენოთ მათი ტიტულები: იტალიის ხუთგზის ჩემპიონობა, სამგზის ჩემპიონთა თასი და ერთიც საკონტინენტთაშორისო თასი.

„ჩვენ, მილანელი ვეტერანები მიჩვეული ვართ დაძაბულ თამაშებს და მძაფრ კონკურენციას, რაც ვგონებ, „ლაციოსთან" შედარებით უპირატესობას გვანიჭებს" — ასეთია ხორვატი გამთამაშებლის ზვონიმირ ბობანის აზრი — „რომაელები, ალბათ, უფრო ნერვიულობენ, ვიდრე ჩვენ".

მაგრამ, „ლაციოს" სასარგებლოდ ისტორია მეტყველებს. იტალიის პირველობაზე, 1935 წლიდან დღემდე, 11 შემთხვევა იყო, როდესაც ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი კვირით ადრე ერთი გუნდი მეორეს მხოლოდ ქულით უსწრებდა და ამ 11 შემთხვევიდან ერთხელ, 1973 წელს, შეძლო მდევარმა, („იუვენტუსმა") ლიდერის გადასწრება.

„მართალი ბრძანებაა, „მილანს" ჩვენზე მეტი გამოცდილება აქვს და ასეთ დაძაბულობას, დღეს რომაა, არც მეტი, არც ნაკლები, შეჩვეულია, მაგრამ ჩვენ მთელი სეზონის განმავლობაში ვამტკიცებდით, რომ უფრო ძლიერი გუნდი გვყავს და ბოლო ორ ტურშიც იმავეს დავამტკიცებთ, რაგინდ ძნელიც უნდა ჩანდეს „ფიორენტინასთან" თამაში" — ბრძანა „ლაციოს" პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ.

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

— მე ვიყო ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი, არაფერი შეეგშალოს...

***— რა უნდა შემეშალოს?***

— რა ვიცი, გეშლება ხოლმე, რაღაცას იტყვი და მერე ხალხი დაგცინის.

***— ვინ დამცინის?***

— ყველანი, ბავშვებიც დაგცინიან.

***— რომელი ბავშვები?***

— ყველანი. ჰარი კიუელი, ალან სმიტი, ლი ბოუიერი... ყველანი დაგცინოდნენ.

***— ბოუერი რაღა ბავშვია?***

— ტონი ადამსთან შედარებით ნამდვილი ძუძუმწოვარაა.

***— ჯერ მაგათი ზრდილობა ვჭამე. ამ დროულ კაცს როგორ აუხსნენ...***

— თაობა მიდის, თაობა მოდის...

***— ერთი ანელკა გამაყიდინა...***

— საუკეთესო კაცს დაადგი თვალი.

***— საუკეთესო სხვა არის.***

— ისევ შეგეშლება და...

***— ანელკა ვერაფრით იქნება საუკეთესო.***

— რატომ?

***— ანელკა ძალიან ჰგავს რონალდოს. რონალდო კი აღარ არის საუკეთესო. ასე რომ, ანელკაც ვერ იქნება საუკეთესო.***

— შენი ვერ გავინე. წინა კვირას აქებდი და ადიდებდი მაგ „არსენალს". ახლა განზე გაუდექი...

***— იცი რა? მე არ მიყვარს ფრანგი და ჰოლანდიელი რომ დაფრინავენ. მე მიყვარს, ავსტრალიელი რომ დაფრინავს. ვგიჟდები, როცა ავსტრალიელი ჯობნის სამ მსოფლიო ჩემპიონს...***

— გაჰყიდიან მაგ ჰარი კიუელს. „იუვე" წაიყვანს.

***— აი, მანდ დამთავრდება.***

— რა?

***— ჰარი კიუელი.***

— რატომ?

***— მეოთხე ტურში მოაძრობს იმ თავის კოხტა ცაცია ფეხს მორენო ტორიჩელი და წაიღებს სახლში.***

— მერე?

***— მერე იანვრამდე აღარ დააბრუნებს.***

— იანვარში ხომ გამოვა?

***— კი, ბატონო, მაგრამ სწორედ ამ დროს მოახლოვდება „ლაციოსთან" თამაში.***

— მერე?

***— მერე მატიას ალმეიდა ვიღაცას ამოეფარება და იმ მორჩენილ კოჭს თავისი მადლიანი შიპებით დაუმუშავებს. ესეც შენი ორი თვე...***

— მერე?

***— რაღა მერე, დამთავრდა სეზონი და დამთავრდა ჰარი კაუელი.***

— ისე ლაპარაკობ, თითქოს ინგლისში კოჭებს არ ამტვრევდნენ. გიგზი სულ დამტვრეულ-დაჩეხილია.

***— გიგზი თვითდამტვრევის კაცია, ასევე ოუენიც. ასე რომ, მაგალითი არ არის დამაჯერებელი.***

— არის უამრავი მაგალითი...

***— ბატისტუტას რომ კაცი დაამტვრევს...***

— კვლავ ლანძღვა და მეტი არაფერი.

***— ეგ არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ მთავარ კაცად კვლავ ჯორჯ ვეა რჩება.***

— და გაზა?

***— რა გაზა?***

— გაზა არ არის მთავარი კაცი?

***— ვერ ვიპოვეთ სადაა, თორემ ისე მთავარი კაცია.***

— კიდევ ვინ ვერ იპოვეთ?

***— არ მინდა ვთქვა, მაგრამ ამ ბოლო დროს...***

— ვინ? ვინ ვერ იპოვე?

***— ზინედინი, ეს კარგი კაცი.***

# კიგანი ინგლისელთა ნამდვილი მწვრთნელია



კევინ კიგანი

დაიბადა 1951 წლის 14 თებერვალს იორკშირში, ქალაქ არმთორპში
1967 — შეგირდად მიდის „სკანთორპ იუნაიტედში"
1968 — ხდება პროფესიონალი ფეხბურთელი
1971 — 59 ათას დოლარად მას „ლივერპული" ყიდულობს
1972 — უელსის ნაკრების წინააღმდეგ თამაშობს ინგლისის ეროვნული გუნდის მაისურით
1977 — გადადის გერმანულ „ჰამბურგში" 813 ათას დოლარად
1980 — ბრუნდება ინგლისში, „საუთჰემპტონში", რომელმაც მასში 683 ათასი დოლარი გადაიხადა
1982 — ინგლისის ნაკრებში ბოლო მატჩს ატარებს (მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრებთან). იმავე წელიწადს 162 ათას დოლარად გადადის „ნიუკასლში".
1984 — „ნიუკასლი" ძველ პირველ დივიზიონში ბრუნდება და კიგანი ფეხბურთელობას თავს ანებებს.
1992 — ესპანეთში უფეხბურთოდ ცხოვრების შემდეგ ხდება „ნიუკასლის" მწვრთნელი
1993 — „ნიუკასლი" ამყავს პრემიერლიგაში
1997 — თავს ანებებს „ნიუკასლში" მუშაობას და იმავე წელიწადს მიდის „ფულემში"
1999 — ინიშნება ინგლისის ნაკრების მწვრთნელად ჯერ ოთხი თამაშით, მერე კი სამი წლით
ტიტულები: 1973, 76, 77 — ინგლისის ჩემპიონი. 1974 — ასოციაციის თასის მფლობელი. 1977 — ჩემპიონთა თასის მფლობელი. 1973, 1976 — უეფას თასის მფლობელი. 1979 — გერმანიის ჩემპიონი. 1978, 79 — ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი

ჭოჭმანისა და მარჩიელობის პერიოდი დამთავრდა, კევინ კიგანი ინგლისის ნაკრების მწვრთნელია — არა დროებითი და ოთხთამაშიანი, არამედ ნაღდი, ხანგრძლივპროგრამიანი და ხანგრძლივკონტრაქტიანი.

„გაფორმდა სამწლიანი ხელშეკრულება, რომელსაც ვადა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გაუვა" — განაცხადა ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელმა შეფმა დევიდ დევისმა.

მაშ ასე, 48 წლის კევინ კიგანმა, რომელიც აქამდე ეროვნულ გუნდს ოთხმატჩიან ხელმძღვანელობას უწევდა და ამ ოთხიდან ორი, პოლონეთთან და უნგრეთთან უკვე წარმატებით ჰქონდა გავლილი, გაურკვევლობას ბოლო მოუღო. ამიერიდან ინგლისის ნაკრები იმ პატრონის ხელშია, რომელსაც ქომაგთა დიდი ნაწილი ნატრულობდა.

პატრონმა თავისი ახალი ხელფასის შესახებ არაფერი თქვა. ანაზღაურებაზე არც დევისს დაცდენია სიტყვა, მაგრამ ხალხში ჭორად გაჟონა, რომ ფეხბურთის ასოციაცია „ლივერპულისა" და „ჰამბურგის" ყოფილ ვარსკვლავს წელიწადში მილიონზე მეტ დოლარს გადაუხდის.

„თქვენ რომ ჩემს ადგილზე იჯდეთ, მე კი თქვენსაზე, არ გკითხავდით ჯამაგირის ამბავს, რადგან ჩემი რწმენით ეს ერთობ კონფიდენციალურია. მინდა მხოლოდ ის განვაცხადო, რომ ბედნიერი ვარ სამწლიან კონტრაქტს რომ მოვაწერე ხელი. ნაკრების მოთამაშეებთან ორი მატჩი ჩავატარე, ყველაფეს გავეცანი და ვიგრძენი, რომ აქ მუშაობა მინდა." — ბრძანა ინგლისელთა თავკაცმა.

ბუნებრივია, რომ კიგანის ხელფასი გვარიანად დიდი იქნება, რადგან იგი ნაკრების სათავეში ლონდონის „ფულემიდან" მივიდა. „ფულემი" კი არც მეტი, არც ნაკლები, მულტიმილიონერის, მოჰამედ ალ ფაედის გუნდია. შეგახსენებთ, რომ ალ ფაედმა ამ მოკრძალებული კლუბის პრემიერლიგის გარნდად ქცევა გადაწყვიტა და საამისოდ დაიქირავა კიდეც კიგანი, რომელმაც პროგრესს უკვე ჩაუყარა საფუძველი — „ფულემი" მეორე დივიზიონიდან პირველში აღზევდა.

მაშ ასე, კიგანმა „ფულემთან" სარფიანი ხელშეკრულება გაწყვიტა და ნაკრებს მიაშურა, ხოლო მოჰამედ ალ ფაედმა მის შემცვლელად პოლ ბრეისუელი მიიწვია.

ბრეისუელი, „სანდერლენდის" ყოფილი ნახევარმცველი, გახლდათ პირველი ფეხბურთელი, რომელიც კიგანმა „ფულემისთვის" შეიძინა. ამიერიდან იგი ლონდონის გუნდში მოთამაშეც იქნება და მწვრთნელიც, ოღონდ...

„მოხარული ვარ, ჭორაობას ბოლო რომ მოეღო, ხოლო პრეზიდენტმა და კლუბის დირექტორატმა ნდობა გამომიცხადეს" — ბრძანა ბრეისუელმა, რომლის კანდიდატურასაც, თურმე თავად კიგანიც უჭერდა მხარს — „კიგანმა მითხრა, ვიცი, რომ შენ გუნდს ლაზათიან დახმარებას გაუწევო და დამაიმედა, თუ რამე გაგიჭირდა, იცოდე, ტელეფონის ყურმილი მუდამ ხელში მიჭირავსო. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ასეც მოვიქცევი".

„ჩვენ ასეთ გამოსავალს მივაგენით„ — დასძინა თავად კიგანმა — „გუნდის თამაშზე პასუხს კვლავ მე ვაგებ, ყოველი თამაშის ტაქტიკას განვსაზღვრავ და შემადგენლობასაც დავასახელებ."



კევინ კიგანი 2002 წლამდე ინგლისის ნაკრების მწვრთნელია

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა

XXXII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.05 | ნიურნბერგი — ბაიერნი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | აინტრახტი — დორტმუნდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | დუისბურგი — ლევერკუზენი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | მიუნხენ 1860 — ვერდერი | 2,2 | 3,1 | 2,8 |
| | შტუტგარტი — ფრაიბურგი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | ბოხუმი — ვოლფსბურგი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 16.05 | შალკე — კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა

XXX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.05 | კიოლნი — ბერლინი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | კოტბუსი — გიუტერსლო | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | მაინცი — ფორტუნა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | კარლსრუე — ვატენშაიდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 17.05 | არმინია — ფიურტი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა

XXXVIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.05 | არსენალი — ასტონ ვილა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | ჩარლტონი — შეფილდი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| | ჩელსი — დერბი | 1,5 | 3,8 | 4,7 |
| | ქოვენთრი — ლიდსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ლივერპული — უიმბლდონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | მანჩესტერი — ტოტენჰემი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| | ნიუკასლი — ბლექბერნი | 1,35 | 4,0 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | ნოტინგემი — ლესტერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | საუთჰემპტონი — ევერტონი | 1,5 | 2,5 | 8,0 |
| | ვესტ ჰემი — მიდლსბრო | 1,6 | 3,1 | 5,3 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი

პლეი ოფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.05 | ბოლტონი — იფსვიჩი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | უოტფორდი — ბირმინგემი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A.

XXXIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.05 | ფიორენტინა — ლაციო | 2,9 | 2,8 | 2,2 |
| | მილანი — ემპოლი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 0:1 | 1,3 | 3,8 | 5,3 |
| 16.05 | ბარი — იუვენტუსი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| | ბოლონია — სამპდორია | 2,2 | 3,5 | 2,2 |
| | პარმა — პიაჩენცა | 1,5 | 2,8 | 7,0 |
| | რომა — კალიარი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | სალერნიტანა — ვიჩენცა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | ვენეცია — ინტერი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | უდინეზე — პერუჯა | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B

XXXIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.05 | ატალანტა — რეჯანა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,3 |
| | კიევო — ვერონა | 3,0 | 2,5 | 2,4 |
| | კოზენცა — რეჯანა | 2,5 | 2,7 | 2,4 |
| | ჯენოა — ფ. ანდრია | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| | მონცა — ბრეშა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| | ნაპოლი — ლეჩე | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| | პესკარა — კრემონეზე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | რავენა — ლეკეზე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ტერნანა — ტრევიზო | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| | ტორინო — ჩეზენა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი

XXXIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.05 | ბარსელონა — ვალიადოლიდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 16.05 | ბილბაო — ვილიარეალი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ბეტისი — დეპორტივო | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| | სარაგოსა — ატლეტიკო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ესტრემადურა — ტენერიფე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | რეალი — ოვიედო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | სელტა — სოსიედადი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ვალენსია — ესპანიოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | სალამანკა — ალავესი | 2,3 | 3,0 | 2,7 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი

XXXVII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.05 | ბადახოსი — ეიბარი | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | ერკულესი — ალბასეტე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | მალაგა — ბარსელონა B | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | სევილია — რაიო ვალეკანო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 16.05 | მერიდა — ლას პალმასი (15[00]) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ლეგანესი — სპორტინგი (15[00]) | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| | ნუმანსია — ლეიდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | ორენსე — ატლეტიკო B | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| | რეკრეატივო — მალიორკა B | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ოსასუნა — ტოლედო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | კომპოსტელა — ლოგრონიესი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### საფრანგეთის თასის ფინალი

(პარიზი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.05 | ნანტი — სედანი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი

XXXII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.05 | ბრაგა — სპორტინგი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 16.05 | სეტუბალი — კამპომაიორენსე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | პორტუ — აკადემიკა | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 0:1 | 1,3 | 4,0 | 5,0 |
| | სალგეირუში — ამადორა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ლეირია — რიუ ავე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ალვერკა — ფარენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 17.05 | ბოავიშტა — ბეირა მარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

XXXIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.05 | აიაქსი — ვალვაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | კამბური — ტილბურგი | 3,5 | 3,0 | 1,9 |
| | მაასტრიხტი — ჰერენვენი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | ნაიმეგენი — ფეიენოორდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ეინდჰოვენი — ალკმაარი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | როდა — უტრეხტი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | სპარტა — სიტარდი | 1,7 | 3,4 | 3,8 |
| | ტვენტე — ბრედა | 1,5 | 4,0 | 4,4 |
| | ვიტესი — გრააფსხაპი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### ბელგიის ჩემპიონატი

XXXIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.05 | აალსტი — ოსტენდე | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| | ლიერსი — სტანდარდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | ლოკერენი — გენტი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| | ჰარელბეკი — გენკი | 5,3 | 2,8 | 1,7 |
| | ანდერლეხტი — კორტრაიკი | 1,2 | 5,6 | 7,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ლომელი — შარლერუა | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| | სტ. ტრუიდენი — ბევერენი | 1,5 | 4,0 | 4,2 |
| | ეკერენი — მუსკრონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | ბრიუგე — ვესტერლო | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 0:1 | 1,3 | 4,0 | 5,0 |

### პოლონეთის ჩემპიონატი

XXVI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15-16.05 | სტომილი — ვიძევი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | პოლონია — რაძიონკოვი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ზაგლებიე — ლეხი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | ოდრა — ამიცა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | პოგონი — კატოვიცე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | გურნიკი — ლეგია | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | ლკს — ბელხატოვი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | რუხი — ვისლა | 4,0 | 3,3 | 1,7 |

### თურქეთის ჩემპიონატი

XXXII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.05 | ფენერბაჰჩე — ქოჯაელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 16.05 | გენჩლერბირლიგი — ბურსა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | ქარაბუქი — ანთალია | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | დარდანელი — საქარია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ადანა — ალთაი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | სამსუნი — გაზიანთეფი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ისთანბული — ერზრუმი | 1,6 | 3,5 | 4,2 |
| | ტრაბზონი — ბეშიქთაში | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი

XXXV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.05 | სელტიკი — აბერდინი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| | დანდი — დანფერმლაინი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ჰართსი — დანდი იუნაიტედი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | კილმარნოკი — სტ. ჯონსტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | მოზერველი — რეინჯერსი | 4,4 | 3,1 | 1,7 |

### ავსტრიის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.05 | ლინცერი — ზალცბურგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ლუსტენაუ — ტიროლი | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| | რიდი — შტაირი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | შტურმი — რაპიდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი

XI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.05 | ლუცერნი — სტ. გალენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ქსამაქსი — ლოზანა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 16.05 | ციურიხი — ბაზელი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### რუსეთის ჩემპიონატი

VII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.05 | ცსკა — ჩერნომორეცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | როტორი — სპარტაკი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | როსტსელმაში — ზენიტი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ტორპედო — შინიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ნოვგოროდი — ურალანი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | სატურნი — ალანია | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | ჟემჩუჟინა — კრილია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ლოკომოტივი — დინამო | 2,1 | 2,8 | 3,3 |

### შვედეთის ჩემპიონატი

VI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.05 | ნორჩიოპინგი — ელფსბორგი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | კალმარი — იორებრო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 17.05 | ტრელებორგი — აიკ | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | იურგარდენი — იორგრიტე | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | გიოტებორგი — ჰალმსტადი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ჰელსინბორგი — ფრიოლუნდა | 1,5 | 3,3 | 6,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



თასების მფლობელთა თასი

XXXVI გათამაშება 1995-96 წლები

პარი სენ ჟერმენი

პარიზი, საფრანგეთი

სოლომონ ქულიაშვილი

UEFA Cup Winners' Cup

სრული ისტორია

# ნამდვილი ქართული დებიუტი

1995-96 **წლების** სეზონი განსაკუთრებულია ჩვენთვის. ევროთასებზე პირველად დაუშვეს სამი ქართული გუნდი. ეს გადაწყვეტილება უეფამ 95-ის 30 ივნისს მიიღო, 12 ივლისს კი კენჭისყარზე გაირკვა, რომ თასების თასის საკვალიფიკაციო წრეში „ბათუმის" მეტოქე იუგოსლავიური „ობილიჩი" იქნებოდა.

ამ ცნობამ მთელი საფეხბურთო საქართველო, მეტადრე კი, ცხადია, ბათუმელები გაახარა და რაც მათ გააკეთეს, სხვა ძნელად თუ მოახერხებდა. თვენახევარში ბათუმში კოხტა სტადიონი აშენდა.

ბათუმელთა დებიუტიც იღბლიანი გამოდგა. ბელგრადში ზღვისპირელებმა პაატა მაჭუტაძის გოლით მოიგეს, შინ კი ჩინებული ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და ფაქტობრივად განწირული მატჩი შემოაბრუნეს. 33-ე წუთისთვის სტუმრები 2:0-ს იგებდნენ და თამაშითაც სჯობდნენ ბათუმელებს. მერე ხუმრობდნენ კიდეც, მასპინძლები ქალებმა დააბნიესო. საქმე ისაა, რომ მატჩის წინ ორგანიზატორებმა ორივე გუნდის ფეხბურთელები მითიურ გმირებთან შეახვედრეს, ნახევრადშიშველმა ქართველმა ფერიებმა მონაწილეებს ყვავილების თაიგულები მიართვეს და არც თითო კოცნაზე უთქვამთ უარი...

ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ მეორე ტაიმში მინდორზე სხვა „ბათუმი" ვიხილეთ — მობილიზებული და აქტიური. შრომამ შედეგი გამოღო. მაჭუტაძემ და ამირან მუჯირმა (პენალტით) თითოჯერ გაუტანეს მეკარე შარიჩს და დებიუტი გამარჯვებით აღნიშნეს: „პირველ ტაიმში თამაშისწინა მონახაზი არ შესრულდა, ალბათ, ფსიქოლოგიური დატვირთვის გამო, მაგრამ მერე ყველაფერი გამოსწორდა. ვფიქრობ, უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით მოვიგეთ" — თქვა ნამატჩევს ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა ვალერიან ჩხარტიშვილმა.

შემდეგ იყო „ბათუმი" — „სელტიკი". მე-11 წუთზე მაჭუტაძის გოლი და ბედნიერი ზღვისპირა სტადიონი, მაგრამ გამოცდილებამ და კლასმა თავისი გააკეთა და „ბათუმმა" მერვედფინალში გზა შოტლანდიელებს დაუთმო.

ქართველებმა გათამაშების პირველი წრის კიდევ ორ შეხვედრაში გამოიჩინეს თავი. საბერძნეთის აეკ-ში მოთამაშე თემურ ქეცბაიამ შვეიცარიულ „სიონს" გაუტანა, ხოლო ტრაბზონსფორელმა შოთა არველაძემ — ლიტვურ „ჟალგირისს".

რაც შეეხება ფინალისტებს, თუ „პარი სენ ჟერმენის" გადამწყვეტ მატჩში თამაში ყველამ ლიგიკურად მიიჩნია, საშუალო ვენის „რაპიდის" ასეთი წარმატება გარკვეულწილად სიურპრიზების კატეგორიას განეკუთვნებოდა. მით უმეტეს, რომ ეს „რაპიდი" გაცილებით ჩამორჩებოდა იმას, რომელმაც 1985-ში თასთა თასის ფინალი წააგო ინგლისურ „ევერტონთან". თუმცა, მოულოდნელი არაფერი ყოფილა. კერკეტი ხასიათი ავსტრიელებმა ჯერ კიდევ შემოდგომაზე გამოავლინეს, როცა მერვედფინალში პორტუგალიურ „სპორტინგს" ურთულესი რაუნდი მოუგეს. ლისაბონში 0:2 დამარცხების შემდეგ შინ დამატებითში 4:0 დაამარცხეს. „რაპიდის" მწვრთნელი, ერნსტ დოკუპილი ამაყობდა თავისი ფეხბურთელებით და ამის საფუძველიც ჰქონდა. საგაზაფხულო ეტაპზე ვენელებმა ორივე საშინაო შეხვედრა 3:0 მოიგეს. ჯერ მოსკოვის „დინამოსთან", შემდეგ ჰოლანდიურ „ფეიენოორდთან".

ფინალის წინ საკითხი ასე იდგა: შეძლებდა პსჟ სეზონის მთავარ მატჩში თავისი ჩვეული თამაშის ჩვენებას, თუ უთანხმოება ზედაპირზე ამოტივტივდებოდა. საქმე ისაა, რომ ბოლო თვეებში ბევრს აღარ აწყობდა მწვრთნელის, ლუის ფერნანდესის გუნდში დარჩენა. საფრანგეთის ჩემპიონატში რამდენიმე წაფორხილებამ ამ კონფლიქტს მხოლოდ ხელი შეუწყო.



ბათუმი — სელტიკი. შეყილაძე (მარჯვნივ) ტომის წინააღმდეგ

მაგრამ ფინალში პარიზელებმა კარგად ითამაშეს და მეტი იღბალი რომ ჰქონოდათ, ორი-სამი ბურთის სხვაობით უნდა მოეგოთ. ბოლო წუთებზეც კი, როცა „რაპიდმა" გააფთრებით შეუტია, სახიფათო მომენტები ავსტრიელთა მეკარე კონსელის კართან იქმნებოდა. მატჩის ბედი კი 29-ე წუთზე გადაწყდა, როცა ბრუნო ნგოტის დარტყმული საჯარიმო მცველ შტიოგერს მოხვდა და „რაპიდის" კარში აღმოჩნდა. მთლიანობაში კი პარიზელთა უპირატესობა მათი შუა ხაზის გამართულმა თამაშმა გადაწყვიტა. პირველ რიგში ეს იური ჯორკაეფზე ითქმის. საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა მატჩს სილამაზეც შემატა და აზრიც. გოლიც სწორედ მისი წაქცევისათვის დანიშნული ჯარიმის შემდეგ გავიდა.

ლუის ფერნანდესმა საკმაოდ ორიგინალური ტაქტიკური სქემით ათამაშა გუნდი. საყრდენი ნახევარმცველი ლე გუენი ლიბეროდ გაამწესა, ცენტრალური მცველები როში და ნგოტი ფლანგებზე წასწია და მეტოქე ფორვარდების პერსონალური მეურვეობა დაავალა, ხოლო განაპირა მცველებს — ფურნიესა და კოლეტერს ცენტრალური ზონის კონტროლი უხდებოდათ. ასეთმა სქემამ გაამართლა. ავსტრიელებს სივრცე შეეზღუდათ და შეტევის ორგანიზება გაუჭირდათ, პსჟ-ს კი სწრაფი თამაშის საშუალება მიეცა. ერთადერთი, რამაც ფერნანდესის უკმაყოფილება გამოიწვია, ბრაზილიელი რაის ადრეული ტრავმა და მის მაგიერ მინდორზე გამოსულ დელი ვალდესის აშკარად სუსტი თამაში იყო.

ბოლო თვეების მოვლენათა ფონზე პარიზელებს თავისი გუნდის წარმატებისა მაინცდამაინც არ სჯეროდათ და ამიტომაც ორმაგად გაიხარეს, როცა იტალიელმა მსაჯმა პაირეტომ თამაში დაამთავრა.

მეორე დღეს პარიზის „პარკ დე პრენსის" სტადიონზე თამაში არ ტარდებოდა, მაგრამ ტრიბუნები მაინც გაივსო. ქომაგები პსჟ-ს პირველ და საფრანგეთის მეორე ევროთასს ზეიმობდნენ. ქვეყნის პრეზიდენტმა, ჟაკ შირაკმა მთელი სამუშაო დღე დაუთმო გამარჯვებულ ფეხბურთელებს. ელისეს სასახლეში მათ დიდებული შეხვედრა მოუწყვეს, ელისეს მინდვრებზე კი შუაღამემდე არ შეწყდარა მხიარულება.

ასეთი იყო 1996 წლის მაისი ლუის ფერნანდესისთვის. თავის დროზე მან მიშელ პლატინის მხარდამხარ ევროპის ჩემპიონატი მოიგო, მერე, 90-იანის დასაწყისიდან მწვრთნელობას მიჰყო ხელი. მისი პსჟ ოთხი წლის განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ ეპარებოდა საფეხბურთო ელიტას და ბოლოს საწადელსაც მიაღწია.

ფერნანდესთან ქართველებსაც ახლო მოგონებები გვაკავშირებს. შარშან, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდში, მისმა ბილბაოს „ატლეტიკმა" თბილისის „დინამოს" მოუგო.

**1996-97 წლების გათამაშება იხილეთ სამშაბათის სარბიელში**



პსჟ ფინალური მატჩის წინ. მარცხნიდან დგანან: გერენი, ლე გუენი, ნგოტი, რაი, ლამა, როში; სხედან: ფურნიე, ლოკო, ჯორკაეფი, ბრავო, კოლეტერი

**წინასწარი წრე** ობილიჩი (ბელგრადი, იუგოსლავია) — **ბათუმი** (საქართველო) 0:1 (მაჭუტაძე), 2:2 (სარაჩი, პოპოვიჩი; მაჭუტაძე, ა. მუჯირი); ტილიგული (მოლდოვა) — **სიონი** (შვეიცარია) 0:0, 2:3; ვაც-სამსუნგი (უნგრეთი) — **სილექსი** (მაკედონია) 1:1, 1:3; ტპს (ფინეთი) — **ტეუტა** (ალბანეთი) 1:0, 0:3; ვადუცი (ლიხტენშტაინი) — **პრადეც კრალოვე** (ჩეხეთი) 0:5, 1:9; **აპოელი** (კვიპროსი) — ნეფთჩი (აზერბაიჯანი) 3:0, 0:0; რექსჰემი (უელსი) — **პეტროლული** (რუმინეთი) 0:0, 0:1; ვალეტა (მალტა) — **ინტერი** (ბრატისლავა, სლოვაკეთი) 0:0, 2:5; **შახტიორი** (უკრაინა) — ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 4:1, 1:0; **ჟალგირისი** (ლიტვა) — მურა (სლოვენია) 2:0, 1:2; გკს (კატოვიცე, პოლონეთი) — **არარატი** (სომხეთი) 2:0, 0:2 პენ 4:5; დერი სიტი (ირლანდია) — **ლოკომოტივი** (სოფია, ბულგარეთი) 1:0, 0:2; **მაკაბი** (ჰაიფა, ისრაელი) — კლაქსვიკარი (ფარერები) 4:0, 2:3; დინამო 93 (მინსკი, ბელარუსი) — **მოლდე** (ნორვეგია) 1:1, 1:2; გრევენმახერი (ლუქსემბურგი) — **რეიკიავიკი** (ისლანდია) 3:2, 0:2; ლიეპაია (ლატვია) — **ლანტანა** (ესტონეთი) 1:2, 0:0

### პირველი წრე

ბათუმი — **სელტიკი** (შოტლანდია) 2:3 (მაჭუტაძე, ქეცბაია; ტომი 2, დონელი), 0:4 (ტომი 2, დონელი, ჰეკერი); ლიეპაია — **ფეიენოორდი** (ჰოლანდია) 0:7, 0:6; **ბრიუგე** (ბელგია) — შახტიორი 1:0, 1:1; პრადეც კრალოვე — კოპენჰაგენი (დანია) 5:0, 2:2; ლოკომოტივი (სოფია) — **ჰალმშტადი** (შვედეთი) 3:1, 0:2; რეიკიავიკი — **ევერტონი** (ინგლისი) 2:3, 1:3; ინტერი — **სარაგოსა** (ესპანეთი) 0:2, 1:3; **რაპიდი** (ავსტრია) — პეტროლული 3:1, 0:0; მოლდე — **პარი სენ ჟერმენი** (საფრანგეთი) 2:3, 0:3; **დინამო** (მოსკოვი, რუსეთი) — არარატი 3:1, 1:0; **აეკ** (საბერძნეთი) — სიონი 2:0 (ცეხოსი, ბორბოკისი), 2:2 (ბონვენი, გიალუიზი; ქეცბაია, ბატისტა); **მიონხენგლადბახი** (გერმანია) — სილექსი 3:0, 3:2; ტეუტა — **პარმა** (იტალია) 0:2, 0:2; ჟალგირისი — **ტრაბზონსპორი** (თურქეთი) 2:2 (ტერეშკინასი, მაკულინისი; შ. არველაძე, ალდეელი), 0:1 (პამი); **სპორტინგი** (პორტუგალია) — მაკაბი 4:0, 0:0; აპოელი — **დეპორტივო** (ესპანეთი) 0:0, 0:8

### მერვედფინალი

სპორტინგი — **რაპიდი** 2:0, 0:4; **დინამო** (მოსკოვი) — პრადეც კრალოვე 1:0, 0:1 პენ 3:0; ჰალმშტადი — **პარმა** 3:0, 0:4; **პსჟ** — სელტიკი 1:0, 3:0; **სარაგოსა** — ბრიუგე 2:1, 1:0; **მიონხენგლადბახი** — აეკ 4:1 (დალინი 2, პფლიფსენი, ვინსოფი; მაჩლაჰენისი), 1:0 (ეფენბერგი); ევერტონი — **ფეიენოორდი** 0:0, 0:1; ტრაბზონსპორი — **დეპორტივო** 0:1 (დონატო), 0:3 (დონატო, ბებეტო 2)

### მეოთხედფინალი

დინამო (მოსკოვი) — **რაპიდი** 0:1 (შტუმპფი), 0:3 (იანკერი 2, შტიოგერი); პარმა — **პსჟ** 1:0 (სტოიჩკოვი), 1:3 (მელი; რაი 2, ლოკო); **დეპორტივო** — სარაგოსა 1:0 (დაიდი), 1:1 (ბებეტო; მორიენტესი); მიონხენგლადბახი — **ფეიენოორდი** 2:2 (ვინსოფი, კასტენმაიერი; ვან გასტელი, კუმანი), 0:1 (ტრუსტფული)

### ნახევარფინალი

ფეიენოორდი — **რაპიდი** 1:1 (კუმანი; იანკერი), 0:3 (იანკერი 2, შტუმპფი)

დეპორტივო — **პსჟ** 0:1 (ჯორკაეფი), 0:1 (ლოკო)

ფინალი. ბრიუსელი. 8 მაისი. 37 500 მაყურებელი

**პსჟ 1:0 რაპიდი**

1:0 ნგოტი (29)

**პსჟ:** ლამა, ლე გუენი, კოლეტერი, ნგოტი, როში, ჯორკაეფი, ბრავო, გერენი, ფურნიე (ლასერი 76), რაი (დელი ვალდესი 11), ლოკო

**რაპიდი:** კონსელი, ჰატცი, გუგი, ივანოვი, შიოტელი, შტიოგერი, შტუმპფი (ბარიშიჩი 46), მარაშეკი, იანკერი, კიუბაუერი, ჰერაფი

**მსაჯი:** პაირეტო (იტალია)

# ლევან მოსეშვილი: სამეულში ვერმოხვედრა ქართული კალათბურთისთვის ტრაგედია იქნება



ლევან მოსეშვილი

კარს მოგვადგა კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის მორიგი საკვალიფიკაციო ეტაპი, მოახლოვდა 19 მაისი, დღე, როდესაც საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები შვეიცარიულ ტურნირში ჩაებმება. და დგას რაღაც განსაკუთრებული მოლოდინის ჟამი...

ქართული კალათბურთი სასიცოცხლო მნიშვნელობის ნახტომისთვის ემზადება. მზადება იქით იყოს და ახლა სწორედ გადახტომაა საჭირო. თანაც შორს, რაც შეიძლება შორს და ზუსტად იმ მანძილზე, რომელიც ნაკრებსა და გულშემატკივართ შორის ჩატეხილ ხიდს გაამთელებს, საკალათბურთო ევროპის ფერხულში ჩაგვაბამს და გულში იმედს ჩაგვისახავს, მომავლის იმედს...

ვინ-ვინ და ნაკრების მთავარ მწვრთნელ ლევან მოსეშვილს ყველაზე უკეთ მოეხსენება თავისი გუნდის ავ-კარგი. ბატონმა ლევანმა ზედმიწევნით იცის ყველაფერი, ეგ არის, საბოლოოდ ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, შვეიცარიაში ვის წაიყვანს — შემადგენლობას ახლა ნუ მკითხავთ, კვირა საღამოს გამოვაცხადებო — წინასწარვე აფრთხილებს „სარბიელს“ და ვარჯიშის შემდეგ ინტერვიუზე სიამოვნებით თანხმდება:

**— რამდენადაც ვიცი, უკვე საბოლოოდ გაირკვა, რომ შვეიცარიაში ნაკრებს ვერც სტეფანია შეეშველება და ვერც შენგელია...**

— სამწუხაროდ, ასეა. შენგელიას პოლონური კლუბი არ ათავისუფლებს, რადგან იქ კვლავაც თამაშები მიმდინარეობს. ფედერაციაც უძლურია — კახას „შლიონსკთან“ პირადი კონტრაქტი აკავშირებს. რაც შეეხება სტეფანიას, მისი ჩამოსვლაც გამოირიცხა. სიეტლიდან გუშინ ფაქსი მივიღეთ, სადაც ამ კლუბის პრეზიდენტი პირადად მომმართავს, რომ სტეფანიას ჯერაც ფეხი სტკივა, მკურნალობს და მისი გამოშვება არ შეგვიძლიაო. სადაზღვევო გადასახადზე სიტყვა არ დასცდენიათ.

**— გამოდის, რომ შვეიცარიაში წამსვლელი ნაკრების ყველა კანდიდატი უკვე თბილისშია და თქვენი ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. საინტერესოა, ლეგიონერებზე რა აზრი შეგექმნათ, მას შემდეგ, რაც საქმეშიც იხილეთ?**

— ვფიქრობ, ურიგოდ არ გამოიყურებიან. ოთხივე მათგანი — ბერძენიშვილი, ბეჟანიშვილი, ბოისა და ნაცვლიშვილი ფორმაშია. ისინი გაცილებით უკეთ გამოიყურებიან, ვიდრე ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე კალათბურთელები. ეს განსაკუთრებით ფიზიკურ მზადყოფნაში იგრძნობა.

**— ვატო ნაცვლიშვილმა საბოლოოდ მოიშუშა ფეხის ტრავმა?**

— ჩამოვიდა თუ არა, ვესაუბრე და მითხრა, რომ ჯანმრთლადაა და საბრძოლველად მზად არის. ვარჯიშზე რომ ვნახე, ამაში თავადაც დავრწმუნდი.

**— ბეჟანიშვილის ვიზის პრობლემა თუ მოგვარდა?**

— ეს საკითხი ჯერაც გასარკვევია. ვაკო, მოგეხსენებათ, გვიან ჩამოვიდა და მისი პასპორტი რომ არ გვქონდა, გერმანიის ვიზა ველარ გავუხერხეთ. თუმცა, არსებობს გამოსავალიც. ბეჟანიშვილი, ალბათ, ჯერ თურქეთში ჩავა და შვეიცარიაში იქიდან გაფრინდება. გუნდი კი, როგორც დაგეგმილი იყო, ორშაბათს ფრანკფურტში გაემგზავრება და იქიდან მატარებლით მოგვიწევს წასვლა.

**— გუნდის მომზადებით თუ ხართ კმაყოფილი?**

— უკეთაც შეიძლებოდა, თუმცა უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. ხუთი სრულყოფილი ვარჯიში ჩავატარეთ. შეგვეძლო ორჯერადი წვრთნაც, მაგრამ მწვრთნელებმა აღარ გავრისკეთ, რადგან ზოგიერთი მოთამაშე მიუჩვეველია ასეთ რეჟიმს, კუნთები ასტკივდათ და გადავწყვიტეთ, ზედმეტად აღარ დაგვეტვირთა.

**— მერიის თასზე, სანკტ პეტერბურგის „სპარტაკთან“ შეხვედრაზე რას იტყვით?**

— თქმა არ უნდა, მსგავსი თამაშები წაადგება ნაკრებს. მართალია, დონე არც მთლად ისეთია, ჩვენ რომ გვინდა, მაგრამ სულ არაფერს ნამდვილად სჯობს.

**— გეთანხმებით, რომ „სპარტაკი“ სულაც არ გახლავთ ევროპული გრანდი, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მათ ვერაფერში ვჯობეთ.**

— მათი ჯობნა ჩვენთვის სულაც არ იყო მთავარი. უმთავრესი გუნდის შეთამაშება და იმ ბირთვის გამოკვეთა იყო, რომელსაც შვეიცარიაში დავეყრდნობით. ამიტომაც უკლებლივ ყველა კალათბურთელს მივეცით თავის გამოჩენის შესაძლებლობა.

**— ალბათ, დასკვნებსაც გამოიტანდით...**

— ახლა გადაჭრით ვერაფერს გიპასუხებთ. ზოგმა უფრო მეტად გამოავლინა თავი, ზოგმაც ნაკლებად. თუმცალა გეტყვით, რომ გუნდის თამაშით კმაყოფილი არ ვარ. აშკარაა, რომ ბიჭები შეუთამაშებლები არიან.

**— პრეტენზიები უპირველესად უკანახაზელებთან უნდა გქონდეთ. „სპარტაკისგან“ მიღებული 84 ქულა, დამეთანხმებით, ძალიან ბევრია. ერთი სიტყვით, დაცვა ვერ დგას სასურველ დონეზე.**

— აკი გითხარით, გუნდს სათამაშო პრაქტიკა აკლია. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ჩემგან დავალებულ ზონურ დაცვას თავი ვერ გაართვეს. ახალგაზრდა დინამოელები გაცილებით უკეთ გამოიყურებიან ამ კომპონენტში, ვიდრე ეროვნული გუნდის ბევრად მაღალ კლასის წევრები.

**— მოდით, უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ. თქვენ ურთულესი ამოცანის წინაშე დადგებით, როცა გამთამაშებელთა შორის არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. ამ პოზიციაზე ხუთი კანდიდატი გყავთ — ჟღენტი, თორთლაძე, ხოშტარია, მაისურაძე და გაგნიძე. ხუთივე გამოცადეთ და თქვენი აზრის მოსმენა საინტერესო იქნება.**

— ვფიქრობ, თქვენს მიერ ჩამოთვლილი კალათბურთელებიდან ნამდვილი გამთამაშებელი, რასაც პირველი ნომერი ჰქვია, აჩიკო ჟღენტია. მან მშვენივრად ითამაშა ნაკრების წინააღმდეგ მერიის თასზე. იმ თამაშისთვის ჟღენტი „აზოტს“ ვათხოვეთ. გარდა იმისა, რომ საუკეთესო იყო თავის ამპლუაში, შედეგიც ბრწყინვალე ჰქონდა — 35 ქულა. აი „სპარტაკთან“ უკვე ველარ იტყოდი ჟღენტი სჯობდა თუ თორთლაძე, ორივემ საშუალოდ სამიანზე ითამაშა. ლენინგრადელებთან მეორე დღის შეხვედრაში დამაჯერებლად გამოიყურებოდა ხოშტარია. ბურთს აზრიანად ათამაშებდა და არც გადაცემებს აყოვნებდა. თავისი პლიუსები აქვთ მაისურაძეს და გაგნიძესაც. მაისურაძეს სწრაფ თამაშში ვანიჭებ უპირატესობას, გაგნიძე კი, მართალია, ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ საკმაოდ გონიერია. განსაკუთრებით მისი უშიშარი ხასიათი მომწონს.

გეთანხმებით, რომ არჩევანის გაკეთება მართლაც საძნელო საქმეა, თუმცა ისეთ შეცდომას არ დავუშვებ, რამაც შესაძლოა ჩვენი დამარცხება განაპირობოს.

**— სიმართლე გითხრათ, ბოლომდე ვერ ჩავწვდი თქვენს აზრს. ნუთუ ხუთივეს გუნდში მოხვედრის თანაბარი შანსი აქვს?**

— შედარებით მეტი შანსი აქვს დავით თორთლაძეს, რადგან ამ ეტაპზე მისი გამოცდილება, ვფიქრობ, უფრო წაადგება გუნდს. სხვას ვერაფერს გეტყვით.

**— გასაგებია, რომ სრულ შემადგენლობას კვირას დაასახელებთ, მაგრამ გუნდის ბირთვზე ალბათ დღესაც შეიძლება საუბარი...**

— შვეიცარიაში აუცილებლად წავიყვან ჯაფარიძეს, ბერძენიშვილს, ვატო ნაცვლიშვილს, ჩხეიძეს, ბოისას და, თუ რაიმე არ გართულდა, ბეჟანიშვილს. დანარჩენი ვნახოთ.

**— თითქმის ყველა ტანმაღალ კალათბურთელს განაღდებული აქვს ნაკრებში ადგილი. მხოლოდ უკანახაზელთა ვინაობაა ყოფილა გასარკვევი.**

— ასეა. გამთამაშებლებზე უკვე გითხარით. დანარჩენებს კი ამ დღეებში კიდევ დავაკვირდები. ჩემპიონატის მატჩებსაც შევხედავ და... მერე გადავწყვეტ, ვის ვენდო. გოგობერიშვილი, ვაშაკიძე, აბრამიძე, გიგი ნაცვლიშვილი — ამათგან საუკეთესოებს შევარჩევ. არ დაგავიწყდეთ ნიკა ცქიტიშვილიც.

**— ამ თემაზე საუბარი ძალიან გაგვიგრძელდა. ახლა ის ვთქვათ, მოწინააღმდეგე გუნდებზე თუ გაქვთ რაიმე წარმოდგენა.**

— ძალიან ზედაპირული და ისიც კალათბურთელების გადმოცემით. ვიცი, რომ ძლიერია ბელგიის ნაკრები. უხვად ჰყავთ ტანმაღალი და ამერიკულ სკოლაგამოვლილი კალათბურთელები. ერთ დროს პორტუგალიაში მოთამაშე ვატო ნაცვლიშვილი იმ ქვეყნის ნაკრებს სერიოზულ ძალად მიიჩნევს. ბიჭებისგანვე შემექმნა წარმოდგენა დანიაზეც. საქართველო ბესიკ ლიპარტელიანის მწვრთნელობის დროსაც შეხვედრია დანიას და დაუმარცხებია კიდეც. ანგარიშგასაწევია შვეიცარიის ნაკრებიც, რომელიც, როგორც ტურნირის მასპინძელი, ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება. შვეიცარიელებზე სდასუ-ს მწვრთნელმა, ნუგზარ კანდელაკმა მოიპოვა გარკვეული ინფორმაცია და ამასაც უეჭველად გავითვალისწინებ. ალბათ, სწორედ ამ ნაკრებებთან მოგვიწევს ბრძოლა სამეულში მოსახვედრად,

**— დამეთანხმებით, რომ თქვენს მიერ ჩამოთვლილი ცნობები მეტოქეების შესახებ ძალიან მწირია?**

— ამაზე ფედერაცია უნდა ზრუნავდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მაგ დონემდე ჯერაც ბევრი გვიკლია. რაც ვიცით, ამას უნდა დავჯერდეთ.

**— რატომღაც აქამდე გუნდის სათამაშო მონახაზზე არაფერი დაგცდენიათ. რა ტაქტიკას ირჩევთ შვეიცარიაში?**

— ჩვენი ტაქტიკა ძირითადად დაცვაზე იქნება აგებული, რაც უპირველესად მეტოქის შეტევების ჩაშლას გულისხმობს. თუ ეს შევძელით და გამოგვივიდა ისე, როგორც ჩეხეთში იქაური ნაკრების წინააღმდეგ მოვახერხეთ, მერწმუნეთ, რომ წარმატებას წინ ვერაფერი დაუდგება. ჩვენ რომ აქცენტი თავდასხმაზე გავამახვილოთ და არ გამგვივიდეს, მაშინ ყველაფერი თავდაყირა დადგება.

აუცილებლად უნდა მოვიგოთ ფარქვეშ ბრძოლა. ამ პოზიციაზე საკმაოდ აგრესიულები არიან ვატო ნაცვლიშვილი, ბოისა და ცქიტიშვილი. ფარზე თუ ვიმარჯვეთ, კარგი შესაძლებლობები გვიჩნდება პირველი შეტევის განვითარებისას, რადგან სწრაფად გარბიან წინ ჩხეიძე, მაისურაძე, გოგობერიშვილი.

გარდა ამისა, დამუშავებული გვაქვს ხუთი კომბინაცია, რასაც ამ დღეებში კიდევ უფრო დავხვეწავთ.

**— დაბოლოს, ყველაზე მთავარი. რისი იმედი უნდა ჰქონდეს ქართველ გულშემატკივარს?**

— დარწმუნებით აბა, რა გითხრათ, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ გადავლახავთ ამ ბარიერს. საკმაოდ იმედიანად ვართ განწყობილნი როგორც მწვრთნელები, ასევე მოთამაშეები.

ღმერთმა ნუ ქნას, სამეულში ვერ მოვხვდეთ. ეს ხომ დიდი ტრაგედია იქნება ქართული კალათბურთისთვის. ალბათ, ჩემი სამწვრთნელო მოღვაწეობაც აქ დამთავრდება, ყოველ შემთხვევაში, ნაკრებიდან აუცილებლად წავალ.

**გიორგი გიქაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი 34 ტური ანონსი

15 მაისი. ჟურის ბაღი. 11 საათი
**შევარდენი — სდასუ**

15 მაისი. ჟურის ბაღი. 12. 30 საათი
**ვითა — კოლხა**

15 მაისი. ჟურის ბაღი. 14 საათი
**[illegible]**

15 მაისი. ჟურის ბაღი. 15. 30 საათი
**მაკაბი — დინამო**

15 მაისი. ჟურის ბაღი. 17 საათი
**სტუ — აზოტი**

სტუ — „აზოტის“ ტურის ცენტრალურ მატჩად მიჩნევა ცოტათი კი გვიჭირს, რადგან ორივე გუნდს პლეი ოფის საგზური დაგულებული აქვს და გულდაარხეინებულებს მოგება იმიჯისთვისლა სჭირდებათ. თუმც ესეც საქმეა — სახელს გაფრთხილება უნდა. ჰოდა, მოწინააღმდეგენიც თავს არ დაზოგავენ და ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდება.

ექვსგზის ჩემპიონი „ვითაც“ პირნათლად მოიხდის თავის მოვალეობას სტუდენტურ „კოლხასთან“. გამარჯვებულის ვინაობის დადგენას დიდი ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება. აუტსაიდერ მეტოქესთან შეხვედრაში „ვითა“ მოედანზე უბრალოდ გაისეირნებს.

არც ასკ — თსუ შეხვედრის შედეგის გამოცნობას უნდა დიდი მისნობა. პლეი ოფის ბოლო საგზურისთვის ბრძოლაში „დინამოს“ მოცილე სტუდენტები შანსს ხელიდან არ გაუშვებენ და ხელჩაქნეულ არმიულ კლუბს იოლად დაიფრენენ.

დინამოელებიც მთლიანად წარმოაჩენენ თავიანთ შესაძლებლობებს „მაკაბისთან“. მით უმეტეს, რომ „მაკაბი“ ბოლო ხანს მოგებას შეეჩვია და მისი ძლევა ძალების დიდ მობილიზებას მოითხოვს. და მაინც, ფავორიტად „დინამო“ ითვლება, გუნდი ხომ მაღალ მიზნებს ისახავს და ფეხის წამოკვრა პლეი ოფთან დამშვიდობებად დაუჯდება. ერთი სიტყვით, მოსეშვილის გუნდს მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს და ქულებს ტყუილუბრალოდ ქარს არ გაატანს.

სდასუ-სთვის წლეულს ზემო ოთხეულში ადგილი არ გამოინახა და შეიძლება ითქვას, შარშანდელი პრიზიორისთვის ჩემპიონატი გასულ უქმეებზე დასრულდა. ამიტომაც რა გასაკვირია, თუ სტუდენტობას ბრძოლის ჟინი გაუნელდა. მათთვის დარჩენილი მატჩები ფორალობაა.

სდასუ-ს მეტოქე „შევარდენიც“ ასეთ დღეშია (თუ უარესში არა), მაგრამ ეს ის გუნდი არ არის, გულზე ხელი დაიკრიფოს. ერთმა მუჭა „შევარდნებმა“ იქნებ მოახერხონ გულგატეხილი და უმიზნოდ დარჩენილი სტუდენტების ძლევა.

**აჩიკო გელაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი 35 ტური ანონსი

16 მაისი. ჟურის ბაღი. 11 საათი
**მაკაბი — კოლხა**

16 მაისი. ჟურის ბაღი. 12. 30 საათი
**სდასუ — ასკ**

16 მაისი. ჟურის ბაღი. 14 საათი
**შევარდენი — სტუ**

16 მაისი. ჟურის ბაღი. 15. 30 საათი
**თსუ — ვითა**

16 მაისი. ჟურის ბაღი. 17 საათი
**დინამო — აზოტი**

თუ ასკ-ისა და „შევარდენის“ სახით გავარდნილი გუნდების ვინაობა დიდი ხანია ცნობილია, კვირას დაგეგმილ ბოლოსწინა ტურშიც კი სათუოა გაირკვეს პლეი ოფში მოხვედრილი გუნდების სრული შემადგენლობა.

მეოთხე საგზურისათვის მებრძოლ „დინამოს“ და თსუ-ს ურთულესი მატჩები ელით, შესაბამისად, ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ რუსთავის „აზოტსა“ და ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონ თბილისის „ვითასთან“. ოდნავ უკეთეს სიტუაციაში იმყოფება „დინამო, რომელიც სტუდენტებზე სამი მოგებით წინაა და ამდენივე თამაშით მეტი აქვს ჩატარებული. გამოტოვებული შეხვედრებიდან თსუს „მაკაბის“ დამარცხება არ უნდა გაუჭირდეს, მაგრამ „აზოტთან“ და სდასუ-სთან კი ურთულესი თამაში ელის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „დინამო“ — „აზოტის“ შეხვედრაში თბილისელებს უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვთ. ერთადერთი დამარცხებით ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა „აზოტმა“ მართალია ჯერ კიდევ მესამე წრეში დაიბევა ადგილი პლეი ოფში, მაგრამ მეტოქეებისათვის ოქროს ფასად ღირებულ მატჩებს ლიდერისათვის შესაფერისი ალმაცლობით ატარებს და დაუნდობლად ართმევს ძვირადღირებულ ქულებს. არა მგონია, რუსთაველებმა ტრადიციას უღალატონ და ამჯერადაც ბოლომდე არ დაიხარჯონ. თავის მხრივ, დინამოელებმაც დაამტკიცეს გასულ უქმეებზე, რომ თანდათან ფორმაში შედიან და ტრავმირებული ცენტრით, ვალერი კილაძით შეძლეს ძირითადი კონკურენტების, თსუ-სა და სდასუ-ს დამარცხება. თუ თბილისელებმა „ურალ გრეიტთან“ კონტრაქტგასული ბეჟანიშვილიც დაიმატეს, მათი შანსებიც, ბუნებრივია, ერთიორად იზრდება.

დინამოელებისაგან განსხვავებით, „ვითასთან“ შეხვერდაში თსუ-ს ექსლეგიონერით გაძლიერების იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდეს — პირიქით, შეიძლება ტრავმირებული ლევან ქარაბაკი მოისაკლისოს და გამარჯვებაზე ფიქრსაც დაემშვიდობოს. საეჭვოა, „ვითამ“ სტუდენტებს რაიმე დაუთმოს, რადგან ჩემპიონებს მეორე წრეში მათთან დამარცხება ჯერაც ახსოვთ.

მეშვიდე ადგილზე მყოფმა „მაკაბიმ“ თუ ისევე კარგად ითამაშა, როგორც 32-ე ტურში სდასუ-ს წინააღმდეგ, მაშინ მეზობლის „კოლხას“ დამარცხება აღარ უნდა გაუჭირდეს, მაგრამ არც ახალგაზრდა, პერსპექტიული კალათბურთელებით დაკომპლექტებული „კოლხაა“ ხელწამოსაკრავი. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ აღნიშნულმა წყვილმა ძალები შემოინახოს, რადგან პირველი ლიგის ორ საუკეთესოსთან „სამედიცინო აკადემიასთან“ და „ბათუმთან“ მოუწევთ ბრძოლა უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.

პლეი ოფის კიდევ ერთი წევრი სტუ აშკარა ფავორიტია აწ უკვე პირველი ლიგის ბინადარ „შევარდენთან“ მატჩში, მაგრამ თუ სამქულიანები წაუვიდა, საავიაციო ქარხნის გუნდს შეუძლია ხასიათი გაუფუჭოს სტუდენტებს.

რაც შეეხება სდასუ — ასკ-ს მატჩს, შეიძლება ითქვას, რომ ამ გუნდებისათვის ჩემპიონატი დამთავრდა. სდასუ-ს მეექვსე ადგილი გარანტირებული აქვს, ხოლო არმიელები უმაღლეს ლიგას დაემშვიდობნენ.

**როლან ლაგუჩიძე**


იყიდება

თეთრი. გამჭვირვალე ორგანული მინა.

3 მილიმეტრიანი

ტელეფონი: 95-22-56 (სანდრო) 95-05-57 (მალხაზი)

(საღამოს საათებში)

1999 NBA PLAYOFFS

ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ (ᲡᲐᲛ ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲛᲓᲔ)

# ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲨᲘ ᲥᲐᲠᲘ ᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲭᲔᲠᲘᲐ?

13 მაისი

## ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

### ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ — ᲛᲘᲚᲣᲝᲙᲘ 3:0

**ᲛᲘᲚᲣᲝᲙᲘ 91:99 ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ**

მილუოკი: კასელი (10 ქულა, 12 პასი), ალენი (20 ქულა, 11 მოხსნა), რობინსონი (23), ტომასი (12), ჯონსონი; მ. კარი (8), დ. კარი (7), გილიამი (6), ტრეილორი (3), ვორქმენი (2)

ინდიანა: ჯეკსონი (16 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა), მილერი (33), მულინი (13), დ. დევისი (4), სმიტსი (8); პერკინსი (8), როუზი (7), ა. დევისი (4), ბესტი (3), მაკკიი (3)

„მილუოკი ბაქსისთვის" პლეი ოფში მობრუნება არცთუ წარმატებული აღმოჩნდა. მეორე ნომრად განთესილ ინდიანას მხოლოდ სამი შეხვედრა ეყო სამი მოგების დასგროვებლად და მეშვიე ნომრად განთესილ მეტოქეს იოლად აკვრეინა გუდა-ნაბადი. თუმცა მთლიანობაში 1999 წლის სეზონს უილბლო სულაც არ ეთქმის „ბაქსისთვის". ეს გუნდი წლების განმავლობაში თავის ცენტრალური დივიზიონის ცხრილის ფსკერს ხეხავდა და აღმოსავლეთის რვა უძლიერეს გუნდს შორის მოხვედრა ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. ეს ოცნება რეალობად აქცია სიეტლიდან წამოსულმა ჯორჯ კარლმა. პლეი ოფში კი მილუოკელმა „ხარირმებმა" ერთი გამარჯვებაც ვერ დასტყუეს ლარი ბერდის ბიჭებს. თვითონ ბერდმა, ვინც შარშან აღმოსავლეთის ფინალში გაიყვანა „პეისერზი", მეტოქე შეაქო, კარგი გუნდია, მომავალ სეზონში კიდევ მოუმატებენო. ისიც თქვა, გასაკვირია, როგორ მოვიგეთ სამ მატჩში სერია, ვფიქრობ, ბედმა გაგვიღიმაო. ეს ისე, ზრდილობის გამო თქვა. ბედი არაფერ შუაშია. მართალია, ინდიანამ მთლად ვერ დაჩაგრა, მაგრამ ბრძოლაში აჯობა მილუოკის. ამაში ლომის წილი ინდიანას ლიდერმა, სნაიპერმა რეჯი მილერმა დაიდო ისევე როგორც წინა ორში. მილერმა და მეტოქე გუნდის ლიდერმა რეი ალენმა ეს სერია ლამის ორი კაცის შერკინებად აქციეს და აქ ბურთი და მოედანი უფრო გამოცდილს დარჩა. ამან ფაქტობრივად გადაწყვიტა კიდეც ყველაფერი.

### ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ — ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ 1:2

**ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ 97:85 ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ**

ფილადელფია: სნოუ (13), აივერსონი (33 ქულა, 10 ჩაჭრა), ლინჩი (17), რეტლიფი (4), გეიგერი (4); ჰუგსი (13), ჰილი (11 ქულა, 9 მოხსნა), მაკკიი (2), ჰონიკატი, მაჰონი, მუჰამედი

ორლანდო: დ. არმსტრონგი (15), ჰარდევეი (18), ანდერსონი (23), გრანტი (4), ოსტინი (4); ჰარპრინგი (10 ქულა, 10 მოხსნა), ოუთლო (7), ვილკინსი (2), დოლიკი (2), ფ. არმსტრონგი, შეიერი

„ფილადელფია 76"-ის ლიდერ ალენ აივერსონზე ყველაფერი თუ არა, ბევრი რამაა დამოკიდებული, და ეს ამ მატჩში კიდევ ერთხელ დამტკიცდა. მან ჩვეულად, ქარივით იქროლა მოედანზე, მეტოქე გუნდს 33 ქულა ჩაუგდო და მეორედ გამოავლო პირში ჩალა ორლანდოელებს, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ ფილადელფიელის გაჩერებას. ამ შეხვედრაში ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სტუმრები მინდორში ქარის დაჭერას ლამობდნენ. წინა, მეორე შეხვედრაში, აივერსონს ანფერნი ჰარდევეი დაუდგა და კარგადაც გააუვნებლა — სულ 13 ქულა ჩააგდებიან და ამით ისევ ორლანდომ იხეირა. ჰარდევეიმ ამჯერადაც იგივე დაუპირა მასზე 18 სანტიმეტრით დაბალ აივერსონს, მაგრამ იგი მაგრად დაუხვდა და წინა შეხვედრის საკუთარი მაჩვენებელი 20 ქულით გააუმჯობესა. ფილადელფიას შეტევის დროს მას ჰარდევეი მეურვეობდა, ორლანდოს იერიშებისას კი აივერსონი ჰარდევეის კი არა, თავისხელა დარელ არმსტრონგს აეწება და პირდაპირ გააწამა. არმსტრონგმა ცხრაჯერ დაკარგა ბურთი და მხოლოდ ერთი დააკლდა ლიგის პლეი ოფების ანტირეკორდის დასამყარებლად. სამაგიეროდ, ლიგის პლეი ოფების ყველა დროის რეკორდი თვითონ აივერსონმა დაამყარა — ათჯერ ჩაუჭრა მეტოქეებს ბურთი, შემდეგ კი განაცხადა, დაცვაში მართლა კარგად ვითამაშე და თანაგუნდელებს და მწვრთნელებს ვაგრძნობინე, რომ ბურთის ჩაგდების გარდა სხვა რამეც მეხერხება. საერთოდ, მარტო ბევრი ქულის გაკეთება მთავარი არ არისო.

## ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

### ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ — ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ 2:1

**ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ 71:85 ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ**

მინესოტა: ბრენდონი (16), პილერი (5), სმიტი (7), გარნეტი (23 ქულა, 12 მოხსნა), გარეტი (6); მიჩელი (4), რობინსონი (3), ნესტეროვიჩი (2), ჯეკსონი (2), ჰამონდსი (2), სილი (1), პეტერსონი

სან ანტონიო: ჯონსონი (24), ელი (9), ელიოტი (7), დანკანი (15 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი, 5 დაფარება), რობინსონი (17 ქულა, 18 მოხსნა, 7 პასი); კერსი (4), ჯეკსონი (4), დანიელსი (2), როუზი (2), კინგი (2), კერი, პერდიუ

სან ანტონიოს ლიდერი, ყმაწვილკაცი ტიმ დანკნი შესაძლოა კიდეც გახდეს სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, მაგრამ ერთი რამე ნამდვილად დარჩება გულში ხინჯად. მინესოტასთან სერიაში მან ვერ მოახერხა თითქმის მისი კბილა კევინ გარნეტის დაჩაგვრა. გარნეტმა პირიქით აჯობა სანანტონიოელ მეტოქეს სერიის სამივე თამაშში. დანკანს აშკარად არ გაუვიდა გარნეტთან ის ნომრები, რითაც ლიგის სხვა თავდამსხმელებს (თუნდაც ამ ამპლუაში ბოლო 10 წელიწადში ყველაზე გამორჩეულ კარლ მელოუნს) პირში ჩალას ავლებდა. მართალია, სან ანტონიომ ეს თამაში მოიგო და სერიაში მეორედ დაწინაურდა, მაგრამ ამაში დანკანის წვლილი არცთუ დიდია. „სფურზი" ამას უფრო დევიდ რობინსონს უნდა უმადლოდეს, არადა, დანკანმა ამ სეზონში რობინსონს გუნდის ლიდერობა ჩამოართვა. პლეი ოფში კი „ადმირალმა" კვლავ თავისი ჩვეული ადგილი დაიკავა და მაღალ მინესოტელებს სიქა გააცალა.

ასე იყო ამ შეხვედრაშიც. რობინსონი მოედნის ორივე ბოლოში მძლავრობდა და ფარი მყარად ეპყრა ხელით, 18 მოხსნაც მიითვალა. „სფურზის" მთავარი მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი აღტაცებას ვერ მალავდა. „დევიდი წარმოუდგენლად კარგი იყო — ამბობდა იგი — იგი მართლა კაცია. დევიდი ჩვენ გუნდს ხელმძღვანელობდა ფარზე, თავდასხმაში და დაცვაშიც. ის უბრალოდ ბრწყინვალედ აკეთებს თავის საქმეს. თვითონ რობინსონი მეტოქის ძლევას ერთობ გაეხარებინა და წინა შეხვედრაში წაგება შემთხვევითობას მიაწერა: მარცხს ვერ ვეგუებით, ჩვენი სიძლიერე კიდევ ერთხელ დავამტკიცეთო. თავისი თავისი გუნდის 216-სანტიმეტრიანი ცენტრის მხარდამხარ მშვენივრად ირჯებოდა მასზე 36 სანტიმეტრით დაბალი გამთამაშებელი აივერი ჯონსონი და თავისი წვლილი შეიტანა მოგებაში.

### ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ — ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ 2:1

**ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ 102:88 ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ**

ჰიუსტონი: მობლი (5), დიკერსონი, პიპენი (37 ქულა, 13 მოხსნა), ბარკლი (30 ქულა, 23 მოხსნა), ოლაჯუონი (5); პრაისი (10), ჰარინგტონი (7), მეკი (6), კარი (2), რობერტსი

ლეიკერსი: ფიშერი (3), ბრაიანტი (13 ქულა, 9 მოხსნა, 5 პასი, 4 დაფარება), რაისი (13), რიდი (8), ონილი (26 ქულა, 10 მოხსნა, 4 დაფარება); ჰარპერი (8), ჰორი (8), ფოქსი (5), რუქსი

როცა ჰიუსტონის ერთ-ერთ ლიდერს, სკოტი პიპენს, ყველა ჩამოწერილად თვლიდა, სწორედ მაშინ აფეთქდა იგი და მთელ ლეიკერსს შავი დღე აყარა. პიპენმა ყველას გული იმიტომ გაუტეხა, რომ მან წინა წაგებული თამაშებიდან პირველში ცუდად ითამაშა, მეორეში — საშინლად (სულ სამ ქულას დასჯერდა) და ძირითადად ჰიუსტონმა სწორედ მისი უგერგილობის გამო წააგო. ამჯერად ექსჩიკაგოელის თამაშს მხოლოდ ბრწყინვალე შეიძლება ეწოდოს. პიპენმა წლევანდელი პლეი ოფების და თავისი ყველა დროის რეკორდი დაამყარა. მის გაჩერებას ამაოდ ცდილობდა ლეიკერსი, მაგრამ პიპენი ქულას ქულაზე აგდებდა და ამასთან თავისი სიმაღლის მოთამაშეები დაცვაშიც გამწარა. დღეს უსაშველოდ ბევრი ენერგია მომეძალა და კარგადაც დავხარჯეო, ამბობდა იგი. პიპენის გვერდით მართლაც სანაქებოდ შრომობდა ჩარლზ ბარკლი და მანაც საკმაოდ ბევრი ბურთები ყარა მეტოქეთა ფარში. დასაფასებელია ბარკლის თავგამოდება ამ სერიაში. იგი კი არ თამაშობს, ეომება ლეიკერსის ყოველ წევრს და ამას თავისი ახსნა აქვს: იგი მე-15 სეზონს ატარებს ლიგაში და ამ ხნის განმავლობაში ვერ აისრულა სანუკვარი ოცნება, ვერ შეავლო ხელი საჩემპიონო თასს. ამ მხრივ პიპენს და გუნდის სხვა ლიდერს, ჰაკიმ ოლაჯუონს თავი ქუდში აქვთ. პიპენი ექვსჯერ, ხოლო ოლაჯუონი ორჯერ გამხდარან ჩემპიონები და ბარკლის ახლა ეს აცოფებს. ეს 198-სანტიმეტრიანი კაცი პირდაპირ სჭამდა (რა თქმა უნდა ზომიერების ფარგლებში) მასზე 20 სანტიმეტრით მაღალ შაკილ ონილს, რომელიც ლიგის 400-მდე მოთამაშეს შორის ყველაზე მძიმე წონისაა და აკი აჯობა ფარქვეშ ამ მთაკაცს — 23 ბურთი მოხსნა.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲧᲨᲕᲘᲚᲘ**



REUTERS

მინესოტა — სან ანტონიო. მინესოტელმა დინ გარეტმა ვერც ხელის დაჭერით მოახერხა დევიდ რობინსონის შეჩერება

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

13 მაისს სკოტი პიპენი (მარჯვნივ) დაცვის პირველ ხუთეულში აირჩიეს, მისმა ჰიუსტონმა კი ლეიკერსი დაამარცხა

# ᲞᲘᲞᲔᲜᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲓ ᲨᲔᲣᲥᲔᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ საკალათბურთო ასოციაციის 29 კლუბის მთავარმა მწვრთნელებმა დაასახელეს ლიგის დაცვის პირველი და მეორე ხუთეულები. მოხდა უპრეცედენტო რამ: პირველ ხუთეულში ხუთის ნაცვლად ექვსი კაცი დასახელდა. ამის მიზეზია ის, რომ ორმა მოთამაშემ, სკოტი პიპენმა და კარლ მელოუნმა თანაბარი რაოდენობის ხმები დააგროვეს. აღსანიშნავია, რომ მწვრთნელს არა აქვს უფლება, ხმა მისცეს თავის გუნდის მოთამაშეს.

დაცვის პირველი ხუთეული: *ჯეისონ კიდი (ფინიქს სანზი), გერი პეიტონი (სიეტლ სუპერსონიქსი), სკოტი პიპენი (ჰიუსტონ როკიტსი), კარლ მელოუნი (იუტა ჯაზი), ტიმ დანკანი (სან ანტონიო სფურზი), ალონზო მურნინგი (მაიამი ჰითი).*

დაცვის მეორე ხუთეული: *მუკი ბლეილოკი (ატლანტა ჰოქსი), ედი ჯონსი (შარლოტ ჰორნეთსი), ფი ჯეი ბრაუნი (მაიამი ჰითი), თეო რეტლიფი (ფილადელფია 76), დიკემბე მუტომბო (ატლანტა ჰოქსი).*

სკოტი პიპენი მერვედ შეიყვანეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დაცვის პირველ ხუთეულში. ამით იგი გაუთანაბრდა ბობი ჯონსს და მხოლოდ ერთით ჩამორჩა თავის ყოფილ თანაგუნდელს მაიკლ ჯორდანს. გერი პეიტონს ეს პატივი მეექვსედ ერგო, კარლ მელოუნს — მესამედ, ტიმ დანკანს — მეორედ, ჯეისონ კიდს და ალონზო მურნინგს — პირველად.

**ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲯᲔᲠ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲣᲗᲔᲣᲚᲨᲘ**

| რაოდ. | მოთამაშე | კლუბი |
|---|---|---|
| 9 | ᲛᲐᲘᲙᲚ ᲯᲝᲠᲓᲐᲜᲘ | ჩიკაგო |
| 8 | ᲑᲝᲑᲘ ᲯᲝᲜᲡᲘ | დენვერი, ფილადელფია |
| 8 | ᲡᲙᲝᲢᲘ ᲞᲘᲞᲔᲜᲘ | ჩიკაგო, ჰიუსტონი |
| 7 | ᲣᲝᲚᲢ ᲤᲠᲔᲖᲔᲠᲘ | ნიუ იორკი, კლივლენდი |
| 7 | ᲓᲔᲜᲘᲡ ᲠᲝᲓᲛᲐᲜᲘ | დეტროიტი, სან ანტონიო, ჩიკაგო |
| 6 | ᲓᲔᲘᲕ ᲓᲔᲑᲣᲨᲔᲠᲘ | დეტროიტი, ნიუ იორკი |
| 6 | ᲓᲔᲜᲘᲡ ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘ | სიეტლი, ფინიქსი, ბოსტონი |
| 6 | ᲒᲔᲠᲘ ᲞᲔᲘᲢᲝᲜᲘ | სიეტლი |

**1999 წლის 19 მაისს 16 საათზე ბარ „მანჰეტენში"**
**(ვაშლოვანის ქუჩა №8, ახვლედიანის, ყოფილი პეროვსკაიას ქუჩის კუთხეში)**

**გაიმართება**

## XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელების და სპორტის მოღვაწეების

**გამოსავლენი სარეფერენდუმო კომიტეტის პირველი სხდომა.**

**კომიტეტის წევრთა დასწრება სავალდებულოა.**

ᲡᲐᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲓᲣᲛᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ




# „იტალიური წრე“ სიცილიიდან

## დღეს ოთხმოცდამეორედ გაუდგება გზას ველოსიპედისტთა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მრავალდღიანი ველორბოლა ჯირო დიტალია


ეროვნული ბიბლიოთეკა

შარშანდელი ჯიროს ჩემპიონი მარკო პანტანი

ედი მერქსი, ჟაკ ანკეტილი, ბერნარ ინო, მიგელ ინდურაინი — ყველა ეს დიდი ველომრბოლი თავს ვალდებულად თვლიდა მონაწილეობა მიეღო ამ თითქმის საუკუნის ისტორიის მქონე შეჯიბრებაში. და არა მარტო მონაწილეობდნენ, თითოეულ მათგანს რამდენჯერმე აქვს მოგებული „იტალიური წრე“. ამ სპორტსმენებზე ყურადღების გამახვილება კი იმიტომ დაგვჭირდა, რომ თითოეული მათგანი მსოფლიოს ყველაზე მთავარი ველორბოლის მრავალგზის გამარჯვებულია. უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით მერქსიც, ანკეტილიც, ინოცა და ინდურაინიც 5-5-ჯერ მივიდნენ პირველები საფრანგეთის „დიდი მარყუჟის“ ფინიშებზე.

ცხადია, რომ ერთ სეზონში ამ ორი შეჯიბრების მოგება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ინდურაინის წასვლის შემდეგ რჩეულთა შორის მოხვედრის პრეტენზია შარშანდლამდე არავის განუცხადებია. როლან ჟალაბერი პატარ-პატარა ტურებს იგებდა და ისე იუმჯობესებდა რეიტინგს. ბიარნე რიისმა და იან ულრიხმა თითოჯერ მოახერხეს ტურში გამარჯვება, ისე რომ ჯიროს არც გაკარებიან — ორივესთვის ძალა არ ეყოთ. ცულე შარშან ჯიროში კი გამოვიდა, მაგრამ როგორც მერე გაირკვა უფრო ტურ დე ფრანსისთვის მომზადების მიზნით. და აი, 1998 წელს 56 კილოგრამიანმა, ტარანივით გამხმარმა მარკო პანტანიმ, რომელსაც ბოლო სამი წლის მანძილზე სამი მძიმე ავარია შეემთხვა, კლინიკებშიც კარგა ხანს მოუწია ყურყუტმა, არაორაზროვნად გადაუგდო ხელთათმანი დიადებს — ჯერ ჯირო მოიგო, მერე კი ტურ დე ფრანსზე სპეციალისტების მიერ (მათ შორის ბერნარ ინოც იყო) ათწლეულის მეუფედ შერაცხულ გერმანელ რობოტს იან ულრიხსაც გადაუარა.

იანი, ცხადია, არ ჩამოვიდა ჯიროზე, და საერთოდ, ულრიხი ალბათ ერთადერთი ველოსიპედისტია, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ერთადერთი შეჯიბრებისთვის — ტურისთვის ემზადება. ჯიროში არ გამოვა ამერიკელთა იმედი ჯულიჩიც და კიდევ რამდენიმე სპორტსმენი. ისინიც ტურ დე ფრანსისათვის ილესავენ კბილებს, იმედი აქვს იქ გაუსწორდებიან ჯიროგამოვლილ და რა თქმა უნდა, გვარიანად დაღლილ პანტანის.

თუმცა დავუბრუნდეთ „იტალიურ წრეს“. დღეს სიცილიაში პირველი ეტაპია აგრიჯენტო — მოდიცა. ეს და კიდევ რამდენიმე ეტაპი სპრინტერებისა იქნება. მთები და ნამდვილი ოფლისღვრა დაიწყება მერე, მეხუთე ეტაპიდან. მანამდე კი გამარჯვების მთავარი ფავორიტები იქნებიან ჰოლანდიელი ბლიილევანსი (TVM), სლოვაკი სვორადა (ლამპრე) და რაღა თქმა უნდა, იტალიელი ქალების სიმპათია მარიო ჩიპოლინი (საეკო). ლამაზი მარიო ასაკის მიუხედავად შესანიშნავ ფორმაშია. იტალიელ სპრინტერს ჯიროზე 25 ეტაპი აქვს მოგებული და როგორც მისი ინტერვიუებიდან ირკვევა, უკვე კარგა მოძველებულ რეკორდს — 42 გამარჯვებასაც დაადგა თვალი.

**ირაკლი ბერიაშვილი**



ჯირო ანუ მთელი იტალია სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე. მარკო პანტანი და მისი მეტოქენი წლეულსაც შეუდგებიან ამ ველოგოლგოთას



REUTERS აგენტოდან

გუშინ ჯიროს პრეზენტაციაზე ლორან ჟალაბერი ჟურნალისტებს ხალისიანად ესაუბრებოდა

### ჯიროს კალენდარი

15.05.99 აგრიჯენტო — მოდიკა 175 კმ
16.05.99 ნოტო — კატანია 133 კმ
17.05.99 კატანია — მესინა 176 კმ
18.05.99 ვიბო ვალენტია — ტერმე ლუიჯიანე 186 კმ
19.05.99 ტერმე ლუიჯიანე — მონტე სირინო 147 კმ
20.05.99 ლაურია — ფოჯა 257 კმ
21.05.99 ფოჯა — ლანსიანო 153 კმ
22.05.99 პესკარა — გრან სასო დიტალია 253 კმ
23.05.99 ანკონა (ინდივიდუალური რბოლა) 32 კმ
24.05.99 ანკონა — სან სეპოლკრო 189 კმ
25.05.99 სან სეპოლკრო — სეზანატიკო 125 კმ
26.05.99 სეზანატიკო — სასუოლო 168 კმ
27.05.99 სასუოლო — რაპალო 243 კმ
28.05.99 დასვენების დღე
29.05.99 ბრა — ბორგო სენ დალმაზო 187 კმ
30.05.99 რაკონიჯი — ორომპა [illegible] კმ
31.05.99 ბიელა — ლუმეზანე 232 კმ
01.06.99 ლუმეზანე — კასტელფრანკო ვენეტო 212 კმ
02.06.99 პრევიზო (ინდივიდუალური რბოლა) 45 კმ
03.06.99 კასტელფრანკო ვენეტო — ალპე დი პამპეაგო 166 კმ
04.06.99 პრედაზო — მადონა დი კამპილიო 175 კმ
05.06.99 მადონა დი კამპილიო — აპრიკა 190 კმ
06.06.99 ბოარიო ტერმე — მილანი 170 კმ




### ჯიროში მონაწილე გუნდების შემადგენლობები

**მერკატონე უნო:** მარკო პანტანი, ენრიკო ზაინა, სტეფანო გარზელი, რიკარდო ფორკონი, მასიმო პოდენზანა, ერმანო ბრინოლი, ფაბიანო ფონტანელი, მარკო ველო, სიმონე ბორგერეზი

**ამიკა ჩიპსი:** ევგენი ბერზინი, დანიელე დე პაოლი, ვიაჩესლავ ეკიმოვი, ფელისე პუტინი, ამილკარე ტრონკა, პიეტრო კოჩიოლი, არმან დე ლას კუევასი, მარკო ჯილი, ენრიკო მურტასი

**ბალანი:** ფაბიო ბალდატო, ბალდო ფილიპო, ანდრეა ფერიგატო, ალექსანდრ გონჩენკოვი, ნიკოლა ლოდა, ალბერტო ონგარატო, ჯილბერტო სიმონი, მაურო ტოსატო, პიოტრ უგრიუმოვი

**ბანესტო:** ხოსე არიეტა, მარსიო ბრუსეგინი, ხოსე მარია ხიმენესი, ალექს ცულე, დავიდ ნავას ჩიკა, აიტორ ოსა, ლეონარდო პიეპოლი, მიგელ კასერესი, როდრიგეს გომესი

**კანტინა ტოლო:** ნიკოლა მინალი, ანდრეა ბრონარა, ანტონიო დი რენცო, რობერტო სგამბელური, მასიმილიანო ჯენტილი, კრისტიან გასპერონი, მარკო მანიანი, დანილო დი ლუკა, ბო ჰამბურგერი

**კელმე:** ხოსე რუბიერა, რობერტო ერნანდესი, ანხელ ედო ალსინა, ხაიმე გონსალესი, ფრანსისკო კაბელო, ოსკარ სევილა რიბერა, ედუარდო ერნანდესი, ხავიერ პალასიო, ხოსე გონსალესი

**ლამპრე:** ოსკარ კამენზინდი, სიმონე ბერტოლეტი, მასიმო კოდოლი, მარკო დელა ვედოვა, მატეო ფრუტი, გაბრიელე მისალია, პაველ პადრნოსი, მარიანო პიკოლი, იან სვორადა

**ლიკიგასი:** ნიკოლა მისელი, ანდრეი ტეტერიუკი, კრისტიანო ფრატინი, ენდრიო ლეონი, ბიაჯიო კონტე, ოსკარ მასონი, როდოლფო ონგარატო, ფაუსტო დოტი, რაუსიან ივანოვი

**მაპეი:** პაოლო ბეტინი, ჯუზეპე დი გრანდე, ჯულიანო ფიგუერასი, პაოლო ფორნაჩიარი, დირკ მიულერი, რეი კანი, ანდრეა ნოე, ანდრეა ტაფი, მაქს ვან ჰეესვიიკი

**მობილვეტა:** პასკალ რიშარი, ალესანდრო სპეძიალეტე, გოზარდ სტანგელი, პაოლო ვალოტი, ივან კარანტა, მასიმო სტრაზერი, სტეფანო ფაუსტინი, მირკო გალდი, ალესანდრო ბერტოლინი

**ნავიგარე გაერნე:** ნიკლას აქსელსონი, გაბრიელე ბალდუკი, დარიო პიერი, ვლადიმირ დუმა, ლუკა სეი, ალესანდრო პეტაჩი, გერიტ გლომსერი, სტეფანო პანეტა, ლუკა ბელუომინი

**ონსე:** ლორან ჟალაბერი, ინიგო ლოპეს დე კასტრო, გონსალეს სანტოსი, დავიდ გარსია, პეტერ ლუტენბერგერი, მიგელე პერდიგერო, ანდრეა პერონი, კარლოს კანდილი, მიკელ ურანდა

**რიზო სკოტი:** კარლო ბიანკი, დიეგო ფერარი, ივან ბასო, სამუელე ჩიავინა, ალექსანდრ შეფერი, ოსკარ პოძი, ფილიპო სიმეონი, ალენ ტურიჩია, ჯუზეპე პალუმბო

**საეკო:** მარიო ჩიპოლინი, პაოლო სავოლდელი, ჯუზეპე კალკატერა, ჯან მატეო ფანინი, დარიო ფრიდო, ალესანდრო გალეტი, რობერტო პეტიტო, მარიო შირეა, ფრანჩესკო სეჩიარი

**პოლტი:** ენრიკო კასანი, მირკო სელესტინო, ივან გოტი, ფაბრიციო გიდი, სტეფან გუბერი, ოსკარ პელიკიოლი, დავიდე რებელინი, რიშარ ვირანკი, დენის ძანეტე

**ტვმ:** ჯერონ ბლიიველენსი, დავიდე კაზაროტო, ჰენდრიკ ვან დიიკი, სერგეი ივანოვი, ანდრეას კლიერი, მიშელ ლაფისი, მარტინ ვან სტეენი, პეტერ ვრიესი, მიკელ ვან კესელი

**ვინი კალდიროლა:** მასიმო აპოლონიო, ანდრეი ჰოფმანი, ფილიპო კასაგრანდე, მასიმო დონატი, სერგეი გონჩარი, ჯანლუკა სირონი, მაურო რადაელი, რომას ვაინსტეინსი, მაურო ძანეტი

**ვიტალიციო:** კლავერო სებასტიანი, ხილ ბლანკო სანტიაგო, ჰერმან გუტიერესი, ანდრეი ზინჩენკო, სერგეი სმეტანინი, პრუდენსიო ინდურაინი, ხავიერ ფრანსისკო სერეზო, ვიქტორ ჰიუგო გრისალესი, ხინეს მარტინესი

### ჯიროს ოცდაორივე ეტაპი ძირითადი ალმართებით



საქართველოს ჩემპიონატი. მეოთხე ტურის ანონსი

# ნუ იქნება ოღონდ წვიმა!

თბილისი. ვარკეთილი 15 მაისი
**ლოკომოტივი 1 — ყოჩები**
თბილისი. ვარკეთილი. 15 მაისი
**ლოკომოტივი 2 — ასკ**
ბათუმი. 16 მაისი
**დათვები — აია**
თბილისი. ვარკეთილი. 16 მაისი
**ზორდა — უნივერსიტეტი**

იმედია, წინა ტურისგან განსხვავებით, ქართველ მორაგბეებს ამჯერად მაინც მიეცემათ მშრალ მოედანზე თამაშის შესაძლებლობა. ყოველ შემთხვევაში, ამის წინაპირობა მათ ბუნებამ შეუქმნა, თორემ ხომ გახსოვთ, ეროვნული პირველობის მესამე ტურის ოთხი მატჩიდან უამინდობის გამო მხოლოდ ორი გაიმართა და ისიც იმიტომ, რომ ბათუმელი და ქუთაისელი მორაგბეები ადრევე ეწვივნენ დედაქალაქს და აბა, უთამაშებლებს ხომ არ გაისტუმრებდნენ. ჰოდა, ჩატარდა ის ორი თამაშიც, მაგრამ როგორ და რა პირობებში, ამაზე ადრეც ვთქვით.

ხვალ და ზეგ გასამართი ოთხი მატჩიდან უმთავრესი ხვალ ვარკეთილში საღამოს ოთხ საათზე დაიწყება. ერთმანეთს „ლოკომოტივი" 1 და „ყოჩები" დაუპირისპირდებიან. ორივე გუნდი წლეულს ჩემპიონობას უმიზნებს, ასე რომ, მატჩის ნახვა ღირს. ზედიზედ მესამედ გაჩემპიონების მსურველი „ყოჩები" შარშანდელთან შედარებით გარკვეულწილად დასუსტდნენ, მაგრამ საჩემპიონო ამბიციები არ დაუკარგავთ. რაც შეეხება „ლოკომოტივი" 1-ს, შარშანდელი პირველობის მეოთხეადგილოსანი წლეულს აშკარად მოლონიერებულია და „ყოჩებისთვის" არაფრის დათმობას არ აპირებს.

იმავე დღეს უმცროს რკინიგზელებს არმიელებთან მოუწევთ შერკინება. „ლოკომოტივი" 2, რომელშიც რამდენიმე მობურთალი პირველი გუნდიდანაცაა, აქამდე გამართულ ორივე მატჩში დამარცხდა. პირველ ტურში რკინიგზელები „დათვებთან" შერცხვნენ, მეორეში — სტუდენტებთან. ასკ-მ კი ჯერჯერობით ერთი შეხვედრა ჩაატარა ქუთაისის „აიასთან" და გაიმარჯვა. ვფიქრობთ, ხვალ არმიელები მეორედ მოიგებენ, აქედან გამომდინარე, რკინიგზელები მესამედ დამარცხდებიან.

„დათვებისა" და „აიას" მატჩში ყველაფერი წინასწარვე ცნობილია. ბათუმელებს, რომლებმაც სამ ტურში სამჯერ იმარჯვეს და გათამაშების ლიდერები არიან, არ უნდა გაუჭირდეთ იმერელთა ძლევა, მიუხედავად იმისა, რომ „დათვების" ძირითად ბირთვს ყოფილი აიელები შეადგენენ. წლევანდელ სეზონში ორივე გუნდს სხვადასხვა ამოცანა აქვს. თუ ბათუმელები ჩემპიონობას უმიზნებენ, ქუთაისელები პირიქით, უძლიერესთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვიან.

ტურის ბოლო მატჩი კვირას ვარკეთილში გაიმართება — „ზორდა" უნივერსიტეტს შეებრძოლება და, ალბათ, მოუგებს კიდეც, თუმც კი დიდი ჯაფა დაადგება. მართალია, „ზორდამ" პირველ ტურში „ლოკომოტივ 1"-თან წააგო, მაგრამ მისი დიდი პოტენციალი გვაფიქრებინებს, რომ მომავალ თამაშებში სრულად წარმოაჩენს თავის ძალას. უნივერსიტეტი კი გურამ მოდებაძისა და დავით კილასონიას ხელში ტურიდან ტურამდე აუმჯობესებს თამაშის ხარისხს, თუმცა არ გვგონია, დღეს სტუდენტებს ზორდელების ძლევა შეეძლოთ.

**პაატა თოთაძე**



წინა, ავდრიანი ტურით შეწუხებული ქართველი მორაგბეები დღეს და ხვალ დარის ნატვრაში იქნებიან

ჭადრაკი

# ვინ გაისეირნებს ლას ვეგასში?

**ჭადრაკის** გარემონტებულ სასახლეში დასასრულს უახლოვდება ქალთა ზონალური საჭადრაკო სისხლისღვრა, რომელიც ხვალ იმ 7 იღბლიანს გამოავლენს, ლას ვეგასში გასეირნებით რომ გაიხარებს. მოჭადრაკეები სასახლის დიდი დარბაზის სცენაზე თამაშობენ. დარბაზის ორი შესასვლელი დახშულია, მესამიდან შესვლა მხოლოდ მსაჯებსა და მოთამაშეებს შეუძლიათ, ხოლო უმაღლესი წერტილი, ანუ შესასვლელი საბილიარდოდან მაყურებლებისთვის დაუთმიათ. მაყურებლები კი ტურნირს ჰყავს, განსაკუთრებით „პიკის" საათებში.

...აგერ უკვე საღამოს 9 საათი შესრულდა. სცენაზე განთავსებული 16 მაგიდიდან ორიოდეს თუ შემორჩნენ თავზეხელწავლებული წყვილები, დარბაზში კი 50-მდე მაყურებელს მაინც დაითვლით, რომელთა მორიდებული ჩურჩული ბუნდოვანი გამბიტებისა და „ჩანგლების" ირგვლივ ტრიალებს. აი, როგორც იქნა, დაფიქსირდა ბოლო ხელის ჩამორთმევაც, როგორც იქნა, წამოდგა ბოლო წყვილიც და როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქეს მოუთმენლობისგან შელონებულმა მობილიარდეებმა, რადაი ბურთზე ჯოხის თავისუფლად კაკუნის უფლებას ელირსნენ. თუმცა მათი ტანჯვა ხვალ დასრულდება და ხვალვე 1500 შვეიცარიული ფრანკის ჩამჯიბველის ვინაობაც გაირკვევა. პრეტენდენტი ბევრია, მაგრამ პირველ რიგში ორი ამჟამინდელი ლიდერი უნდა დავასახელოთ: ჩვენებური ნინო ხურციძე და ექს-რუსი, ამჟამად კი იუგოსლავიას გადასული სვეტლანა პრუდნიკოვა, რომელთაც 7 ტურის შემდეგ 5,5-ქულიან ზღვარს უწიეს. ნახევარი ქულით ნაკლები ასევე ორ მოჭადრაკეს აქვს: რუსუდან გოლეთიანს და მეორე გაიუგებულ რუსს, მარია მანაკოვას, რომელმაც მყიფე სტარტის შემდეგ მეტოქეებს ნამდვილი რბევა მოუწყო. შემდეგ მოდის 4,5-ქულიანთა კვინტეტი იუგოსლაველი ბოიკოვიჩის, სომეხი დანიელიანის და ქართველების: ლომინეიშვილის, ნიკოლაძისა და ხურცილავას შემადგენლობით, ხოლო 4-ქულიანთა სია იმდენად ვრცელია, რომ...

დიდი ამბავი იქნება დღეს და ხვალ ჭადრაკის სასახლეში...

**დავით გულუა**



პატრიკ რაფტერი

# ხვალეემ იზრუნოს ხვალისა

რომი. იტალიის ღია პირველობა. თიხნარი.
საპრიზო 2,45 მილიონი $

იტალიის ღია პირველობაზე წარმატებული ასპარეზობით კვირის ბოლოს კლასიფიკაციის სათავეში მოკალათების შანსი ერთბაშად ხუთ ჩოგბურთელს ჰქონდა, მეოთხედფინალში კი ამათგან ერთადერთმა, თანაც ყველაზე ნაკლებად წარმოსადგენმა გააღწია.

პატრიკ რაფტერს ბოლო თვეებში მსოფლიოს პირველ ჩოგნობაზე გაცილებით მეტად თითო-ოროლა მატჩის მოგება ადარდებდა, რაც ნამდვილად არ გაემტყუნებოდა: სეზონის დასაწყისიდან აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონს მეოთხედფინალში ვერსად გაეღწია და რომამდეც ზედიზედ სამჯერ პირველივე წრეში წაეგო.

თავისთვის ყველაზე ნაკლებად ხელსაყრელ თიხნარის საფარზე კიკინიანი ოზი წარმატებას ასე არ ელოდა, რომ ტურნირის ბადისთვის თვალიც არ გადაუვლია (რაში მჭირდება, მაინც მალე მომიგებენო) და მოულოდნელი გამარჯვებების შემდეგ მომავალი მეტოქის ვინაობას იქვე, კორტზე საინტერვიუოდ თავზე დამდგარ „ევროსპორტის" კომენტატორ ემილიო სანჩესს ეკითხებოდა (რაზეც არანჩას უფროსი ძმიკო ან ვერაფრით, ან შეცდომით პასუხობდა).

აბა, რაღა გასაკვირია, თუ რაფტერს მოსალოდნელი ზეობის შესახებაც არაფერი მოეხსენებოდა. „მართლა?" — ამ მოკლე და მეტყველი ფრაზით უპასუხა გაკვირვებულმა ოზმა ჟურნალისტს, რომელმაც პრესკონფერენციაზე შეატყობინა, ტურნირის მოგების შემთხვევაში კლასიფიკაციის სათავეში მოექცევიო — „სასიამოვნო ამბავია. მაგრამ ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, წინ მძიმე მატჩები მელის. მაშინ ავნერვიულდები, თუ ფინალში გავაღწევ".

ჩოგბურთში პროგნოზის კეთება მეტად უმადური საქმეა. მერვედფინალში რაფტერს ერთი შეხედვით შეუსრულებელი მისია ელოდა — როლან გაროსის ორგზის ფინალისტი და შესანიშნავ ფორმაში მყოფი ანდრე აგასი. ჰოდა, თქვენი მონა-მორჩილის მატჩის წინანდელი შეფასება ასეთი გახლდათ: 6:3, 6:3 ამერიკელის სასარგებლოდ.

თქვენც არ მომიკვდეთ! ავსტრალიელმა თითქმის სრულყოფილი ჩოგბურთი უჩვენა — მძლავრი მოწოდებები (სულ 12 ეისი), ბადესთან უზადო ტექნიკა, ის კი არა, მეტოქეს არც უკანა ხაზიდან თამაშში დაუდო ტოლი და პირველი სეტის 25 წუთში მოგების შემდეგ მეორეშიც ბრეიკით დაწინაურდა.

პირველად და უკანასკნელად რაფტერმა სწორედ აქ შესცოდა — 5:4-ზე, როდესაც აგასიმ ერთი მატჩ-პოინტი გადაარჩინა, ოზი მის მიღებას შეუშინდა და პირველი მოწოდების შემდეგ უკანა ხაზზე დარჩა. სასჯელმაც არ დააგვიანა: ხავსმოკიდებულმა ანდრემ სწრაფად მიითვალა მომდევნო ორი ქულა და ანგარიში გაათანაბრა.

მაგრამ ავსტრალიელის გასატეხად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა — საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც მისი უპირატესობა აშკარა იყო და სამართალმაც პური ჭამა: 6:1, 7:6 (7:4) რაფტერის სასარგებლოდ.

„ასე კარგად, ალბათ, აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ არ მითამაშია, დაახლოებით 8-9 თვეა. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ბოლოში გავნერვიულდი და ანდრეს სულ ცოტა დააკლდა, ყველაფერი წყალში გადაეყარა ჩემთვის" — განაცხადა ავსტრალიელმა.

რომ ვთქვათ, რომ აგასი უბრალოდ იმედგაცრუებული იყო მატჩის შემდეგ, სწორი ნამდვილად არ იქნებოდა: „მე იდიოტურად ვითამაშე და თავადაც იდიოტი ვარ. თავს ამ წუთში ზუსტად ასე ვგრძნობ. მართალია, ბოლომდე არ დავნებებულვარ, მაგრამ პატრიკი თავის საქმეს კარგად აკეთებდა, მე კი — ცუდად."

ანდრეს თავის გასამართლებლად იქნებ ის მაინც გამოადგეს, რომ ამ დღეს მსგავსი ეპითეტით დამშვენებას კიდევ მინიმუმ ორი ბობოლა ჩოგბურთელი მაინც იმსახურებდა.

ევგენი კაფელნიკოვმა (1) თავისსავით ყოფილ როლან გაროსის ჩემპიონს, გუსტავო კუერტენს თავიდან არაფერი დაუთმო და 5:4-ზე ორი სეტ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ ერთი ბრაზილიელმა თავად გადაარჩინა, მეორეში მიღების ბადეში გახვევით მეტოქე დაეხმარა და ამის შემდეგ სოჭელმა ჟენიამაც ერთადერთი, პრესტიჟის გეიმი გააზერხა.

მეორე სეტი საერთოდაც თამაშის გაკვეთილს უფრო წააგავდა: „გუგა" აღფრთოვანებული ქომაგების ღრიალს ერთიმეორეზე უკეთესი ბექჰენდებით და შემოკლებულებით პასუხობდა, კაფელნიკოვს კი, როგორც სჩვევია, სირბილი ეზარებოდა და მცდელობას უბრძოლველად დანებება არჩია — 5:7, 1:6.

„მე აქ იმაზე მეტს მივაღწიე, ვიდრე ველოდი — ორი მატჩი მოვიგე. ცოტა ფიზიკურმა მოუმზადებლობამ შემიშალა ხელი, მაგრამ როლან გაროსის დაწყებამდე კიდევ 10 დღეა და ვგონებ, მანამდე კიდევ მოვუმატებ" — აღნიშნა პრესკონფერენციაზე სოჭელმა, რომელმაც რომში ზედიზედ შვიდი მარცხის შემდეგ პირველად იმარჯვა.

კუერტენმა კი თავის კარგ თამაშს ლოგიკური ახსნა მოუძებნა: „კარიერაში პირველად ვეთამაშებოდი მსოფლიოს პირველ ჩოგანს და ჩვეულებრივზე მეტად ამიტომაც მოვინდომე... შეიძლება ამჟამად ევგენი ყველაზე უკეთ არ თამაშობდეს, მაგრამ ეს ადგილი მან ადრინდელი წარმატებებით დაიმსახურა."

კაფელნიკოვისთვის კლასიფიკაციაში გადასწრების შანსი რაფტერის გარდა რომში როლან გაროსის კიდევ ერთ ჩემპიონს, კარლოს მოიასაც ჰქონდა, მაგრამ ესპანელი (6) მესამე წრეში ფრანკო სკილარისთან დამარცხდა 3:6, 5:7.

აქ აღსანიშნავი ორი რამ არის: არგენტინელი საკვალიფიკაციო ტურნირის ნახევარფინალში დამარცხდა და ძირითად ბადეში მხოლოდ მას შემდეგ მოხვდა, რაც თამაშზე უარი ამერიკელმა ტოდ მარტინმა განაცხადა; სკილარიმ მოიას ზედიზედ მესამე პირადი შეხვედრა მოუგო.

**მერვედფინალი:** **ალექს კორეტხა** (3, ესპანეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 7:6 (7:1), 1:6, 6:1; **კაროლ კუჩერა** (10, სლოვაკეთი) — ტიმ ჰენმანი (7, ინგლისი) 4:6, 7:6 (7:5), 6:3; **ფელიქს მანტია** (15, ესპანეთი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:2, 6:3; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 3:6, 7:6 (7:3), 6:3; **დევიდ პრინოზილი** (გერმანია) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 7:5, 6:3.

ბერლინი. გერმანიის ღია პირველობა. თიხნარი.
საპრიზო 1,05 მილიონი $

გერმანიის ღია პირველობაზე მოასპარეზე უმცროსმა უილიამსმა ერთ დღეში ერთბაშად ორი თანამემამულე გაამწარა.

მეორე წრის მატჩი ერთ დროს ჩოგბურთის მომავალ დედოფლად შერაცხულ, სინამდვილეში კი განარკომანებულ და ხელიდან წასულ ჯენიფერ კაპრიატისთან სერენას სიბნელის გამო მაშინ გადაედო, როცა პირველი სეტის ტაი-ბრეიკზე იმარჯვა.

კაპრიატის თამაშის შეწყვეტა გაცილებით ადრე სურდა, მაგრამ მთვარ მსაჯს ვერაფერი შეასმინა და გინების გამო გაფრთხილებაც მიიღო. უილიამსს კი ბინდ-ბუნდში თამაშის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა: „ზოგჯერ მამასთან ერთად ვარჯიშის დროს თავზე შემოგვალამდებოდა, მაგრამ მაინც ვაგრძელებდით-ხოლმე. გუშინ ეს ძალიან გამომადგა, რადგან სიბნელეს მიჩვეული ვარ."

მეორე დილით სერენამ ჯერ კაპრიატის მოუღო ბოლო 7:6 (7:3), 6:3, მერე კი მერვედფინალურ მატჩში უკვე ლაიზა რეიმონდიც გაუყენა მის გზას 6:1, 7:6 (7:1). „თიხნარი ჩემი საფარია. მომავალში როლან გაროსს აუცილებლად მოვიგებ, იქამდე კი გერმანიის ღია პირველობაზეც არ ვიტყვი უარს" — თავმდაბლობას უილიამსების განცხადებაში, როგორც ყოველთვის, არაფერი ესაქმებოდა.

**მერვედფინალი:** **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:4, 6:1; **შტეფი გრაფი** (3, გერმანია) — კარა ბლექი (ზიმბაბვე) 7:6 (7:5), 6:2; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (4, ესპანეთი) — კონჩიტა მარტინესი (14, ესპანეთი) 6:1, 0:6, 7:5; **ბარბარა შეტი** (16, ავსტრია) — ნატალი ტოზია (6, საფრანგეთი) 6:1, 4:6, 7:6 (7:5); **პატი შნიდერი** (8, შვეიცარია) — ანა სმეშნოვა (ისრაელი) 2:6, 7:6 (7:3), 6:1; **რუქსანდრა დრაგომირი** (რუმინეთი) — ამელი მორესმო (12, საფრანგეთი) 6:2, 7:5.

**ავთანდილ სვანიძე**



სერენა უილიამსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაიკლ ბერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი თერთმეტე

„ჩემი შვილი არასოდეს დაიტანჯება სკოლაში ისე, როგორც მე ვიტანჯებოდი“, — კრივის უფლისწულად შერაცხული საუკეთესო ბრიტანელი მოკრივის, ნასიმ ჰამედის ეს სიტყვები მის მძიმე ბავშვობაზე მიუთითებს.

ბერკოვიცის ერთ-ერთ ფურცელზე მის საკრივო ცხოვრებაზე ვილაპარაკეთ და ასე თუ ისე, იემენელი არაბის მრავალშვილიანი ოჯახიდან ამოზრდილი კრივის გენიოსის თავგადასავლის რამდენიმე სურათიც წარმოგიდგინეთ.

თუმცა, აბა რა უნდა დაგხსომებოდათ იქედან. შეფილდელი მალაროელის ცეროდენა ვაჟის ცხოვრება ხომ არც ისე მდიდარია ყოფითი სურათებით.

და მაინც, ეს საინტერესოა. დღეს ნასიმ ჰამედი მილიონერი და სანიმუშო ოჯახის კაცია. თავქარიანობას მხოლოდ რინგზე ამჟღავნებს, ოჯახში კი წყნარ, კეთილ და რბილ მამიკოდ გარდაისახება.

ამბობს კიდეც, ოჯახი მთავარიაო. სულით აღმოსავლეთის კაცია და ეს გასაკვირად არავის დაურჩება. ჩემს ყველა სარინგო წარმატებას ოჯახში ტრიალი და ცოლ-შვილის ფერება მირჩევნიაო.

აღმოსავლეთის კაცია და აბა როგორ გაიხარებდა, როცა რომ თერთმეტი თვის წინათ პირველი შვილი შეეძინა და თანაც ბიჭი. ბავშვს არაბულადვე სამი დაარქვეს. სამი ჯერ ძლიერ პატარაა და სულაც არ იცის, ვინ არის მამამისი, არც ის იცის, რა ცხოვრება გაუვლია. ნასიმს, როგორც ყოველ კეთილშობილ მამას, მხოლოდ კარგი უნდა თავის შვილისთვის, თუმცაღა, მისი მომავლისა მანაც არაფერი იცის.

არაფერი, გარდა ერთისა.

ნასიმი ამბობს: — „ჩემს ბიჭს ვერავინ დაჩაგრავს. სკოლის ძველი ბიჭები თავში ვერ წამოარტყამენ.“ წამორტყმა ჯანდაბას, რა მოსატანია? ნასიმ ჰამედი თავის ვაჟს არავის დააჩაგვრინებს.

„ერთი დიდი ცხოვრება მეც გამივლია მოწაფეობისას. ჩვენ ყველანი ვოცნებობთ ჩვენი შვილების ბედნიერებაზე და სიბრაზისაგან მბურძგლავს, როცა წარმოვიდგენ, რომ ჩემს სამის, სკოლის ყოჩებთან, ჩათლახ ძველ ბიჭებთან მოუწევს ურთიერთობა.

მე ხომ ვიცი, როგორც იწყება ყველაფერი. ხალხი ამრეზით დაუწყებს თვალიერებას, ტანდაბალია, შავტუხაო. ჩემი შვილი მაღალი და თეთრი როგორ იქნება. მერე გაიგებენ, რომ ჩემი შვილია და უფრო გაალმასებით შეუტევენ, რათა თავიანთი უსუსურობა სხვათა ჩაგვრით გადაფარონ“.

აი, კრივის დიდი ჩემპიონის სიტყვები.

მან კარგად იცის, რასაც ლაპარაკობს. თავად იყო სკოლაში ყველაზე სუსტი და ყველაზე შავტუხა.

საკუთარი თავი ეზიზღება, როცა ამაზე ფიქრობს, მაგრამ რას იზამს? ეს ფიქრი, ბავშვობისდროინდელი სიმწარე, მთელი ცხოვრებაა მოსდევს.

სწორედ ამიტომ გადაუწყვეტია ნასიმ ჰამედს, რომ მილიონობით ბრიტი მშობლის პრობლემა გადაჭრას და ბიჭებს მანამდე უშველოს, სანამ ონავრებიდან ძველებად, სკოლის ყოჩებად გადაიქცევიან. ამისთვის ფულსაც არ დაზოგავს.

ოღონდ ეგ არის, რომ ნასიმს ჯერჯერობით ვერ შეუმუშავებია ამ საქმისათვის საჭირო პროგრამა. პატარა წონის კაცს (მისნაირებს განუზომლად ცოტას უხდიან, ვიდრე მძიმე ვარსკვლავებს) მხოლოდ კრივით უკვე ოცდაათ მილიონამდე დოლარი უშოვნია და სურს ცხოვრება გადააკეთოს.

„სკოლაში ყველაზე უფრო მე მაწვებოდნენ. რას აღარ მეძახდნენ. გადმოფურთხებულ შოკოლადსაც კი. ეს ერთი მახსოვს. ამბობდნენ, რომ უვარგისი ვინმე ვარ და ვერაფერს მივაღწევ, შეუფერებლად დიდი სივრცე მიპყრია და უნდა დამჭმუჭნონ, რათა ეს სივრცე სხვა საქმისათვის გამოიყენონ“.

რა უნდა ექნა?

პატარა ნასიმს ერთადერთი პასუხი მოუგონია ძველი ბიჭებისთვის — გაუცინებდა და ზურგს შეაქცევდა.

ეს სიცილი თავად მოიგონა, ანუ სიმწრის სიცილი გადაზარდა, ვითომდა ვაჟკაცურ, ქედმაღლურ სიცილში. თავს იმით იმშვიდებდა, რომ დადგებოდა უკეთესი დრო და საქმე სხვაგვარად იქნებოდა. ნასიმს თუ დავუჯერებთ, მაშინვე გრძნობდა, რომ რაღაც განსაკუთრებული მოხდებოდა მის ცხოვრებაში. თურმე, სრულიად შეუცნობლად რაღაც სიმდიდრეს გრძნობდა...

„აი, მიყურეთ. აქა ვარ. ჩემს სახლში. სიყვარულით, სიმდიდრით და პატიოსნებით გარემოცული. ისინი სად არიან? არც მინდა ვიფიქრო. არც მაინტერესებს. ლუდხანასთან დგანან, ერთი კათხის, ან ერთი შეყნოსვის ფულს მათხოვრობენ. ხომ გჯერათ, რომ ასეა? ისინი უსუსური ხალხია, სხვათა დამცირებით იკმაყოფილებენ კომპლექსებს. მაგრამ ბავშვობაში ისინი ლიდერობენ, იმიტომ რომ უნამუსონი არიან...“

ნასიმი არასოდეს შეტენვია მათ. იყვნენ ისეთებიც, ვინც ეტენებოდნენ და ქუჩის ბანდებში ცუმბუშობით კმაყოფილდებოდნენ. მაგრამ მომავალ ჩემპიონს არ უნდოდა ამ გზით სვლა. ის გრძნობდა, რომ პატიოსანი იყო და ამით, უფრო აზლა რომ ჰკითხოთ, ყოველ წესიერ ბიჭს შეუძლია მოითმინოს და მერე კაცი გახდეს.

ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში მიეხმარება ასეთ ბიჭს — საკუთარი თავის რწმენაა.

ახლა ოცდაოთხი წლის ნასიმ ჰამედი იმითაც დადგა კაცი და მოკრივე, რომ ზურგს მშობლები უმაგრებდნენ.

მამამისი ერთი მუშა კაცი იყო, დედა ცხრა შვილს უვლიდა. დიდი ოჯახი პატარა ბინაში, იქ არაფერი იმალებოდა, არაფერზე ყვიროდნენ. შვილებს ყოველთვის წვრილად გამოჰკითხავდნენ ხოლმე ამბავს და თუ რაიმე ფარსაგს შეიგრძნობდნენ, წამსვე მათ გვერდით იყვნენ.

ნასიმს სიმშვიდე გამოჰყვა სახლიდან.

ალბათ, სწორედ სიმშვიდე და მოთმინებაა მთავარი. ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გამოცხვა.

თუკი ძმებ ჰამედებს ჩხუბი, ან სხვა რაიმე ქუჩური გაუგებრობა შეემთხვეოდათ, დედა ყოველთვის ამბობდა:

„არ ვიცი ვინ არის მართალი. თქვენ ჩემი შვილები ხართ და მე თქვენს გვერდით ვარ, მაგრამ ქუჩის ჩხუბი ყველაზე ულირსი რამ არის დედამიწის ზურგზე“.

და ნასიმ ჰამედი მოკრივე გახდა.

# ნასიმი, ძველები და დაცინვა სკოლაში

## გადმოფურთხებული შოკოლადის შეგონებანი



ნასიმი სამს ასადილებს





ნასიმი და ბუთხუზა ელიოტი — ყველაფერი კარგად იქნება

კარგი. მას უნდოდა მამაცი და გამბედავი ყოფილიყო, მაგრამ იქ, სადაც დამკინავთა გუნდური სული ბატონობდა, მარტო კაცი, თითისტოლა შავტუხა ბიჭი, ვერაფერს გახდებოდა. ის მარტო იყო და მარტო ითმენდა.

შეფილდში, სადაც გაიზარდა, მილიონ დოლარად ღირებული სახლი იყიდა და იქ ხშირადაა თავის ცოლთან, ელეიშასთან ერთად. ელეიშა ქალთა პარიკმახერი იყო, ახლა მილიონერის ცოლია. ნასიმის „პოლბოქსების“ შემოქმედიც ისაა,



ჩვენ ვერავინ დაგვცინებს და ვერც ვერავინ დაგვჩაგრავს.

თუმცა მილიონერობა სულაც არ არის მთავარი. მთავარი — ოჯახია.

ამას ძალიან ხშირად იმეორებს ნასიმი.

დილით ორივენი წამოცვივდებიან ხოლმე და ბავშვის ოთახში შერბიან. სამი ყოველთვის სიცილით იღვიძებს.

და რა სჯობია, როცა დღე ბავშვის სიცილით იწყება?

„არა მგონია, ისინი, ჩემი ბავშვობისდროინდელი ქუჩის ბიჭები განიცდიდნენ ამგვარ რამეს“.

საკვირველია პირდაპირ — ნასიმ ჰამედი, რინგის გიჟმაჟი მპყრობელი, თოკებით შემოსაზღვრულ ოთხკუთხედში ბრაზიანი, აგრესიული, ტრაბახა კაცი, რომელსაც არასოდეს წაუგია და კაცი, რომელიც ფიცარნაგზე კულბიტით შემოფრინდება ხოლმე ყვირილით: „მე ვარ უდაბნოს შხამიანი სულთანი, მე კობრა ვარ! სამყაროს მეუფე!“ და კაცი, რომელიც აგრე მსჯელობდა და სკოლაში დაცინვისა და ჩაგვრის ალკვეთა სწოდია, ერთიდაიგივე ვინმე ყოფილა.

„ეგ შოუს ნაწილია. კრივი და შოუბიზნესი ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან. რინგზე მარიაჟობა ჩემი თეატრალური სახეა. სინამდვილეში სულაც არა ვარ ელ მაჩო, თავზეხელაღებული ჯეელი. უბრალოდ, მართლა მაგარი მოკრივე ვარ. ბარებში არ ვთვრები და ტელეკამერების წინ არ ვიფურთხები. არ მიყვარს ეგეთი რამეები. მე ოთხმოცდაათიანი წლების კაცი ვარ და რაც კეთილდღეობისთვის მჭირდება, იმას ვაკეთებ. სახლში კი — ჩემს შვილს საფენებს ვუცვლი, ვაბანავებ და ვაჭმევ. კვირა დღე ერთადერთი თავისუფალი დღეა ჩემს ცხოვრებაში, ის დღე მთლიანად ცოლშვილისაა. თქვენ ხომ არ იცით, როგორ ველოდები ყოველ კვირა დღეს?“

ნასიმ ჰამედი ერთად-ერთია იმ ცნობილ ბრიტთაგან, სკოლებში ულირსი ქცევების წინააღმდეგ რომ აღიმაღლა ხმა და ინგლისის უპირველეს ტაბლოიდ „სანთან“ ერთად დიდ ხმაურს [illegible] ამის გამო. ტანდაბალი და ხმელი, სულ ხუთი ფუტისა და ოთხი ინჩის სიმაღლისაა და ორ [illegible]სხელა კაცს შუაზე გახევს. ის ხუმრობს კიდეც: მომძებნეთ, რომელიმე იმათგანი, ვინც ბავშვობაში დამცინოდა და მჩაგრავდა და დამანახეთ, თვალებში შევხედავ და როცა შარვალი დაუსველდება, ჩემს გზაზე წავალ. თუმცაო, ამასაც უმატებს, ასე რომ მოვიქცე, მათნაირი ვიქნებით.

ეგებ ბევრმა არც იცოდა, როგორ გადაარჩინა ნასიმ ჰამედმა ცხრა წლის ელიოტ სტივენსი, შავკანიანი ბუთხუზა ბიჭი, რომელიც ერთ დღესაც შინ მივიდა, სამზარეულოში დანა აიღო და თქვა: „დედა, მე თავს მოვიკლავ. ყველა დამცინის, შავი ხარო“.

ნასიმ ჰამედმა არაფერი დაიშურა ამ ბიჭისთვის. არც გული, არც სიტყვები და არც საჩუქრები. და სცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ ეს შოუბიზნესის ნაწილია. ისევე, როგორც ოდესღაც ნასიმი, ელიოტიც ერთადერთი შავტუხა იყო თავის კლასში და რაღაც სიმღერაც კი გამოუგონეს.

მოკრივე დიდხანს ელაპარაკა ამ წყნარ და ხასიათწამხდარ ბავშს და როგორც თავად ამბობს, ბევრ რამეში დაარწმუნა.

„ეგებ ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო ბრძოლაც იყოს“, — ზუსტად ასე თქვა — „მე მას ვასწავლე როგორ უნდა იბრძოლოს იმისათვის, რომ კაცი გახდეს“.

ისე კი, მართლაც სად არიან ისინი, ვინც გადმოფურთხებულ შოკოლადს ეძახდა?

ალბათ შორს.

F1

მეოთხე რბოლა **მონაკოს დიდი პრიზი**

# მონტე კარლო

*მონტე კარლო, 16 მაისი*



**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . . **3.367 კმ**
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . . **78 წრე — 262.626 კმ**

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 16.30 საათზე*

შარშანდელი შედეგები:

ჰაკინენი (მაკლარენი) 1.51,23595; 2 ფიზიკელა (ბენეტონი) ჩამორჩა 11475 წმ-ით; 3 ირვინი (ფერარი); 4 სალო (ეროუსი); 5 ვილნევი (უილიამსი); 6 დინიცი (ეროუსი)

**საუკეთესო წრე** . . . . . . . . **ჰაკინენი 1.22.948**

წინა წლების გამარჯვებულები:

1995 — მ. შუმახერი (ბენეტონი); 1996 — პანისი (ლიჟიე); 1997 — მ. შუმახერი (ფერარი)

# ვისთვის — გართობა, ვისთვის — ჯოჯოხეთი

მსოფლიოს ათასობით ტრასაზე გამართულ რბოლებს შორის ფორმულა 1 ყველაზე პოპულარულია; ამ კლასის რბოლებში კი ყველაზე საინტერესო და რთული მონაკოს დიდი პრიზია.

ინჟინრებისთვის, და საერთოდ, ტექნიკური თვალსაზრისით ეს ტრასა დიდად რთული არ არის, რადგან მაქსიმალური სიჩქარე მონტე კარლოს ოკრობოკრო გზებზე 280 კმ სთ-ს არ აჭარბებს. სანაცვლოდ მონაკოს სამთავროს ამ ზღვისპირა ქალაქის ვიწრო ქუჩები ნამდვილი ჯოჯოხეთია ნებისმიერი მრბოლისთვის. ყურადღების წამიერი მოდუნება და სულ ახლახან გასისინებული ბოლიდი ნაწილ-ნაწილ მიფრინავს აქეთ-იქით. დაახლოებით სამკილომეტრნახევრიან წრეზე პილოტს 36-ჯერ უწევს სიჩქარის გამოცვლა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთლიანად ერთი რბოლის მანძილზე 2800 მსგავსი მანიპულაციის ჩატარებაა საჭირო.

ამ და კიდევ სხვა მსხვილმანი თუ წვრილმანი მიზეზების გამო დამკვიდრდა მოსაზრება, რომ კვალიფიკაციის მოგება, ფაქტობრივად, რბოლის მოგების ტოლფასია. მართალია, ეს ტრადიციადქცეული მოსაზრება ბოლო წლების რბოლებში მაინცდამაინც არ მართლდება, მაგრამ ტრადიცია რის ტრადიციაა, რომ ეგრე იოლად დაკარგოს კარგა ხნის წინათ აღებული ინერცია. დღეს თბილისის დროით 16 საათზე ფორმულა 1-ის მოყვარულებს გერმანული RTL-ისა და რუსული TV ცენტრის არხებზე საშუალება ექნებათ თვალყური ადევნონ საუკეთესო სასტარტო ადგილებისთვის ბრძოლას.

პოულის მოგების ყველაზე დიდი შანსი, ცხადია, მაკლარენებს აქვთ. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ტრასის სპეციფიკას, რომელიც პილოტებისგან განსაკუთრებულ გამძლეობასა და ოსტატობას მოითხოვს, მიხაელ შუმახერს არანაკლები შანსი აქვს, პირველ პოზიციაზე მოყუჩდეს თავის ფერარიანად. უშუალოდ რბოლის პროგნოზი კი ერთობ უმადური საქმეა — ისევ და ისევ ერთობ ორიგინალური ტრასის გამო ყველაფერი შეიძლება მოხდეს. სხვათა შორის, ეს ვითარება ამ ისედაც პოპულარული რბოლისადმი ინტერესს კიდევ უფრო ზრდის.

**ირაკლი ბერიაშვილი**



გუშინ მიკა ჰაკინენი დიდხანს დასტრიალებდა თავის „მაკლარენს"



STANLEY CUP PLAYOFFS

13 მაისი

დასავლეთი

სერიის ანგარიში

**კოლორადო — დეტროიტი 2:2**

**დეტროიტი — კოლორადო 2:6**

0:1 0:2 2:3

**0:1 დრური 1'28 (2); 0:2 დედმარში 27'07 (5); 0:3 ჰეიდუკი 34'04; 0:4 ფორსბერგი 48'21 (3); 0:5 კამენსკი 51'28 (1); 1:5 კოზლოვი 54'40 (5); 1:6 დედმარში 56'36 (6); 2:6 კოზლოვი 59'17 (6)**

# ჯერ ყველა ფეხზეა

გულდასაწყვეტია, რომ ეს ორი ჩინებული გუნდი ესოდენ ადრეულ ეტაპზე შეეჯახა ერთმანეთს და მხოლოდ ერთი მათგანი გააგრძელებს თასისთვის ბრძოლას. მას შემდეგ, რაც დეტროიტმა პირველი ორი მატჩი მოიგო, ბევრს ეგონა, სერიას სიმძაფრე მოაკლდება და ჩემპიონიც იოლად იმარჯვებსო. მაგრამ კოლორადომ სწორი დასკვნები გამოიტანა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სტუმრად უფრო ეხერხება თამაში, ვიდრე შინ. როგორც იქნა, „ეველანშმა" სერიაში პირველად გახსნა ანგარიში. აქ ერთი გარემოებაც უნდა აღინიშნოს. ხანგრძლივი არყოფნის შემდეგ ვალერი კამენსკის დაბრუნებამ კოლორადოელთა მწვრთნელ ბობ ჰარტლის საშუალება მისცა, შეტევის სამეულებში ცვლილებები მოეხდინა. მან ადამ დედმარში (2+1) მესამე ხაზში გადაიყვანა და ახალბედა კრის დრურისა და შონ პოდეინს შეუამხანაგა. სწორედ ამ ტრიომ, რომელიც მანამდე არაფრით გამოირჩეოდა, გაიტანა პირველი ორი და, როგორც აღმოჩნდა, გადამწყვეტი შაიბები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მეორე გოლი გახლდათ — დედმარშმა მეკარე ბილ რენფორდის შეცდომით ისარგებლა. მანამდე კი უშედავათო ბრძოლა მიმდინარეობდა. დეტროიტი მეტოქეს სჯობდა, მაგრამ კოლორადო პატრიკ რუას წყალობით (31 მოგერიება) არ დაეჩაგვრინა. ის კი არა, პეტერ ფორსბერგმა (1+1) ბრწყინვალე პასით ახალბედა მილან ჰეიდუკს მესამეც გაატანინა. ამან „წითელფრთიანთა" თავკაცი სკოტი ბოუმენი კი შეაშფოთა, მაგრამ ბილ რენფორდის შეცვლამ შედეგი არ მოუტანა — ნორმ მაირაკლსაც მოუხდა სამი შაიბის გაშვება. ამგვარად, სერიაში ანგარიში გათანაბრდა, რაც ორი უდიდესი გუნდის დუელს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

აღმოსავლეთი

**ტორონტო — პიტსბურგი 2:2**

**პიტსბურგი — ტორონტო 2:3**

1:0 0:1 1:1 0:1

**1:0 იაგრი 5'00 (4); 1:1 სუნდინი 36'57 (4); 1:2 ბოჰონოსი 45'28 (2); 2:2 ვერენკა 47'8'10 (1); 2:3 ბერეზინი 62'18 (3)**

ტორონტოელ სერგეი ბერეზინს იღბალი ჰქონია. მართალია, გუნდის მიერ ნათამაშევ 10 მატჩში მხოლოდ 3 შაიბა შეაგდო (უმეტესობის აზრით, რუსი უფრო ხშირად უნდა გამოირჩეოდეს), მაგრამ, სამაგიეროდ, ყველაზე საჭირო მომენტში იცის ხოლმე თავის გამოდება. ასე იყო პირველ რაუნდში, როცა ბერეზინმა გადამწყვეტ, მეექვსე მატჩში ერთადერთი გოლი გაიტანა. ასე იყო ამჯერადაც, რადგან წაგების შემთხვევაში ტორონტოს შანსები მინიმუმამდე შემცირდებოდა. თუმცა, ეს თამაში პიტსბურგს რომ მოეგო, ნამდვილად უსამართლობა იქნებოდა. ჯერ კიდევ მატჩისწინა ინტერვიუებში იარომირ იაგრი და გუნდის თავკაცი კევინ კონსტანტინი აღიარებდნენ, სამი მატჩის შემდეგ სერიაში დაწინაურებას აშკარად არ ვიმსახურებთ და ამჯერად უკეთ თამაში გვმართებსო. მაგრამ თქმა ერთია და გაკეთება მეორე. ორი წამყვანი მოთამაშის — ალექსეი კოვალიოვისა და გერმან ტიტოვის არყოფნაში მასპინძლები მეტოქეზე სუსტად გამოიყურებოდნენ (თუნდაც დარტყმების რაოდენობა აიღეთ 14:30) და, ფაქტობრივად, მხოლოდ პირველ ხუთ წუთში ფლობდნენ ინიციატივას. იაგრის გოლმა სტუმრები კიდევ უფრო გააცხარა და გუნდის ლიდერ მატს სუნდინთან შეწყვილებულმა ლონი ბოჰონოსმა (1+1) თავისიანები დააწინაურა. თამაშს ისეთი პირი უჩანდა, ტორონტოელებს უპირატესობა ხელიდან არ უნდა გაეშვათ, მაგრამ შეუდარებელმა იაგრმა ლამის კიდევ ერთი სასწაული მოახდინა. 57-ე წუთზე (მანამდე ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევისას მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს) სუპერჩეხმა ჩვეული ოსტატობით ორი მცველი ჩამოიშორა და მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ კერტის ჯოზეფმა აჯობა. მერე კი, როგორც უკვე ვთქვით, ბერეზინის გოლი იყო და კვლავ თავიდან დაიწყო ბრძოლა.

მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია

# მსოფლიო ევროპას დარჩა

**დღეს და ხვალ ორმაგ ფინალში: ჩეხეთი — ფინეთი**

ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1.mai - 16.mai

1995 — ფინეთი, 1996 — ჩეხეთი, 1997 — კანადა, 1998 — შვედეთი, 1999... თუ ამ ქრონოლოგიას მივყვებით, წლეულს ფინელების ჯერია და ხუთშაბათს „სუომის" ნაკრებმა ამისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა — ჩემპიონი შვედეთი ექსჩემპიონად აქცია. თუმცა, ცხადია, სხვაგვარად ფიქრობენ ჩეხები. ძლიერი კანადური ნაკრების ძლევის შემდეგ ისინი ყველანაირად შეეცდებიან, ნაგანოს ოლიმპიურ ოქროს მსოფლიოში პირველობაც დაამატონ.

13 მაისი

მეორე ნახევარფინალური მატჩები

**ჩეხეთი — კანადა 6:4**

2:1 1:1 3:2

**ბულიტების სერიაში 4:3 ჩეხებმა იმარჯვეს**
**0:1 სტილმანი 5'50; 1:1 კუბინა 7'33; 2:1 პატერა 12'19; 2:2 მარლო 22'59; 3:2 რუჩინსკი 31'01; 3:3 ტორნტონი 41'47; 3:4 გრეივსი 42'11; 4:4 დვორჟაკი 48'39; 5:4 დვორჟაკი 49'28; 6:4 ვიბორნი 59'37**
**გადამწყვეტი ბულიტი: შპაჩეკი**

ეს უკვე იღბალია. ჩეხებისა და კანადელების პაექრობის ბედი ზედიზედ მეორე დიდი ტურნირის ნახევარფინალში (პირველი ოლიმპიადა იყო) მატჩის შემდგომი ბულიტებით წყდება და ასევე მეორედ გამარჯვებას ევროპელები ზეიმობენ. მართალია, მათ ამჯერად არ ჰყავდათ ბრწყინვალე დომინიკ ჰაშეკი, მაგრამ მათი მწვრთნელი ხომ წარსულში სახელოვანი ჰოკეისტი ივან ჰლინკაა. ბულიტების სერიაში პირველი სამი დარტყმის გაშვების შემდეგ მან რისკიან ხერხს მიმართა — გადაღლილი მეკარე მილან ჰნილიჩკა რომან ჩეხმანეკით შეცვალა, რომელიც საპლეიოფო რაუნდში რუსებთან შერცხვენის შემდეგ კარში აღარ მდგარა. და მაინც, მან ორი დარტყმა მოიგერია და თავისიანებს უდიდესი გამარჯვება მოუტანა. სამაგიეროდ, ოტავის სახელოვანმა მეკარემ, რონ ტაგნატმა, რომელმაც წლეულს ჩინებული თამაშით ყველა გააოცა, 6 ბულიტიდან მხოლოდ 2 მოიგერია.

„ეს დაუჯერებელია. საპლეიოფო ეტაპზე რუსებთან წაგების შემდეგ ამას არავინ ელოდა, მაგრამ ჩვენი მაინც გავიტანეთ" — გადამწყვეტი ბულიტის გამტან იაროსლავ შპაჩეკის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა.




REUTERS

კანადელმა მეკარე რონ ტაგნატმა ჩეხ პაველ პატერას არ გაატანინა

ვის რა ეთქმის, ჩეხებმა ეს გამარჯვება დაიმსახურეს, მეორე მატჩი დიდი შემართებით ჩაატარეს და მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე ორჯერ დაწინაურდა, მაინც იყოჩაღეს, კანადელები გახსნილ, შემტევ თამაშში ჩაითრიეს, მეტოქეთა დაცვის შეცდომები ბრწყინვალედ გამოიყენეს, გადამწყვეტი სიტყვა კი მათმა ნჰლ-ელებმა თქვეს. ერთ ხუთეულში თავმოყრილმა ლეგიონერებმა 5 შაიბაში დაიდეს წილი, ხოლო მთავარი გმირი ფლორიდელი რადეკ დვორჟაკი გახდა. ფორვარდმა, რომელსაც მანამდე მხოლოდ ერთი გოლი გაეტანა, 3 (2+1) ქულა მიითვალა, თანაც მისი მეორე შაიბა ძირითად დროში გადამწყვეტი აღმოჩნდა. ამ უაღრესად დრამატული პაექრობის დასასრული კი უკვე იცით.

**ფინეთი — შვედეთი 1:2**

**0:0 0:1 1:1 ოვერტაიმი 1:0**
**0:1 ი. იუნსონი 26'37; 1:1 ლინდი 51'58; 1:2 ი. იუნსონი 53'04**
**ოვერტაიმი: ტუომაინენი 6'25**

ეს თამაში შვედებს რომ მოეგოთ, დიდი უსამართლობა თუ არა, საწყენი მაინც იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ფინელებმა პირველი მატჩი მოიგეს, მათ დაცვაში ჩასაფრება არ ისურვეს და პირველივე წუთიდან თამაში მეტოქეთა ზონაში გადაიტანეს. ზოგჯერ მათი უპირატესობა აშკარა იყო და რომ არა შვედების მეკარე ტომი სალო, ისინი არაერთხელ გაიტანდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მათ უფრო სჭირდებოდათ გამარჯვება. და მაინც, პირველი შაიბა „ტრე კრუნურმა" გაიტანა. შვედებმა პრაქტიკულად პირველივე მომენტი გამოიყენეს (იორგენ იუნსონმა დამატებაზე ივარგა) და, როგორც იქნა, გამოფხიზლდნენ. ამის მერე თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, რომელშიც ორივე გუნდს შეეძლო გატანა. 52-ე წუთზე ფინელებმა როგორც იქნა, შეძლეს სალოს მოტყუება, მაგრამ ხეირიანად გახარებაც ვერ მოასწრეს, რომ იუნსონმა არი სულანდერის უხეში შეცდომა გამოიყენა და თავისიანები დააწინაურა.

ოვერტაიმში მეტოქეები ნაკლებად რისკავდნენ, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ფინელთა ლიდერები დაიღალნენ (შვედები თანაბრად ინაწილებდნენ სათამაშო დროს, კოივუ და სელიანე კი თითქმის არ გადიოდნენ მოედნიდან).

განგება „სუომის" მხარეს აღმოჩნდა. მიუხედავად დაღლილობისა, საკუ კოივუ კარს უკან შეებრძოლა მცველს, შაიბა ტეემუ სელიანეს მიაწოდა, რომელიც ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდა. მისი დარტყმა სალომ კი მოიგერია, მაგრამ კართან გამართულ ზედახორაში მარკო ტუომაინენმა იმარჯვა.

**სამველ ლარიგიანი**

# ოხერია შუმახერი

REUTERS მონტე კარლოდან



ამბობენ, მონტე კარლომ ყველაზე ოხერი მოსახვევები იცისო. იმასაც ამბობენ, შუმიც კაი ოხერია და იქ თუ მოიგო, მერე, შენ დაუკარო... ეეჰ, ჩვენ ბარე იქნებ ეგრეც გვინდოდეს, მარა... მოდით, ყველას თავის გაგებაში გაუმარჯოს... 14 მაისი. მონაკო. შუმახერი მოპედზე „კატაობს“ და ჩვენი ამიერკავკასიური განცდები სულ თავის ალისფერ ბოლიდზე ჰკიდია...

REUTERS ვალენსიიდან



# გულიანი ხულიანი

*გრძელი სიტყვა რომ მოკლად მოვჭრათ, ასე გამოვა: „ელ ხულიოდ“ წოდებულმა გამოჩენილმა ხართმებრძოლმა ხულიან ლოპესმა უქმეებზე მოწყობილ ვალენსიურ კორულში იმდაგვარი სიჩაუქითა და ემხით იასპარეზა, რომ აღტაცებულ მაცქერალთ არენიდან თავი მხრებზეაზიდულმა გააყვანინა... ფოტოზე მისი ვერაგი ილეთით ერთი ბოყოჩა ბულა ტყუვდება.*

## გერმანია

XXXII ტური

ჰერტა 2:0 ჰანზა

1:0 ნეუენდორფი (74), 2:0 მარქსანი (83)

მიონხენგლადბახი 2:2 ჰამბურგი

0:1 იებოა (58), 1:1 სოფიჩი (62), 2:1 პაუსვაილერი (78), 2:2 ბუტი (90პ)

II ბუნდესლიგა

XXX ტური

ზანქტ პაული 1:1 ობერჰაუზენი

ულმი 4:2 დიუსელდორფი

უნტერჰახინგი 2:0 კიკერსი

## ესპანეთი

XXXIV ტური

რასინგი 1:0 მალიორკა

## საფრანგეთი

სოშო 1:0 ლე ავრი

## ავსტრია

აუსტრია 0:3 გრაცერი

## შვედეთი

შვედეთის თასის ფინალი

პირველი მატჩი

აიკ 1:0 გეტებორგი

1:0 ენგლუნდი (84)

## თურქეთი

XXXII ტური

გალათასარაი 2:1 ანკარაგიუჯიუ

## შვეიცარია

XI ტური

სერვეტი 0:0 გრასჰოპერი

REUTERS ათენიდან



# ღმერთი თქვენსკენ

ვინ იცის, სად გადის ზღვარი ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას შორის... ალბათ მხოლოდ იმ ადამიანმა, ვინც თავს ან ასე გრძნობს, ანაც ისე.... ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანები თავს ადამიანებად გრძნობენ და ეს საკმარისია, რათა მათ ჯანმრთელობაში დაეჭვება გეუხერხულოს... 25 ივნისიდან 5 ივლისამდე კაროლინის შტატის რალეი დურჰემი ბუნებისაგან ოდნავ გულნაკლულ ადამიანთა ოლიმპიადას უმასპინძლებს. იქ 150 ქვეყნის 7000 ადამიანი შეიკრიბება... ათენი. ოლიმპიური მაშხლის ალგზნების ცერემონიალი.

REUTERS ათენიდან



# მზრამლი და არაბი დაძმობილდნენ

ისრაელი და სირია დღემდე ურთიერთ-საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან... მაგრამ აბა ჩვეულებრივ ადამიანებსაც ჰკითხეთ. განა ვინმეს ეომება ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე... ხალხს პური მიეც, სითბო მიეც, სიყვარული... ზოგს ქარი ბეჭებში, ზოგსაც ქალის ბეჭები, ზოგს ისე, ზოგსაც ასე... რაღა ბევრი გავაგრძელოთ, როცა ხალხს ომი არ უნდა, სხვა თუ არაფერი, მანქანებს მაინც უჯდება და ერთმანეთს სისწრაფეს უმოწმებს... აი, როგორც ესენი, სირიელი მუდარ ასადი და ებრაელი იუვალ მელამიდი, იორდანიის საერთაშორისო რალიზე რომ შეყრილან და მაღალ პოლიტიკას თავიანთი ძრავების ბღუილს რომ ატანენ...

REUTERS ამმანიდან






სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29